

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ინგლისური ფილოლოგია**

**ლანა ჯღარკავა**

**რობერტ პილის ორატორული დისკურსი კოგნიტიური**

**სტილისტიკის თვალსაზრისით**

**ფილოლოგიის დოქტორის ( PhD) აკადემიური ხარისხის**

**მოსაპოვებლად წარმოდგენილი**

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი :**

**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,**

**ასოცირებული პროფესორი ნინო დარასელია**

**თ ბ ი ლ ი ს ი**

**2021**

## შინაარსი

შესავალი.....	4
თავი I. რობერტ პილი და პურის კანონი.....	7
1.1. რობერტ პილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა.....	7
1.2. ზოგი რამ პურის კანონის შესახებ .....	10
1.3. I თავის დასკვნა.....	14
თავი II. მსჯელობის აგების პრინციპები რობერტ პილის დისკურსში.....	16
2.1. შესავალი.....	16
2.2. ემპირიული მასალის ანალიზი .....	24
2.2.1. სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობა.....	24
2.2.2. ცნობილი ავტორიტეტების მოხმობის სტრატეგია.....	49
2.2.3 ინკლუზიური და ექსკლუზიური ნაცვალსახელების გამოყენების სპეციფიკა პილის დისკურსში .....	68
2.3. II თავის დასკვნა.....	89
თავი III. რობერტ პილის პურის კანონთან დაკავშირებული სიტყვით გამოსვლები კოგნიტიური სტილისტიკის თვალსაზრისით.....	95
3.1. შესავალი .....	95
3.2. კონცეპტუალური მეტაფორა პილის დისკურსში.....	97

3.3. პარალელური კონსტრუქციები და გამეორება პილის გამოსვლებში.....	118
3.4. რობერტ პილის მიერ რიტორიკული შეკითხვის გამოყენების თავისებურებანი.....	130
3.5. III თავის დასკვნა .....	138
საერთო დასკვნა .....	142
გამოყენებული ლიტერატურა .....	153

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის ცნობილი პოლიტიკური ფიგურის, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სერ რობერტ პილის (1788-1850) ორატორულ დისკურსს (უფრო ზუსტად, მის სიტყვით გამოსვლებს ე.წ. *პურის კანონთან* მიმართებაში) კოგნიტიური სტილისტიკის ჭრილში; კვლევის ძირითადი მიზანია მანიპულაციური დისკურსის იმ სტრატეგიების შესწავლა, რომლებსაც პილი თავისი პოლიტიკური ინტერესების ეფექტურად გასატარებლად ყველაზე ხშირად მიმართავს; აღნიშნულის მისაღწევად ნაშრომში გაანალიზებულია, ერთი მხრივ, რობერტ პილის მჭერმეტყველების ნიმუშებში გამოყენებული სტილისტიკური ხერხები (გამეორება, პარალელური კონსტრუქციები, მეტაფორა, რიტორიკული შეკითხვა და სხვ.) კოგნიტიური თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, გამოკვლეულია პილის პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი არგუმენტაციის აგების პრინციპები.

**თემის აქტუალობას** განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ რობერტ პილის საჯარო გამოსვლები, რომლებიც ლინგვისტურად არ არის შესწავლილი განხილულია კოგნიტიური სტილისტიკის თვალსაზრისით; ეს უკანასკნელი, როგორც ახალი პარადიგმა, მოიცავს კოგნიტიური მეცნიერების, სტილისტიკისა და ლინგვისტიკის ერთობლიობას, ეს კი, თავის მხრივ, კვლევისათვის დისკურსის ჩარჩოს აუცილებლობას მოითხოვს; კერძოდ, ნაშრომში გამოყენებულია კრიტიკული დისკურსის ანალიზის ჩარჩო, რომელიც ლინგვისტურ რეპრეზენტაციასა და მის გამომწვევ სოციო-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საფუძვლებს შორის

ურთიერთმიმართებას ადგენს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დისერტაციაში გამოყენებული მიდგომა მასალის მრავალმხრივ კვლევას მოიაზრებს.

**ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის:** კოგნიტიური სტილისტიკა (Freeman, 2013; Kuypers, 2009; Stockwell, 2002), კონცეპტუალური მეტაფორის თეორია (Kovecses 2002, 2008, 2017; Lakoff, 1992; Lakoff & Jonson 2003; Steen 2002, 2007); დისკურსისა და კრიტიკული დისკურსის ანალიზი (Blommaert and Bulcaen 2000; Fairclough, 1992, 2013; Van Dijk, 1998, 2006; Wodak & Meyer 2008), ინფორმაციით მანიპულაციისა და სიცრუის თეორიები (Baron, 2003; Buller, & Burgoon, 1996, Damer 2009; Grice 1975, 1989; McCornack S.1992, McCornack et al. 1992) და მათთან ასოცირებული კვლევის მეთოდები.

**ემპირიული მასალა:** ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სერ რობერტ პილის პურის კანონთან დაკავშირებული გამოსვლები (კერძოდ, 42 საპარლამენტო გამოსვლა 1815-1846).

**ნაშრომის სიახლე მდგომარეობს შემდგომში:**

1. შესწავლილ იქნა პილის მიერ *პურის კანონთან* დაკავშირებულ სიტყვით გამოსვლებში გამოყენებული სტილისტიკური ხერხების კოგნიტიური მახასიათებლები და საკომუნიკაციო დატვირთვა;
2. გამოვლენილ და გაანალიზებულ იქნა აღნიშნულ გამოსვლებში ყველაზე ხშირად გამოყენებული კონცეპტუალური მეტაფორები;
3. განხილულ იქნა პილის დისკურსისთვის დამახასიათებელი არგუმენტის აგების პრინციპები ინფორმაციით მანიპულირების და სიცრუის თეორიების თვალსაზრისით;
4. გამოკვლეულ იქნა ცრუ არგუმენტირების პრინციპი, როგორც რობერტ პილის მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული ტაქტიკა, რომელიც, ერთი შეხედვით, სავსებით დასაბუთებულ ლოგიკურ არგუმენტაციას ჰგავს, თუმცა ეფუძნება სტრუქტურის, რელევანტურობის, შესაბამისობის,

საკმარისობის, თუ კრიტიკული არგუმენტის ეფექტურად მოგერიების კრიტერიუმების დარღვევას.

5. გაანალიზებულ იქნა აღნიშნული კრიტერიუმების დარღვევის ლინგვისტური მხარე.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:** ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები საინტერესო მასალას კოგნიტიური ლინგვისტიკის, კოგნიტიური სტილისტიკისა და კრიტიკული დისკურსის ანალიზით დაინტერესებულ მკვლევართათვის; ემპირიული მასალის ანალიზის ნიმუშები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასემინარო მეცადინეობებში.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:** ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა (I. რობერტ პილი და პურის კანონი; II. მსჯელობის აგების პრინციპები რობერტ პილის დისკურსში; III. რობერტ პილის პურის კანონთან დაკავშირებული სიტყვით გამოსვლები კოგნიტიური სტილისტიკის თვალსაზრისით) და დასკვნისგან. ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია. სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს ელექტრონულად ნაბეჭდი ტექსტის 159 გვერდს.

# თავი I. რობერტ პილი და პურის კანონი

## 1.1. რობერტ პილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა

ისტორიკოსები რობერტ პილს გლადსტონთან და დიზრაელთან ერთად მიიჩნევენ ყველაზე სახელგანთქმულ პრემიერ მინისტრად 19-ე საუკუნის ბრიტანეთის ისტორიაში. მიჩნეულია, რომ ბრიტანეთში თანამედროვე პოლიტიკა იწყება პილით, რადგან მას დიდი წვლილი მიუძღვის თანამედროვე კონსერვატიული პარტიის ფორმირებაში.

რობერტ პილმა თავისი ნიჭითა და ძალისხმევით, ყოველგვარი სამეფო და არისტოკრატიული მფარველობის გარეშე მიაღწია წარმატებას. იგი არა მხოლოდ პრემიერ მინისტრი გახდა, არამედ მისი დროის უდიდესი პოლიტიკოსიც. ორმოცი წლის პოლიტიკური კარიერის მანძილზე პილს ეჭირა: ირლანდიის მთავარი მდივნის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ფინანსთა მინისტრისა და ორჯერ ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის პოსტი. პილის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, მისი პოლიტიკა მიმართული იყო არსებული ინსტიტუტების შენარჩუნებისკენ, მისი მიზანი იყო შეენარჩუნებინა ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთობა.

ზოგი თვლის რომ ნებისმიერ სხვა პრემიერთან შედარებით, ის ყველაზე მეტად იყო ორიენტირებული ხალხის კეთილდღეობასა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე.

პილი მიიჩნევა რეფორმატორად. მას მიეწერება 19-ე საუკუნის ადმინისტრაციული რეფორმები, არაერთი სოციალური რეფორმა, მათ შორის ქალებისა და ბავშვების მადარობსა და ქარხნებში დასაქმების აკრძალვა. პილის მიერ გატარებულ

რეფორმებს შორის ასევე უნდა აღინიშნოს მეტროპოლიტენის პოლიციის, კრიმინალური იურისპრუდენციისა და სასჯელაღსრულებითი სისტემების რეფორმები, რაც პატიმართათვის ხელფასის და განათლების მიცემასა და სიკვდილით დასჯად დანაშაულთა რაოდენობის შეამცირებას ითვალისწინებდა.

რობერტ პილმა ჩამოაყალიბა პირველი ბიუროკრატიული პოლიციის ძალა ინგლისში. მან პოლიციის რეფორმა დააფუძნა 9 პრინციპზე, რომელიც ცნობილია პილის პრინციპების სახელით. საზოგადოებასთან თანამშრომლობა და მათი ნდობის მოპოვება წარმოადგენდა პილის პრინციპების საფუძველს, რომელთა მიხედვით პოლიციას საზოგადოების მოწონება უნდა დაემსახურებინა, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლებოდა მათი მუშაობა ეფექტურად. რობერტ პილის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ციტატაა „პოლიცია ხალხია და ხალხი პოლიცია“:

*“The police are the people and the people are the police” (McInnes, 2009).*

ამ რეფორმამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სამართალდამცავ ორგანოებსა და საზოგადოებრივ წესრიგს მთელს მსოფლიოში.

ამასთან რობერტ პილის სახელს უკავშირდება რეფორმები, რომლებიც შეეხო სისხლის სამართალს, ფისკალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას. იგი გამოირჩეოდა პრაგმატული მიდგომით სოციალური და პოლიტიკური პრობლემებისადმი. მან დიდი წვლილი შეიტანა ბრიტანული მთავრობის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის მოდერნიზაციაში.

რობერტ პილმა გაატარა ფინანსური რეფორმები. მან შეამცირა საბაჟო და სააქციო გადასახადები, შეამცირა ეროვნული ვალი, ხელს უწყობდა ბრიტანული კომერციული საწარმოების ეფექტურად მუშაობას საზღვარგარეთ.

ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ სწორედ პილს უკავშირდება თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის გატარება, რამაც ბრიტანელ მეწარმეებს ახალი ბაზრებისკენ



გაუხსნა გზა. ის ყოველთვის იყო დაინტერესებული ფუნდამენტური ცვლილებების გატარებით, თუმცა ყოველთვის მოქმედებდა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

რობერტ პილმა დიდი გამოცდილება მოიპოვა თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე, რაშიც მას ხელი შეუწყო მისმა პიროვნულმა თვისებებმა: პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, ინტელექტი, შრომისმოყვარეობის დიდი უნარი. ამ ყველაფრის უკან კი იდგა მისი ტემპერამენტი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მის ქმედებებზე, მის გადადგმულ ნაბიჯებზე.

სიამოვნების მიღება მიღწეული წარმატებებიდან, ლიდერობის ალღო, მიდრეკილება პირველობისკენ, სიამაყე, სიფიცხე და სიჯიუტე, ეს მისი პიროვნების ძლიერი და სუსტი მხარეები იყო, თუმცა მისი ინტელექტის, კარგი მეხსიერებისა და უნარების წყალობით, ის ბრწყინვალე მმართველი იყო. მისი რთული ხასიათის მიუხედავად, მახვილი გონება და ძლიერი ხასიათი დომინირებდა მის ცხოვრებაში, რომელიც მომდინარეობდა შიდა პიროვნული კონფლიქტების ხარჯზე, რამაც დაღი დაასვა მის პიროვნებას და ამის გამო ის ბევრისთვის ცივ არასასურველ ფიგურას წარმოადგენდა (Gash, 2007).

პილის კონსერვატიულობა არ იყო პარტიის იარლიყი, არც რომელიმე კლასის ინტერესის გამტარებელი ყოფილა, მისი მთელი ძალისხმევა მიმართული იყო სახელმწიფოში წესრიგის შენარჩუნებისკენ და მთავრობის მეტად ეფექტური მმართველობისკენ. მთელი 40 წლის განმავლობაში მისი ყურადღება მთლიანად ეთმობოდა სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვას. მან თავისი პოზიცია შეინარჩუნა მთელი რიგი მიღწევების, კრიზისული პერიოდებისა და დავა-განხილვების ფონზე. პილის პოლიტიკური ფიგურა ყოველთვის იყო დიდი განსჯის საგანი, როგორც მის სიცოცხლეში ასევე მის შემდეგაც.

დიზრაველი პილს ახასიათებს როგორც ძლიერ დაუღალავ ადამიანს, რომელიც დაჯილდოებული იყო საოცარი მეხსიერებითა და მჭერმეტყველებით. იგი

იყო ერთ-ერთი ყველაზე ფრთხილი პოლიტიკოსი, რომელმაც შეძლო კონსერვატორების მომხრეთა მკვეთრად გაზრდა, მისი დამსახურებით კონსერვატიული იდეები იქცა უფრო მიმზიდველად, თუმცა დიზრაელი ამასთანავე მიუთითებს პილის პიროვნულ ნაკლოვანებებზე და მას სხვათა ინტელექტის ქურდად იხსენიებს:

*"Burglar of others' intellect", "trading on the ideas and intelligence of others" (Bloy, 2016).*

ასევე მიუთითებს პილის წარმოსახვის უნარის ნაკლებობასა და ადამიანური ბუნების არცოდნაზე. დიზრაელი თვლის რომ პილს ხელოვნური მანერები ჰქონდა და ბუნებით ძალიან მორცხვი იყო. უელინგტონი კი ამბობს:

*"I have no small talk and Peel has no manners" (Harris, 2013:45).*

## 1.2. ზოგი რამ პურის კანონის შესახებ

პურის კანონი მიღებულ იქნა ბრიტანეთის პარლამენტის მიერ და მოქმედებდა 1815-1846 წლებში. მის ძირითად ფუნქციას კონკურენტებისგან ინგლისელი მემამულეების ინტერესების დაცვა წარმოადგენდა, შესაბამისად, პურის კანონს სარგებელი მოჰქონდა მდიდარი, ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ინგლისელი მემამულეებისთვის.

ამ კანონის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენდა ინგლისელი ფერმერებისა და მემამულეების ინტერესების დაცვა კონკურენტებისგან და ადგილობრივ პროდუქტზე იყო აქცენტირებული, რაც ფაქტიურად გულისხმობდა ხორბლის იმპორტის შეწყვეტას. ამ კანონის მიღებამ გაზარდა სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის ჩართულობა, თუმცა სავაჭრო კომპანიების მოგება შემცირდა, გაჩნდა პროდუქციის დეფიციტი, რამაც ფასების ზრდა განაპირობა. ეს კანონი

არაერთი უსიამოვნების მიზეზი გახდა ბრიტანული მთავრობისთვის როგორც საშინაო, ასევე საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში.

ინგლისის პარლამენტი მეტწილად მემამულეებით იყო დაკომპლექტებული, იმ მემამულეებით, რომლებიც არა ხალხის, არამედ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. მათ პურის კანონის სახით შეიმუშავეს მკაცრი საგადასახადო სისტემა, რაც იმპორტირებული ხორბლის ძლიერ დაბეგვრასა და ამ გზით ხორბლის იმპორტის ალბათობის მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობდა. ამასთან მემამულეები თავიანთ მიწებს მაღალ ფასებში აქირავებდნენ და მუშათა კლასს 30-40 %-ით ბეგრავდნენ, ეს მაშინ როცა თავად მხოლოდ 1 %-ით თუ იბეგრებოდნენ.

ცალსახად ინგლისელებს უფრო იაფი დაუჯდებოდათ ხორბლის მეზობელი ქვეყნებისგან შესყიდვა, ვიდრე მისი ადგილობრივად წარმოება და რადგანაც ინგლისი სხვა ქვეყნებთან შედარებით, სწორედ რომ მისი სამრეწველო პოტენციალის წყალობით ფლობდა უპირატესობას, ინგლისელ ხალხს ძირითადი კაპიტალი სწორედ ამ სფეროში უნდა დაეხანდებინა, მთელი რესურსი და ძალისხმევა სწორედ მრეწველობის განსავითარებლად უნდა მიემართა. თუმცა ამის საპასუხოდ ინგლისელ ხალხს არ ეძლეოდა ხორბლის მეზობელი ქვეყნებისგან იაფად შესყიდვის უფლება და მეტიც მათ ხორბლის ადგილობრივად, დიდი ხარჯებისა და ძალისხმევის ფასად წარმოებას აიძულებდნენ :

*“ No, you shall not buy your food abroad for little labour, but you shall produce it at home with much labour and great cost, or go without it.” (Hansard, 1834:440)*

ბრიტანეთის ბაზარზე, შიდა სამრეწველო პროდუქცია დღითიდღე უფასურდებოდა, ხოლო ამის ფონზე ადგილობრივად წარმოებული ხორბლის ფასი თითქმის გაორმაგდა და წინა საუკუნესთან შედარებით 37 მილინგიდან, 1838 წლისთვის უკვე 71 მილინგსაც კი მიაღწია, რაც ნათლად ასახავს პურის კანონის მანკიერ მხარეს, კერძოდ თუ როგორ ავალდებულებდა ეს კანონი ისედაც

გადატაკებულ ბრიტანელ ხალხს გაორმაგებული ფასები ეხადა თავიანთ წარმოებულ ხორბალზე. საბოლოოდ ამ კანონით ყველაზე მეტად სწორედ საშუალო და დაბალი კლასი დაზარალდა, ის კლასები, რომელთაც მხოლოდ პურით გაჰქონდათ თავი.

პურის კანონით ბრიტანელი მემამულეები არა მხოლოდ ძარცვავდნენ ადამიანებს, არამედ აიძულებდნენ მათ ძვირი გადაეხადათ საკვებში. ამის შედეგად, სამრეწველო რეგიონებში ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩა და ხალხი სიღარიბემ, შიმშილმა და სასოწარკვეთამ მოიცვა, ხოლო მუშათა კლასის ის ნაწილი, რომელმაც გარკვეულწილად შეძლო სამსახურის შენარჩუნება, იმდენად დაბალ ანაზღაურებას იღებდა გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ, რომ ფაქტობრივად მყიდველთ უუნარო იყო და არაფრით განსხვავდებოდა უმუშევართა დიდი არმიისგან (Ramsden, 1841:7).

ცალსახაა, რომ მემამულეებმა მთელი რიგი ზომები მიიღეს რათა აეკრძალათ ქვეყანაში უცხოური ხორბლის იმპორტი და წარმატებით მოახერხეს ადგილობრივი ბაზრის მონოპოლიზაცია. ეს ყველაფერი კი კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინს პურის კანონის მანკიერ მხარეებს: მონოპოლურ ტენდენციას, უსამართლობასა და უთანასწორობას (Ramsden, 1841:5).

მართალია პურის კანონი იცავდა ფერმერებისა და მიწათმფლობელების უფლებებს და უზრუნველყოფდა მაღალ ფასს ადგილობრივად წარმოებულ მარცვლეულზე, თუმცა 1845 წელს ირლანდიაში კარტოფილის მოსავლის გაფუჭების შედეგად მთელი ირლანდია შიმშილმა, სიღატაკემ და სასოწარკვეთამ მოიცვა, რამაც რობერტ პილი პურის კანონის გაუქმების აუცილებლობაში დაარწმუნა, რადგან ბრიტანეთს არ ჰქონდა ხორბლის საჭირო მარაგები არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ერთადერთი გამოსავალი ამ შემთხვევაში პურის კანონის გაუქმება იყო. 1846 წელს ამ კანონის გაუქმება გულისხმობდა თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას ბრიტანეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის.

მიუხედავად იმისა რომ ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის მანძილზე პილი აქტიურად უჭერდა მხარს პურის კანონის შენარჩუნებას, საბოლოოდ ის ამ კანონის გაუქმების გადაწყვეტილებამდე მივიდა, რადგან დარწმუნდა რომ პურის კანონის გაუქმება და თავისუფალი ვაჭრობის შემოღება დიდ წარმატებას მოუტანდა მეწარმეებს და მუშათა კლასის დასაქმებას შეუწყობდა ხელს, ამიტომ პილის უდიდეს მიღწევად სწორედ პურის კანონის გაუქმება და მეზობელ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის აღდენა ითვლება.

1846 წელს რობერტ პილს თავადვე მოუწია იმ კანონის გაუქმება, რომელსაც ამდენი წელი თავგამოდებით იცავდა და მეტიც ცდილობდა საზოგადოება ამ კანონის შენარჩუნების აუცილებლობაში დაერწმუნებინა, შედეგად პილს თანამდებობიდან გადადგომა მოუწია, რადგან ის თავისმა თანაგუნდელებმა მოღალატედ სცნეს და ტორთა პარტიაც გაიხლიჩა, თუმცა ამის შემდეგ მან მთელი თავისი დარჩენილი პოლიტიკური კარიერა თავისუფალი ვაჭრობის პოპულარიზაციას მიუძღვნა.

პილმა ეს გადაწყვეტილება ცალსახად ქვეყნის საკეთილდღეოდ მიიღო, რადგან თვლიდა რომ ეს იყო მისი ვალდებულება თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე, თუმცაღა მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული რომ ეს გადაწყვეტილება ავტომატურად ნიშნავდა მისი ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერის დასასრულს.

მიუხედავად ამ ვნებათაღელვისა რაც პურის კანონის გაუქმებასა და მეზობელ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის აღდგენას მოჰყვა, პურის კანონის გაუქმებიდან 4 წლის შემდეგაც რ. პილი საკმაოდ აქტიურ და გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად მიიჩნეოდა. ხოლო 1850 წელს კი რობერტ პილი ცხენიდან გადმოვარდნის შედეგად მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა.

### 1.3. I თავის დასკვნა

1. ისტორიკოსები რობერტ პილს მიიჩნევენ ყველაზე სახელგანთქმულ პრემიერ მინისტრად 19-ე საუკუნის ბრიტანეთის ისტორიაში. ბრიტანეთში თანამედროვე პოლიტიკა იწყება პილით, სწორედ პილმა აღადგინა თანამედროვე კონსერვატიული პარტია ძველი ტორთა პარტიის ნანგრევებიდან, ამიტომ მას შუა-ვიქტორიანული პერიოდის არქიტექტორად მოიხსენიებენ.
2. რ. პილი ადრეული ასაკიდანვე იყო ჩართული დიდი იმპერიის საქმეებში და წლების განმავლობაში მიღებულმა და დაგროვილმა გამოცდილებამ, მკაცრმა დისციპლინირებულობამ, განაპირობა მისი სწორუპოვარ ორატორად, ადმინისტრატორად და მოდებატედ ჩამოყალიბება. მისმა ორატორულმა ნიჭმა ერთგვარად დაუდო საფუძველი, მისი როგორც წარმატებული პოლიტიკოსის კარიერას. სწორედ მის ორატორულ ნიჭს უკავშირდება პილის მიერ ადრეულ ასაკში მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება.
3. პურის კანონი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ 1815 წელს იქნა მიღებული. ეს იყო მკაცრი საგადასახადო სისტემა, რომლის უმთავრეს ფუნქციას ფერმერებისა და მიწათმფლობელების უფლებების დაცვა წარმოადგენდა. იმპორტირებული ხორბლის ძლიერ დაბეგვრითა და ხორბლის იმპორტის ალბათობის მინიმუმამდე დაყვანით პურის კანონი იცავდა და უზრუნველყოფდა მაღალ ფასს ადგილობრივად წარმოებულ მარცვლეულზე.

4. თუმცა პურის კანონი მომგებიანი მხოლოდ მდიდარი, ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ინგლისელი მემამულეებისთვის აღმოჩნდა, რომლებიც თავიანთ მიწებს მაღალ ფასებში აქირავებდნენ და ფერმერებს 30-40 %-ით ბეგრავდნენ. ეს მაშინ როცა ბრიტანეთის ბაზარზე, ადგილობრივად წარმოებული ხორბლის ფასი თითქმის გაორმაგდა და ისედაც გაღატაკებულ ბრიტანელ ხალხს გაორმაგებული ფასების გადახდა უწევდა ადგილობრივად წარმოებულ ხორბალზე.
5. მიუხედავად იმისა რომ რ. პილი თითქმის მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე აქტიურად უჭერდა მხარს პურის კანონის შენარჩუნებას, საბოლოოდ ის ამ კანონის გაუქმების გადაწყვეტილებამდე მივიდა და მეტიც თავად მოუწია მისი გაუქმება, რადგან დარწმუნდა რომ პურის კანონის გაუქმება და თავისუფალი ვაჭრობის შემოღება თანაბრად მოუტანდა სარგებელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებს და მუშათა კლასის დასაქმებას შეუწყობდა ხელს, ამიტომ პილის უდიდეს მიღწევად სწორედ პურის კანონის გაუქმება და მეზობელ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის აღდგენა ითვლება.

## თავი II. მსჯელობის აგების პრინციპები რობერტ პილის დისკურსში

### 2.1.შესავალი

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ პილის მჭერმეტყველების ერთ-ერთ ძლიერ მხარეს მსჯელობის აგების თავისებურება წარმოადგენს; იგი მიმართავს ე.წ. სიცრუეზე დაფუძნებულ მსჯელობის პრინციპს, რომელიც მკაფიოდ ვლინდება *პურის კანონთან* დაკავშირებულ გამოსვლებში. აღნიშნული მახასიათებელი განვიხილე ინფორმაციით მანიპულირების თეორიის თვალსაზრისით. მოკლედ განვიხილოთ ხსენებული თეორიის ძირითადი დებულებანი.

**ინფორმაციით მანიპულირების თეორიის (IMT)** ფუძემდებლად სტივენ მაკკორნაკი ითვლება; მისი მოძღვრება ეყრდნობა პოლ გრაისის ცნობილ იმპლიკაციის თეორიას, კოოპერაციის პრინციპსა და კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის 4 მაქსიმას: თვისობრივს, ოდენობრივს, რელევანტურობისა და მანერის. აღნიშნულ მაქსიმებზე დაყრდნობით მაკკორნაკი განასხვავებს ოთხ ინფორმაციით მანიპულირების კატეგორიას, რომლებიც განსაზღვრავენ მიწოდებული ინფორმაციის მცდარობასა თუ უტყუარობას.

ინფორმაციით მანიპულაციის თეორიის თანახმად, მოსაუბრეს/მწერალს სხვადასხვა ხერხის მეშვეობით (გარკვეული ფაქტების დამალვით, დამახინჯებით), შეუძლია



ადრესატი შეიყვანოს შეცდომაში, აღნიშნული მიიღწევა 4 კატეგორიიდან ერთ-ერთის ან თანადროულად რამდენიმე კატეგორიის დარღვევით.

**მარსია ბარონისეული თეორიის** (Baron 2003:39) თანახმად წინასწარგანზრახულობა ინფორმაციით მანიპულირების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, რადგან არ არსებობს მანიპულაცია წინასწარგანზრახვის გარეშე. მანიპულაცია მაშინ არის ყველაზე ეფექტური თუ ის შენიღბულ, შეფარულ ხასიათს ატარებს, რამეთუ მანიპულატორი ყოველნაირად ცდილობს, რომ მისი ქმედება არ გამჟღავნდეს.

მარსია ბარონი განასხვავებს მანიპულაციის 3 ტიპს:

ა) პირველი ტიპის მანიპულაცია ერთგვარი შეცდომაში შემყვანი მანიპულაციაა, რომელიც ცრუ წინამძღვარს ეფუძნება. ამგვარი მანიპულაციის დროს ადრესატს ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი მიღებული ინფორმაციის უტყუარობაში, ან შესაძლებელია რომ გარვეული ეჭვებიც ჰქონდეს, თუმცა მიუხედავად ამისა მანიპულატორი მაინც აღწევს საწადელს; ადრესატი არ უშვებს იმის ალბათობას, რომ ის შეიძლება მოატყუონ და ცდილობს ყველა შესაძლო ეჭვი თავადვე გაფანტოს, რათა ამით ყველა შესაძლო უსიამოვნება აირიდოს თავიდან.

ხოლო თავად მანიპულატორმა შესაძლოა ეს ორი შემთხვევა ერთმანეთისგან ვერც კი გაარჩიოს, რადგან ორივე შემთხვევაში ის ცრუობს და ორივე შემთხვევაში აღწევს დასახულ მიზანს (Baron, 2003:40).

ბ) მეორე ტიპის მანიპულაციაში მოიაზრება მანიპულატორის მხრიდან გარკვეული ზემოქმედების, მუქარისა და ზეწოლის საფუძველზე ადრესატის ერთგვარი დამორჩილება, უსიტყვოდ დათანხმება, დაყოლიება (Baron , 2003:42).

გ) მესამე ტიპის მანიპულაციაში იგულისხმება ემოციებით მანიპულაცია, რაც ადრესატში მანიპულატორის მიმართ გარკვეული ემოციების, კერძოდ: შიშის, თანაგრძნობის, სიბრალულის, მადლიერების აღძვრის მიზანს ემსახურება,

აღნიშნულის გამო ადრესატი თავს ვალდებულად მიიჩნევს რომ დაეთანხმოს მანიპულატორს (Baron, 2003:44).

როგორც მარსია ბარონი აღნიშნავს, მანიპულატორის მიერ წინასწარ განზრახული, წინასწარ გათვლილი მანიპულაციების გამოყენება მიზნად ისახავს ადრესატის აზრებზე, შეხედულებებსა და მოსაზრებებზე ისეთი ფარული ზეგავლენის მოხდენას, რაც ადრესატს აფიქრებინებს რომ ის დამოუკიდებლად, ყოველგვარი ზეგავლენისა თუ ზეწოლის გარეშე მივიდა კონკრეტულ მოსაზრებამდე (Baron, 2003:45).

**მანიპულაციის მულტიდისციპლინური სტრუქტურა.** ვან დაიკმა ინფორმაციით მანიპულირების თეორია მოაქცია კრიტიკული დისკურსის ანალიზის ჩარჩოში; თავის ნაშრომში “დისკურსი და მანიპულაცია“ (2006) იგი ხაზს უსვამს მანიპულაციის მულტიდისციპლინურობას, აღნიშნავს, რომ ის ერთდროულად არის სოციალური, კოგნიტიური და დისკურსულ-სემიოტიკური მოვლენა.

მანიპულაცია, როგორც სოციალური მოვლენა გულისხმობს ინტერაქციას საზოგადოების წევრებს შორის; როგორც კოგნიტიური მოვლენა ადრესატ(ებ)ის აზრებზე, შეხედულებებზე ზეგავლენის მოხდენას, ხოლო როგორც დისკურსულ-სემიოტიკური მოვლენა გულისხმობს გარკვეულ თემებზე საუბრის, დიალოგის, მსჯელობის საფუძველზე მანიპულაციის რეალიზებას.

ამასთან ვან დაიკი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მანიპულაციის მანკიერ მხარეებზე და მას სოციალური ნორმების დარღვევად მიიჩნევს, რადგან მანიპულაცია როგორც კომუნიკაციური ქმედება მანიპულატორის მხრიდან საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე, მათი ნება-სურვილისა თუ ინტერესების საწინააღმდეგოდ, ზემოქმედებას გულისხმობს:

*”A manipulation is communicational and interactional practice, in which a manipulator exercises control over other people, usually against their will or against their best interests.“*  
(Van Dijk, 2006:360)

კერძოდ, საუბარია საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელთაც არ აქვთ შესაფერი ცოდნა და გამოცდილება მანიპულაციის მავნე შედეგების თავიდან ასარიდებლად.

ვან დაიკის აზრით მანიპულაცია ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაა, უფრო ზუსტად კი ეს გულისხმობს მანიპულატორის მხრიდან ადრესატზე უკანონო ზემოქმედებას: მანიპულატორი ადრესატს აჯერებს ან აკეთებინებს იმას, რაც საკუთრივ მის პირად ინტერესშია და ეწინააღმდეგება ადრესატის ინტერესებს (Van Dijk, 2006:360).

ამასთან ერთად, მანიპულაცია შეიძლება დარწმუნების ერთ-ერთ ფორმადაც განვიხილოთ, სადაც ადრესატი შედარებით პასიურ როლს თამაშობს, რამეთუ მისთვის უცნობია მოსაუბრის რეალური ზრახვები, ხოლო შესაბამისი ცოდნის არქონა, რელევანტური ინფორმაციის ნაკლებობა, დაბალი სოციალური სტატუსი, თუ ემოციური მდგომარეობა, იმ ფაქტორების ჩამონათვალია რაც დიდი ალბათობით განაპირობებს მანიპულატორის მხრიდან სამიზნე ადრესატის მარტივად ‘მახეში გაბმას’, სადაც ადრესატი მანიპულაციის ერთგვარი მსხვერპლი ხდება (Van Dijk, 2006:375).

თუმცა იმისთვის, რომ მანიპულატორმა წარმატებით მოახერხოს ჩანაფიქრის განხორციელება, მას წინასწარ უნდა ჰქონდეს ერთგვარი წარმოდგენა მის სამიზნე აუდიტორიაზე, მაგალითად, თუ რა მოცულობის ინფორმაციას ფლობენ ისინი, რადგან შესაძლოა მანიპულაციური ოპერაციები სრულიად წარუმატებელი აღმოჩნდეს თუ სამიზნე აუდიტორიას საკმარისი კონტრარგუმენტები გააჩნია მანიპულაციური დისკურსის მოსაგერიებლად.

საყურადღებოა, რომ სიტყვით გამომსვლელი საკუთარი ინტერესების ეფექტურად გასატარებლად, მანიპულაციური დისკურსის სხვადასხვა ხერხს მიმართავს, მაგალითისთვის, ყველაზე გავრცელებული სტრატეგიებია: ოპონენტების ნეგატიურად წარდგენის ფონზე პოზიტიური თვითპრეზენტაცია, საკუთარი ძალაუფლების აქცენტირება, არსებული რთული ვითარების ოპონენტებისთვის, სხვებისთვის გადაბრალება, მათი დისკრიმინაცია და ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება, საკუთარი თავისა თუ გუნდის გამართლება და მათ დასახასიათებლად დადებითი კონოტაციის მქონე ლექსიკური ერთეულების გამოყენება.

მანიპულაციისგან განსხვავებით, დარწმუნების შემთხვევაში, ადრესატის თავისუფალ ნება-სურვილზეა დამოკიდებული თუ რამდენად დაიჯერებს ის მოსაუბრის ნათქვამს; თუმცა, აშკარაა მჭიდრო კავშირი მანიპულაციასა და დარწმუნებას შორის, რამეთუ დამარწმუნებელი არგუმენტაცია თავისთავად შეიცავს როგორც დარწმუნების, ასევე მანიპულაციის ელემენტებს და არგუმენტაციის უპირველესი მიზანი სწორედ სამიზნე აუდიტორიის დარწმუნება, მათი გადმობირება, დაყოლიება და მათ აზრებზე თუ შეხედულებებზე ზემოქმედების მოხდენაა.

უნდა აღინიშნოს რომ არ არსებობს არგუმენტაციული დისკურსი დარწმუნების გარეშე, რამეთუ ის ორატორის მხრიდან სწორედ სამიზნე აუდიტორიის დარწმუნების მიზანს ემსახურება და პირიქით არ არსებობს დარწმუნებაზე ორიენტირებული დისკურსი არგუმენტაციის, პაექრობის გარეშე.

**დეიმერის სიცრუის თეორია.** სიტყვა “fallacy”- “არასწორი მტკიცება” მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან “deceive”, რაც მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას გულისხმობს, ხოლო მისი ამოცნობა და სწორი, ჭეშმარიტი მსჯელობისგან მისი გარჩევა მათ შორის არსებულ მსგავსების გამო საკმაოდ რთულია.

*“ Fallacies are mistakes in reasoning that typically do not seem to be mistakes.” (Damer, 2009: 52)*

ცრუ არგუმენტირება, როგორც მოტყუების ერთგვარი ტაქტიკა, შეგვიძლია განვიხილოთ მსჯელობის, არგუმენტაციის პროცესში დაშვებული შეცდომა, რომელიც ერთი შეხედვით სავსებით დასაბუთებულ ლოგიკურ არგუმენტაციას ჰგავს:

*“We define "fallacy" as a type of argument that seems to be correct but that proves, on examination, not to be so .“ (Copi, Burgess-Jackson, 1996:97)*

ამერიკელი ფილოსოფოსისა და მწერლის ედუარდ დეიმერის მიხედვით თუ არგუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს შემდეგ 5 კრიტერიუმს, იგი მცდარ, ცრუ არგუმენტაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ :

- წინამძღვარი შეუსაბამოა დასკვნასთან;
- დებულებათა ერთობლიობა არ არის საკმარისი კონკრეტული დასკვნის გამოსატანად;
- მსჯელობა სტრუქტურულად გაუმართავია;
- წინამძღვარი ვერ აკმაყოფილებს შესაბამისობის კრიტერიუმს;
- ვერ ხერხდება კრიტიკული არგუმენტის მოგერიება;

სწორედ ამ ზემოთჩამოთვლილ 5 კრიტერიუმს ეფუძნება ქვემოთ მოცემული დეიმერის სიცრუის თეორია, სადაც ის გამოყოფს : სტრუქტურის, რელევანტურობის, შესაბამისობის, საკმარისობის, კრიტიკული არგუმენტის ეფექტურად მოგერიების კრიტერიუმებს თავისი ქვეკატეგორიებით (Damer, 2009:54).

## THEORY OF FALLACY

Structure	Relevance	Acceptability	Sufficiency	Effectiveness of Rebuttal
<i>Begging-the-Question</i> <b>Fallacies</b>	<i>Fallacies of Irrelevant Premise</i>	<i>Fallacies of Linguistic Confusion</i>	<i>Fallacies of Missing Evidence</i>	<i>Fallacies of Counterevidence</i>
Arguing in a Circle	Genetic Fallacy	Equivocation	Insufficient Sample	Denying the Counterevidence
Question-Begging Language	Rationalization	Ambiguity	Unrepresentative Data	Ignoring the Counterevidence
Complex Question	Drawing the Wrong Conclusion	Misleading Accent	Arguing from Ignorance	Counterevidence
Question-Begging Definition	Using the Wrong Reasons	Illicit Contrast	Contrary-to-Fact Hypothesis	<b>Ad Hominem Fallacies</b>
<b>Fallacies of Inconsistency</b>		Argument by Innuendo	Contrary-to-Fact Hypothesis	<b>Ad Hominem Fallacies</b>
Incompatible Premises		Misuse of a Vague Expression	Fallacy of Popular Wisdom	Abusive <i>Ad Hominem</i> Poisoning
Contradiction Between Premise and Conclusion	<i>Fallacies of Irrelevant Appeal</i>	Distinction Without a Difference	Special Pleading	<i>Hominem</i> Poisoning the Well Two-Wrongs Fallacy
<b>Fallacies of Deductive Inference</b>	Appeal to Irrelevant Authority		Omission of Key Evidence	<i>Fallacies of Diversion</i> Attacking a Straw Man Trivial Objections
Denying the Antecedent	Appeal to Common Opinion	<b>Unwarranted Assumption Fallacies</b>	<b>Causal Fallacies</b>	a Straw Man Trivial Objections
Affirming the Consequent	Appeal to Force or Threat	Fallacy of the Continuum	Confusion of a Necessary with a Sufficient Condition	Red Herring
False Conversion				Resort to Humor or Ridicule
Undistributed Middle Term	Appeal to Tradition	Fallacy of Composition	Causal	Ridicule
Illicit Distribution of an End Term	Appeal to Self-Interest	Fallacy of Division	Oversimplification	
	Manipulation of Emotions	False Alternatives Is-Ought Fallacy	<i>Post Hoc</i> Fallacy	
		Wishful Thinking	Confusion of Cause and Effect	
		Misuse of a Principle	Neglect of a Common Cause	

**სტრუქტურის** კატეგორიაში მოიაზრება ორატორის არგუმენტირებული გამოსვლა, რომელიც არ ეფუძნება უსაფუძვლო დასკვნებსა თუ ურთიერთ-გამომრიცხავ წინამძღვრებს. ამ კატეგორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მსჯელობის, არგუმენტაციის სტრუქტურას, ფორმას რამეთუ სწორედ სტრუქტურიდან, ფორმიდან გამომდინარე შესაძლებელია განვსაზღვროთ თუ რამდენად არის შესაძლებელი კონკრეტული დასკვნის გამოტანა მოცემული წინამძღვრების გათვალისწინებით.

**რელევანტურობის** კატეგორია გულისხმობს სწორ წინამძღვრებზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანას; აქ დიდი ყურადღება ეთმობა სწორედ წინამძღვრების სიზუსტეს, მართებულობას, რამეთუ ისინი განიხილება როგორც ერთგვარი უტყუარი მტკიცებულებები კონკრეტული დასკვნის გამოტანისას.

**შესაბამისობის** კატეგორიაში მოიაზრება მსჯელობის ისეთ წინამძღვრებზე დაფუძნება, რომლებიც აკმაყოფილებს შესაბამისობის კრიტერიუმებს, რაც გულისხმობს წინამძღვარში აუდიტორიისთვის გაუგებარი, დამაბნეველი და ბუნდოვანი ფრაზებისა თუ ორაზროვანი გამონათქვამებისგან თავის არიდებას.

**საკმარისობის** კატეგორია გულისხმობს მსჯელობის მართებულ, რელევანტურ წინამძღვრებზე დაფუძნებას, რომელთა ერთობლიობა დასკვნის გამოტანის საკმარის საფუძველს იძლევა.

**კრიტიკული არგუმენტის ეფექტურად მოგერიების** კატეგორიაში კი იგულისხმება მსჯელობისას ისეთი არგუმენტების მოხმობა, რომელიც მოსალოდნელი

კრიტიკული კონტრარგუმენტების ეფექტურად მოგერიებისა თუ გაბათილების საშუალებას იძლევა.

ნაშრომში ემპირიული მასალის ანალიზისას ზემომოყვანილ თეორიებზე დაყრდნობით გამოვიყენე კომპლექსური მიდგომა.

## 2.2. ემპირიული მასალის ანალიზი

### 2.2.1. სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობა

თუ თვალს გადავავლებთ რობერტ პილის, როგორც კონსერვატიული პარტიის ლიდერისა და როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის პოლიტიკური განცხადებების ქრონიკას პურის კანონთან მიმართებაში, აღმოვაჩინებ რომ მისი შეხედულებები თუ მოსაზრებები არათანმიმდევრულ ხასიათს ატარებს, მუდმივად იცვლება და ხშირ შემთხვევაში ურთიერთ წინააღმდეგობრივია.

პურის კანონთან დაკავშირებით პილის 1815-1846 წლების პოლიტიკური გამოსვლებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ოსტატურად ცდილობს ის გაამართლოს პურის კანონის მანკიერი მხარეები, კერძოდ კი პურის ფასების მერყეობა და მკვეთრად გაზრდილი ფასები, რაც საზოგადოების დიდ ნაწილში უკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა.

ასე მაგალითად, ქვემოთმოყვანილი მონაკვეთიდან (I) ირკვევა, რომ რობერტ პილი პურის ფასების მკვეთრი მერყეობის გამართლებას ცდილობს იმის აქცენტირებით, რომ რეგულაციები, რომლითაც ხორბლის იმპორტი კონტროლდება სიბრძნის, გამოცდილებისა და სამართლიანობის პრინციპს ემყარება:



(I) “*I do not give **my** assent to these regulations because they are a concession to unfounded apprehensions or prejudice, but because I conceive them to be founded in **wisdom and justice**. I think them an adequate adjustment of this question. They appear to **me** a **fair and reasonable** arrangement as regards the commercial and manufacturing interests, and certainly they afford a **just and proper** protection to the agricultural classes. I know of **no measure** more likely to engage a general approval. **No system** that I am aware of, would be so **well calculated** to prevent the prejudicial changes to which the country has been subject, and to fix a permanent state of things.*” (Barrow, 1828:866)

მოცემულ ეპიზოდში (I) რობერტ პილის მიერ *ემოციებით მანიპულაციის* გამოყენება მიწათმფლობელთა და მეწარმეთა მხრიდან მისთვის სასურველი რეაქციის, კერძოდ, მადლიერების გრძნობის აღძვრის მიზანს ემსახურება, აქ პილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეს სისტემა თანაბრად ითვალისწინებს როგორც მრეწველთა, ასევე მიწათმოქმედთა ინტერესებს.

ხოლო აღნიშნული რეგულაციების დასახასიათებლად ზედსართავი სახელების: სამართლიანი, გონივრული, შესაფერისი, (*fair; just, proper, reasonable*) მიზანმიმართული გამოყენება კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს პილის მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებების უტყუარობას.

აღსანიშნავია, რომ პილის სიტყვას მეტ დამაჯერებლობას მატებს ნაცვალსახელების მიზანმიმართული გამოყენებაც; პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ‘my’, ასევე პირველი პირის ნაცვალსახელის (ობიექტის ბრუნვაში) ‘me’- და ზედიზედ 5-ჯერ პირველი პირის ნაცვალსახელის ”I“ - გამოყენება, მის მიერ გამოთქმული პოლიტიკური განცხადებების მიმართ და მისი როგორც

პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ფიგურის მიმართ ნდობისა და რწმენის ჩამოყალიბებას ემსახურება.

მონაკვეთებში II, III რობერტ პილი იმავე პათოსით ცდილობს აუდიტორიის დარწმუნებას და პრაქტიკულად სამიზნე აუდიტორიას მის ნათქვამში ეჭვის შეტანის საფუძველს არც კი უტოვებს, ყოველივე ამას ის საკუთარი რეპუტაციის, ძალაუფლების, უფლებამოსილების აქცენტირების ხარჯზე ახერხებს:

(II) “*If any blame is due to the administration for precipitation in altering the corn laws of the country, I am ready to take **my full** share of it.*” (Haly, 1843:153)

(III) “*I do not think that **any man** who fully considers the subject can propose that the proposition is likely to prove **detrimental** to the British grower. I certainly do not believe that it will; and if conceived that it was calculated to produce **an injurious effect**, I would be the **last man** to support such a change.*” (Hansard, 1827:1068)

პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ”my“- და პირველი პირის ნაცვალსახელის “I” ზედიზედ 4-ჯერ გამოყენება ცალსახად პილის მხრიდან მანიპულაციური ტაქტიკის ერთ-ერთი ფორმის, **პოზიტიური თვითპრეზენტაციის** რეალიზაციას ემსახურება: აღნიშნულ შემთხვევაში ის თავის პიროვნულ თვისებებს - გამბედაობას, სიმამაცეს პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს, რამეთუ მზად არის თავისი წილი პასუხისმგებლობა მთლიანად იკისროს.

“*I am ready to take **my full** share of it*“ (Haly, 1843: 153)

მეტი დამაჯერებლობისთვის პილი მესამე მონაკვეთში ცდილობს საზოგადოებას პურის კანონის შესაძლო მავნე შედეგების მოლოდინები სრულიად გაუქარწყლოს, რისთვისაც ის შემდეგ ფრაზებს მიმართავს: “*I don't think; I certainly don't believe; I would be the last man to support*” - ამით ის საზოგადოებას

არწმუნებს, რომ მას არ ეგულება ამ საკითხში გათვითცნობიერებული ადამიანი, რომელიც აღნიშნულ კანონს ბრიტანელ მიწათმოქმედთათვის საზიანოდ ჩათვლიდა.

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ (1, II, III) ეპიზოდები ცრუ არგუმენტაციის ნათელი მაგალითებია, რამეთუ პილის მსჯელობა, სადაც ის მტკიცედ უჭერს მხარს პურის კანონს და მის შედეგებს, ვერ აკმაყოფილებს *საკმარისობის კრიტერიუმს*, რაც არგუმენტაციის მართებულ, რელევანტურ, საკმარისი რაოდენობის წინამძღვრებზე დაფუძნებას გულისხმობს, რომელთა ერთობლიობაც კონკრეტული დასკვნის გამოტანის სათანადო საფუძველს იძლევა:

*” One who presents an argument for or against a position should attempt to provide relevant and acceptable reasons of the right kind, that together are sufficient in number and weight to justify the acceptance of the conclusion.” ( Damer, 2009:160)*

რობერტ პილის მიერ წარდგენილი წინამძღვრები კი აღნიშნული სისტემის მიმართ არაობიექტურ, მიკერძოებულ, საკუთრივ, მის პირად მოსაზრებებს, შეხედულებებსა თუ შეფასებებს ემყარება, რაც სრულიად არასაკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ არ არსებობს აღნიშნულ სისტემაზე მეტად დახვეწილი, სამართლიანი, თუ წინასწარ გათვლილ-გაანგარიშებული სისტემა, რომელიც უკეთ შეძლებდა არსებული მდგომარეობის გამოსწორებას, ქვეყნისთვის მოსალოდნელი ზიანის არიდებასა და საყოველთაო მოწონების დამსახურებას.

მომდევნო მონაკვეთში (IV) პილი არ გაურბის პურის კანონის მანკიერ მხარეებსა და მის შედეგებზე საუბარს და არ უარყოფს პურის ფასების მკვეთრ მერყეობას (great fluctuation) და მის ფონზე მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების მოშლას (derangement of commercial intercourse), თუ ხორბლით ვაჭრობაში არსებულ ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას (uncertainty in the traffic of corn) და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, იგი ასკვნის, რომ

არსებული ვითარების გამოკვლევისა თუ შესწავლის საფუძველზე იკვეთება უდიდესი სტაბილურობა (great, or greater steadiness), ვიდრე ეს შესაძლოა მოსალოდნელი ყოფილიყო ნებისმიერი სხვა სისტემის არსებობის შემთხვევაში.

დიდ ინტერესს იწვევს სწორედ ეს დასკვნითი ნაწილი, კონკრეტულად კი თუ რა აძლევს რობერტ პილს ზემოთ აღნიშნული წინამძღვრების გათვალისწინებით ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს-ისინი უდავოდ წინააღმდეგობაში მოდის მისივე ჩამოთვლილ წინამძღვრებთან, კერძოდ, რამდენად არის შესაძლებელი პურის ფასების მკვეთრი მერყეობა, სავაჭრო ურთიერთობების მოშლა, თუ ხორბლის ვაჭრობაში არსებული ბუნდოვანება და გაურკვეველობა ამ დარგებში არსებულ სტაბილურობაზე მიუთითებდეს?

(IV) *“Another objection which is made to the corn laws is, the **great fluctuation** which **they** cause in the price of corn, and the **great uncertainty** which **they** introduce into the traffic in corn, and the **consequent derangement they** cause in the commercial intercourse between this country and foreign powers. Now neither upon this point will I pretend to deny that there have been **great fluctuations** in the price of corn- greater than I could wish to see in an article of such general consumption, but at the same time, I doubt whether it would not be found, upon examination, that there has been as **great, or greater, steadiness** under the sliding scale, as it is called, than can be hoped for under any other system.” (Hansard, 1840:523)*

შესაბამისად, რადგანაც მოცემული წინამძღვრები წინააღმდეგობაში მოდის დასკვნასთან, სახეზეა *მსჯელობის სტრუქტურული გაუმართაობა*. აღსანიშნავია, რომ სწორედ სტრუქტურა გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი კონკრეტული დასკვნის გამოტანა გარკვეული წინამძღვრების გათვალისწინებით და თუ დასკვნა შეუსაბამოაში მოდის,

სულ მცირე, ერთ წინამძღვართან მაინც, მაშინ საქმე გვაქვს ცრუ არგუმენტაციასთან :

*“ an argument is fallacious if the conclusion is incompatible with at least one of the premises.” (Damer, 2009:74)*

პილი ამავე ეპიზოდში (IV) მიმართავს პარალელურ კონსტრუქციებსაც:

*“the great fluctuation which they cause in the price of corn, and the great uncertainty which they introduce into the traffic in corn, and the consequent derangement they cause in the commercial intercourse.” ( Hansard, 1840:523)*

პარალელური კონსტრუქციებისთვის დამახასიათებელი სიმეტრია და რიტმულობა მისი პოლიტიკური დისკურსის ადვილად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა, პილის სიტყვები ბევრად უფრო გასაგები და ადვილად აღსაქმელი ხდება სამიზნე აუდიტორიისთვის, ამასთან გამეორება, რომელიც მიიღწევა მორფოლოგიური და სინტაქსური პარალელური კონსტრუქციების ხარჯზე, პილს ეხმარება მონუსხოს სამიზნე აუდიტორია და თავისი სიტყვების უტყუარობაში დაარწმუნოს.

თუ გავანალიზებთ რობერტ პილის მიერ პურის კანონის შეფასებათა ქრონოლოგიას, შევამჩნევთ თუ რამდენად ურთიერთწინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავია ის :

რობერტ პილი 1828 წლის საპარლამენტო ტრიბუნაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნავს, რომ მას არ ეგულება არსებულ პურის კანონზე უფრო დახვეწილი, წინასწარ გათვლილ-გაანგარიშებული, ან უფრო სტაბილური სისტემა:

*“No system I am aware of, would be so well calculated,” (Barrow, 1828: 866)*

მაშინ როცა მის 1840-42 წლების საპარლამენტო ტრიბუნაზე წარმოთქმული სიტყვები სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს. კერძოდ, თუ პირველ

ეპიზოდში მას არ ეგულება სისტემა, რომელიც შესაძლოა მეტ საყოველთაო მოწონებას იმსახურებდეს: “ *I know of no measure more likely to engage a general approval*” (Haly, 1843: 153), მეხუთე და მეექვსე ეპიზოდებში ის აღიარებს აღნიშნულ სისტემაში ცვლილებების საჭიროებას:

(V) “ *I am not prepared to say that there are not great objections to the sliding scale. I conceive **nothing can be so absurd** as to declare for or against a particular set of details. **Nothing seems to be me more objectionable** than to say that the present corn law, in all its details, is a **system actually perfect**. Such a declaration would, I consider, **be utterly unworthy** of me to make, or of this house to hear. “ (Bowring, 1843: 282)*

(VI) “ *I **admitted**, and I always **will admit**, that there may be some details of **present law which require alteration**. “ (Haly, 1843:162)*

რობერტ პილი ამჯერად არ მალავს საზოგადოებაში პურის ფასების მკვეთრი მერყეობით გამოწვეულ დიდ პროტესტს, უკმაყოფილებას და აღნიშნავს, თუ რა შეიძლება იყოს იმაზე აბსურდული, აღმამფოთებელი, რომ ეს სისტემა სრულყოფილ უნაკლო სისტემად გამოაცხადო და მეტიც, დასძენს რომ მსგავსი შეფასება მისი მხრიდან უღირსი საქციელი იქნებოდა, მაშინ როდესაც ქვემოთ მოცემული მაგალითები სრულიად საპირისპიროს მოწმობს:

“*There has been as **great , or greater steadiness** under the sliding scale than can be hoped for **under any other system** . “ (Hansard, 1840:523)*

“*The weekly averages show that the price of corn was as **gradual** as it was possible to be **under any system of corn laws**. “ (Hansard, 1840:523)*

რობერტ პილი მეხუთე ეპიზოდში დადებითი თვით პრეზენტაციისთვის იყენებს ფრაზას *”be utterly unworthy of me “* რითაც სურს ხაზი გაუსვას საკუთარ მაღალ ზნეობრიობას, რაც სამიზნე აუდიტორიაში მისი სახელისა და რეპუტაციის მოხვეჭას, მისდამი, როგორც ღირსეული ადამიანისადმი, ნდობის გამტკიცებას ემსახურება.

თუმცა საინტერესოა რომ, სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, 1843 წელს პილი კვლავინდებურად უბრუნდება მის წინანდელ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ეს სისტემა ყველა სხვა სისტემაზე უმჯობესია, ამიტომ მისი რამენაირად შეცვლის საჭიროებას არ განიხილავს:

*(VII) “I should say that I do not contemplate any alteration in the corn laws. I repeat that the impression at present on my mind is, that the existing corn law is preferable to any other. I haven’t yet seen any better proposition, I think there is none which gives a better chance of security.”*  
*(Mason, 1843:154)*

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ რობერტ პილი არღვევს პოლ გრაისის *თვისობრიობისა და მანერის მაქსიმებს*: ნაცვლად იმისა, რომ მიწოდებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და თანმიმდევრული, პილის მოსაზრებების ხშირი ცვალებადობა აუდიტორიის დაბნევას იწვევს და რეალურად რთულდება იმის გაგება თუ რას ფიქრობს იგი სინამდვილეში.

ზემოთ აღნიშნული ეპიზოდების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რობერტ პილის მოსაზრებები პურის კანონთან მიმართებაში დროთა განმავლობაში რადიკალურად იცვლება და აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, პილი გარკვეული დროის ინტერვალით ცვლის და

კვლავ უბრუნდება მის უწინდელ მოსაზრებებს და საბოლოო ჯამში ეს პროცესი ხშირი აზრთა ცვლილებების ერთ დიდ დაუსრულებელ ჯაჭვს ქმნის.

შემდეგ მონაკვეთში (VIII) პილი განმარტავს 1838-39 წლების მონეტარული სისტემის კრიზისის მიზეზებს და აღნიშნავს, რომ ხორბალზე უეცარი, მკვეთრი მოთხოვნა მისი უკონტროლოდ ჭარბი რაოდენობით შემოდინების მიზეზი ხდება, თუმცა ამის ფონზე, რადგანაც არ ხდება შესაბამისი რაოდენობის სამრეწველო პროდუქტის იმპორტზე გატანა, ეს პირდაპირ აისახება მონეტარულ სისტემაზე და მის მოშლას, რღვევას იწვევს:

*(VIII) "It is said that a sudden demand for corn leads to an immense importation, and that in consequence of the suddenness of the demand, there is no corresponding export of manufactured articles; that the corn imported has necessarily to be paid for in gold, and that the stock of gold in the Bank must in consequence necessarily be exhausted. Now, there was a derangement in the course of the years 1838 and 1839; but then, when it is assumed that derangement was necessarily caused by the operation of corn laws. I deny the inference. I deny that the corn laws caused all this derangement – I deny that they caused that demand for corn which necessarily led to a derangement of the monetary system and a drain on the specie in the Bank. It cannot be asserted with certainty that the corn laws caused the derangement."* (Groombridge, 1844: 137)

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, რობერტ პილი მიუთითებს, რომ წარმოუდგენელია დარწმუნებით, დანამდვილებით იმის მტკიცება, რომ 1838-39 წლების მონეტარული კრიზისის რეალური მიზეზი პურის კანონია და



საკუთარ მოსაზრებაში აუდიტორიის დასარწმუნებლად გამეორების ერთ-ერთი ფორმას, ანაფორას, მიმართავს. ზედიზედ სამი თანმიმდევრული წინადადების დასაწყისში ფრაზის “*I deny*” - გამეორება კი პილის პოლიტიკური დისკურსის ამ ნაწილებს, უდავოდ სიმეტრიულობასა და რიტმულობას ძენს და მათ აუდიტორიისთვის მარტივად დასამახსოვრებელს ხდის.

ამასთან ერთად, ვნებითი გვარის მიზანმიმართული გამოყენებაც: “*It is said that*” , “*it is assumed that*,” - **პასუხისმგებელი პირის დეპერსონიზაციის** მიზანს ემსახურება, რის შედეგადაც ბუნდოვანია, თუ ვინ არის მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელი, თუმცა აშკარაა, რომ რობერტ პილი იხსნის თავის წილ პასუხისმგებლობას.

საინტერესოა, თუ რა აძლევს პილს საპირისპიროს მტკიცების საფუძველს, მაშინ როდესაც თვითონვე განმარტავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ხორბლის უკონტროლო შემოდინებასა და მონეტარული სისტემის მოშლას შორის, რაც ცალსახად მიუთითებს პურის კანონის გაუმართაობაზე. ეს სწორედ ის კანონია, რომელსაც რობერტ პილი დახვეწილს, წინასწარ გათვლილ-განგარიშებულს უწოდებს, თუმცა, მოცემული მონაკვეთი (VIII) სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს და აშკარაა, რომ ამ კანონს არ გააჩნია არანაირი ბერკეტი, რაც უზრუნველყოფდა ქვეყანაში მონეტარული სისტემის კოლაფსის თავიდან არიდებას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რობერტ პილი აღნიშნულ მონაკვეთში (VIII) არღვევს დემერის **სტრუქტურის კატეგორიას**, რამეთუ მისი დასკვნა სრულიად უსაფუძვლოა და წინააღმდეგობაში მოდის წინამძღვრებთან, ამიტომ ის ცრუ არგუმენტაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

რობერტ პილი, საფრანგეთისა და ამერიკის მაგალითებზე დაყრდნობით, ცდილობს სამიზნე აუდიტორია დააჯეროს, რომ მონეტარული სისტემის

მოშლა პურის კანონით არ არის გამოწვეული, რამეთუ იგივე პროცესებს ადგილი ჰქონდა საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც პურის კანონი მონეტარული კრიზისის გამომწვევი, განმაპირობებელი მიზეზი ვერ გახდებოდა:

(IX) *“In the first place, you should observe, that the same derangement took place in France. In that country there was the same derangement in the monetary system; in the United States there was also the same derangement in the monetary system and the same drain for bullion, involving necessarily a suspension of cash payments. These circumstances show that it is perfectly impossible that the derangement can be attributed to any cause like operation of corn laws.” (Groombridge, 1844: 136)*

მართალია, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მონეტარული სისტემის მოშლა მართლაც პურის კანონით არ ყოფილა განპირობებული, თუმცა ეს არ გვაძლევს ბრიტანეთზე იმავეს თქმის მყარ საფუძველს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ 1838-39 წლების მონეტარული სისტემის მოშლის მიზეზად ხორბალზე უეცარი, მკვეთრი მოთხოვნა და მისი უკონტროლოდ ჭარბი რაოდენობით შემოდინება სახელდება.

შესაბამისად, რობერტ პილის მიერ საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად არასაკმარისი მაგალითების მოხმობა : *“drawing a conclusion from insufficient sample of cases” (Damer, 2009:161)*, **ცრუ არგუმენტების** ნათელი ნიმუშია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს როგორც **საკმარისობის**, ასევე **კრიტიკული არგუმენტის ეფექტურად მოგერიების** კრიტერიუმებს, რადგან აშკარაა, რომ რობერტ პილი განგებ უგულვებელყოფს მნიშვნელოვან კონტრარგუმენტებს, რომლებიც სრულიად საპირისპიროს მოწმობენ:

*“Ignoring any important evidence unfavorable to one’s position, giving the false impression that there is no significant evidence against it.” (Damer, 2009:195)*

ამავე მონაკვეთში (IX) პილი კვლავ მიმართავს გამეორების ერთ-ერთ სახეობას, ანაფორას, და ზედიზედ სამი თანმიმდევრული წინადადების დასაწყისში იმეორებს ფრაზას *“the same derangement”*, რაც ემფატურს ხდის აღნიშნულ პასაჟს და განსაკუთრებულ სიმეტრიულობასა და რიტმულობას სძენს მას. ყოველი ეს კი კრავს და აძლიერებს მის მოსაზრებებს და სიტყვის ეს ნაწილები აუდიტორიისთვის ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელია. ექსკლუზიურად ნახმარი მეორე პირის ნაცვალსახელი - *“you”* გაურკვეველს ხდის რეალური ადრესატის ვინაობას, რადგან შეიძლება ის მიემართებოდეს მთელს აუდიტორიას ან მის გარკვეულ ნაწილს, ეს აუდიტორიის გადასაწყვეტია თუ რამდენად ხედავენ ისინი თავიანთ თავს აღნიშნული მიმართვის ადრესატებად:

*(IX) “ In the first place, you should observe, that the same derangement took place in France.” (Groombridge, 1844: 136)*

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შემდეგი ეპიზოდი (X), სადაც პილი ოსტატურად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიზანმიმართული უგულვებელყოფის ხარჯზე არღვევს პოლ გრაისის *თვისობრიობის მაქსიმას*, რაც აუდიტორიისთვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს, პილი განგებ ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, კერძოდ აღნიშნავს, რომ 1838-39 წლებში ბრიტანელ ხალხს სამი უბედურება ერთდროულად დაატყდა თავს:

- 1) მონეტარული სისტემის მოშლა;
- 2) ოქროს, ფულის დიდი რაოდენობით გადინება;
- 3) უკონტროლოდ ჭარბი რაოდენობით ხორბლის შემოდინება;

სწორედ ხორბლის უკონტროლო შემოდინებამ განაპირობა დიდი ოდენობით ოქროს გადინება და მონეტარული სისტემის კოლაფსი, რაც ცალსახად მიანიშნებს პურის კანონის გაუმართაობაზე:

(X) *“It must be admitted that in the years 1838 and 1839 there were **three concurrent evils**- there was the derangement of the currency, **there was** the drain of specie, and **there was** an immense import of foreign corn. Now, it is possible that the corn laws may have been, in this instance, the cause of that which is attributable in former periods to other circumstances: I say it is possible that this may have been so. That the operation of the corn laws may have had some effect on currency, it is impossible to deny.*

*But then the question is – not whether the suddenness of the demand is an evil – for of that there can be no doubt but whether we can take any means of defence against it? It is impossible to deny that the system must have a **partial effect**; but then, seeing that the price the vicissitude of the seasons, how can we take any precaution, by human prudence or human legislation, against the recurrence of such sudden necessity ..... The corn laws may have aggravated the evil – that I do not deny; but I do deny that they were the exclusive cause of it. To deny that their tendency is to increase pre-existing evils arising from other causes, would be unwise.” (Hansard, 1840: 519)*

ამასთან ერთად, თუ VIII ეპიზოდში პილი კატეგორიულად უარყოფდა პურის კანონის შესაძლო მონაწილეობას მონეტარული სისტემის რღვევაში: *“I deny that the corn laws caused all this derangement” (Groombridge, 1844:137)* მოცემული მონაკვეთი (X) მოწმობს, რომ მისი დამოკიდებულება აღნიშნული

საკითხისადმი მნიშვნელოვნად იცვლება და პილი ამჯერად უშვებს ვარაუდს, რომ პურის კანონმა გამოიწვია მონეტარული სისტემის კოლაფსი:

(X) *“Now, it is possible that the corn laws may have been, in this instance, the cause of that which is attributable in former periods to other circumstances: I say it is possible that this may have been so.”*  
(Hansard, 1840:519)

ყურადღებას იპყრობს პილის ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებათა მთელი ჯაჭვი, რაც ნათლად აჩვენებს მისი პოზიციის მერყეობას, არამდგრადობას, ცვალებადობას; ყოველივე ეს საბოლოოდ მისი სიტყვების უტყუარობაში ეჭვის შეტანის რეალურ საფუძველს ქმნის, რომ არაფერი ვთქვათ ორაზროვანი განცხადებების სიუხვეზე, რომლებიც ცალსახად აუდიტორიის დაბნევას იწვევს:

- *“I deny the inference. I deny that the corn laws caused all this derangement;”*
- *“The operation of the corn laws may have had some effect on currency, it is impossible to deny;”*
- *“It is impossible to deny that the system must have a partial effect;”*
- *“The corn laws may have aggravated the evil – that I do not deny;”*
- *“I do deny that they were the exclusive cause of it;”*

ზემომოყვანილი მაგალითების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე იკვეთება, რომ პილი საწყის ეტაპზე კატეგორიულად უარყოფს პურის კანონის ბრალეულობას სავალუტო კოლაფსში: *“I deny that the corn laws caused all this derangement”*, თუმცა, შემდგომ ის მნიშვნელოვნად ცვლის

საკუთარ მოსაზრებას და ნაკლებად კატეგორიული ჩანს თავის *განცხადებაში*:  
“*the corn laws may have had some effect on currency, it is impossible to deny*” რასაც ის მოდალური ზმნის “*may*”-ს საშუალებით ახერხებს, ეს ორი მონაკვეთი კი ნათლად მიანიშნებს, თუ რამდენად ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს აჟღერებს ბრიტანეთის პრემიერი.

პილის მიერ ურთიერთგამომრიცხავი იდეების გაჟღერება ამით როდი მთავრდება: თუ თვალს მივადევნებთ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით პილის მოსაზრებათა ქრონოლოგიას, ვნახავთ, რომ ის ამის შემდგომ კვლავ კატეგორიულია, თუმცა ამჯერად პილი დანამდვილებით მიუთითებს პურის კანონის ნაწილობრივ როლზე მონეტარულ კოლაფსში, რისთვისაც მოდალურ ზმნას “*must*” - მიმართავს:

“ *the system **must** have a **partial effect**” (Groombridge, 1844: 137)*

თუმცა ამის შემდგომ პილი კვლავ მოდალური ზმნის “*may*” გამოყენებით ცდილობს პურის კანონის როლის შემსუბუქებას აღნიშნულ კრიზისში, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ, მართალია, პურის კანონმა ეს ბოროტება გაამძაფრა, თუმცა უშუალოდ მონეტარული კოლაფსის განმაპირობებელი მიზეზი ის არ ყოფილა:

“*The corn laws **may** have aggravated the evil- that I do not deny, but I **do deny** that they were the exclusive cause of it.*” (Hansard, 1840:519)

ამასთან აუდიტორიის ყურადღების გადასატანად პილი მიმართავს რიტორიკულ შეკითხვას, ნაცვლად მტკიცებითი ფორმისა ის საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს რიტორიკული კითხვის სხვადასხვა ფორმით, რომელთა მიზანს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა როდი წარმოადგენს, არამედ კონკრეტული მოსაზრების აქცენტირება და ხაზგასმა, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ნახმარ ინკლუზიურ ნაცვალსახელს “*we*” პილი აუდიტორიასა და ორატორს

შორის დისტანციის შემცირებისა და მათთან პასუხისმგებლობის გაზიარების მიზნით მიმართავს :

*X. “But then the question is – not whether the suddenness of the demand is an evil – for of that there can be no doubt but whether we can take any means of defence against it? It is impossible to deny that the system must have a partial effect; but then, seeing that the price and the quality of the article depend as well upon the uncertainty as the vicissitude of the seasons, how can we take any precaution, by human prudence or human legislation, against the recurrence of such sudden necessity.” (Hansard, 1840: 519)*

პილი ცდილობს აუდიტორიის ყურადღების მობილიზებასა და კონკრეტულ საკითხზე მათი ყურადღების გამახვილებას, რაც ერთგვარად უბიძგებს აუდიტორიას მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ არსებული მონეტარული კოლაფსის მიზეზები არა პურის კანონში, არამედ ხორბალზე არაპროგნოზირებად სეზონურ მოთხოვნაში უნდა ეძებონ, რომლის წინასწარ განჭვრეტაც გამჭრიახ, წინდახედულ ადამიანსაც კი არ ძალუძს; პილი ოსტატურად ახერხებს საკუთარი ფარული პოლიტიკური მოტივების შენიღბვას და კითხვას, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ ბოროტების განმეორების თავიდან არიდება, ის უპასუხოდ ტოვებს, რათა აუდიტორიას აფიქრებინოს, რომ ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ იმ აზრამდე, რომ შეუძლებელი იყო ამ ბოროტების წინასწარ განჭვრეტა და თავიდან არიდება; ყოველივე ეს აუდიტორიის ნდობის მოპოვებისა და დარწმუნების მიზანს ემსახურება.

ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობს, თუ რამდენად ოსტატურად, სხვადასხვა რიტორიკულ-სტილისტური ხერხის, სიცრუით მანიპულაციის ტექნიკის ხშირი გამოყენებით ცდილობს პილი შენიღბოს სიმართლე, რათა

უარყოფს ან თუნდაც შეამსუბუქოს პურის კანონის როლი მონეტარული სისტემის რღვევაში, თუმცა სულ რაღაც ორი წლის შემდეგ 1842 წელს პილს თითქოს ავიწყდება მთელი ის ძალისხმევა, რაც მან აუდიტორიის სიცრუეში დასარწმუნებლად გასწია და აღიარებს რომ მონეტარული სისტემის რღვევა უშუალოდ პურის კანონით არის გამოწვეული:

(XI) *“Corn laws held out no encouragement to a fair and steady trade, but, on the contrary, that its irregular fluctuations led to sudden large importations, in return for which we had to send out our gold.” (Baldwin, 1843: 284)*

შესაბამისად, აღნიშნული მონაკვეთი რობერტ პილის ცრუ არგუმენტაციაში მხილებს უტყუარი მტკიცებულებაა. მიუხედავად ამ აღიარებისა, საინტერესოა, როგორ ოსტატურად ახერხებს რობერტ პილი პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ინკლუზიური ნაცვალსახელის “we” და მოდალური ზმნის „have to” კომბინაციის ხარჯზე აუდიტორია მომხდარში პასუხისმგებლობის თანაზიარი გახადოს: *“we had to send out our gold” (Baldwin, 1843:284)* რაც მისი მხრიდან *ემოციით მანიპულაციისა* და პათოსის ელემენტების გამოყენებით აუდიტორიაში სასურველი ემოციის კერძოდ სიბრაღულის, თანაგრძნობის გამოწვევას ისახავს მიზნად.

რობერტ პილი თავის 1828 წლის საპარლამენტო გამოსვლაში (XII) ამართლებს იმ ფაქტს, რომ კონკრეტული კლასების ინტერესებს მუშათა კლასის ინტერესები ეწირება და მეტიც, მიაჩნია, რომ, სამწუხაროდ, ეს სხვა კლასების გადარჩენის აუცილებელი პირობაა:

(XII) *“ I should be sorry to purchase a depression of the price of bread , at the risk of interfering injuriously with those vested interests which are so*



*essential to the maintenance of the other classes of the state.” (Baldwin, 1843:155)*

თუმცა თუ განვიხილავთ მის 1839-1842 წლების გამოსვლებს (XIII-XIV) ვნახავთ, თუ როგორ რადიკალურად იცვლება მისი შეხედულებები: აღნიშნულ მონაკვეთებში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ პურის კანონი თანაბრად უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო მიწათმფლობელთა, არამედ მთელი ქვეყნის და მათ შორის მუშათა კლასის ინტერესებს და თანაბრად უნდა უზრუნველყოფდეს ყველა კლასის კეთილდღეობას:

(XIII) “ *I consider the statement that the condition of the labourer has been rendered worse by the Corn-law, a most important one; and I have no hesitation in saying , that unless the existence of the corn law can be shown to be consistent, not only with the prosperity of agriculture, and the maintenance of the landlords’ interest, but also with the protection and the maintenance of the general interests of the country, and especially with the improvement of the condition of the laboring class , the corn law is practically at the end.” ( Mason, 1843:155)*

(XIV) “ *The protection which I propose to retain, I do not retain for the especial protection of any particular class. Protection cannot be vindicated on that principle. The only protection which can be vindicated is that protection which is consistent with the general welfare of all classes in the country. I should not consider myself a friend to the agriculturist, if asked for a protection with the view of propping up rents, or for the purpose of defending his interest , or the interests of any particular class, and in the proposition I now submit to the house, I totally disclaim any such intention. “( Fay, 1932: 180)*

XII ეპიზოდში რობერტ პილი მიმართავს *ემოციებით მანიპულაციის* ხერხს და ფრაზით: “*I should be sorry to purchase depression*” - სურს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ის სიბრაღულითა და თანაგრძნობით არის გამსჭვალული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მუშათა კლასის მიმართ; ამით ის სამიზნე აუდიტორიაში მისთვის სასურველი ემოციური განწყობის შექმნას ახერხებს.

საინტერესოა, რომ თუ XII ეპიზოდში მუშათა კლასის ინტერესები უცილობოდ სხვა კლასის ინტერესებს უნდა შეწირვოდა, XIII ეპიზოდში, რატომღაც, სწორედ მუშათა კლასის ინტერესების გათვალისწინება გახდა საჭირო: “*especially with the improvement of the condition of the laboring class*”; და რადგანაც მოცემული ორი ეპიზოდი ურთიერთ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, ეს რობერტ პილის პოლიტიკური სიტყვის სანდოობის, უტყუარობის მიმართ ეჭვის შეტანის კიდევ ერთ მყარ საფუძველს ქმნის.

ხოლო XIV ეპიზოდში კი პარალელური კონსტრუქციები შინაარსის ადვილად ინტერპრეტირების და აღქმის საშუალებას იძლევა, რაც პოლიტიკურ სიტყვას სამიზნე აუდიტორისთვის ადვილად დასამახსოვრებელსა და აღსაქმელს ხდის და მისი დარწმუნების მიზანს ემსახურება.

XV მონაკვეთში რობერტ პილი გაზრდილი მოსახლეობის რაოდენობისა და ხორბლის წარმოებაში გამოყენებული მიწის ოდენობის მკვეთრად შემცირების პროპორციულად ხორბლის მარაგების სხვა ქვეყნებიდან იმპორტის საჭიროების აუცილებლობაზე საუბრობს. ამასთან როგორც პილი აღნიშნავს, გაზრდილი სამრეწველო წარმოების ფონზე მკვეთრად შემცირებული ხორბლის წარმოება სოფლის მეურნეობის დარგის კრიზისზე როდი მიუთითებს, რამეთუ მიწა რომელიც სამრეწველო პროდუქტების წარმოებას ეთმობა იგივენაირად მომგებიანია ქვეყნისთვის:

(XV) “*It cannot be denied, that in consequence of the growing population of this country, there is a necessity for looking to other countries for a supply. It is*

*impossible not to see that, in proportion to the increase of population of late years, the quantity of **land employed in the production of corn is diminished**, but it is appropriated to the production more profitable articles. The increase of manufactures may diminish the growth of corn, but it does not follow that agricultural prosperity is thereby depressed. The land is devoted to the production of milk and butter, and other articles yielding an equally profitable return. It is proved to be that at any particular time there is less corn is grown in this country, I will not, therefore, admit agriculture is less flourishing. I would first inquire whether other articles are not produced in its stead, which furnish a suitable price.” (Baldwin, 1843:156)*

თუმცა რობერტ პილის მოსაზრება ხორბლის იმპორტთან მიმართებაში რადიკალურად იცვლება, და თუ ის 1828 წელს მოსახლეობის ზრდის პროპორციულად ხორბლის სხვა ქვეყნებიდან იმპორტის აუცილებლობას უსვამდა ხაზს, 1842 წელს ხორბლის იმპორტი უკვე უბედურებასთან არის გაიგივებული და სწორედ ამიტომ საერთო უბედურებისა თუ კატასტროფის თავიდან ასარიდებლად პილი განმარტავს, რომ უმჯობესია ბრიტანელმა ხალხმა დამატებითი თანხა იხადოს ადგილობრივად წარმოებულ პროდუქტზე, ვიდრე მეტწილად ან მთლიანად უცხოურ, იმპორტირებულ ხორბალზე იყოს დამოკიდებული:

*(XVI) “I **certainly do consider**, that it is for the interest of all classes that **we** should be paying occasionally a small additional sum upon **our** own domestic produce, in order that **we** may thereby establish security and insurance against those calamities that would ensue, if **we** became altogether, or in a great part, dependent upon foreign countries for **our** supply.” (Baldwin, 1843: 286)*

პილი საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად, სამიზნე აუდიტორიის ემოციებზე მანიპულირებით, ცდილობს დაარწმუნოს ისინი თავისი არგუმენტაციის უტყუარობაში, რასაც ის მოვლენების განგებ დამძიმებით ახერხებს და საზოგადოებას არწმუნებს, რომ რეალურია იმის საფრთხე, რომ სეზონური ცვალებადობის შედეგად ხორბალზე დეფიციტის არსებობის შემთხვევაში ქვეყნებმა, რომლებიც ბრიტანეთში ხორბლის იმპორტს უზრუნველყოფენ შეწყვიტონ ხორბლის ექსპორტი და მხოლოდ შიდა მოთხოვილების დაკმაყოფილებით შემოიფარგლონ, რაც პილის მხრიდან საზოგადოების განგებ დაშინების, მათში შიშისა და პანიკის დათესვის მიზანს ემსახურება, რითაც ის არღვევს დეიმერის *რელევანტურობის კატეგორიას*:

*“ If an arguer tries to force another to accept a particular belief or a course of action by threatening with some undesirable action or state of affairs, then the arguer is guilty of using irrelevant appeal, which is clear violation of the relevance criterion of a good argument. ” (Damer, 2009:106)*

ამასთან ამავე ეპიზოდში (XVII) ზედიზედ ორჯერ ნახმარი ფრაზა „ *My belief is* “-ცრუ არგუმენტირების ერთ-ერთი ფორმის *ავტორიტარიზმის* ნათელი გამოხატულებაა, რაც გულისხმობს, რომ აუდიტორიის მხრიდან ორატორისადმი რწმენა მომდინარეობს არა მისი კომპეტენტურობიდან, ცოდნიდან და გამოცდილებიდან არამედ მისი თანამდებობრივი ძალაუფლებიდან:

*“Authoritarianism consists in accepting another’s authority, not because of that person’s skill, knowledge, or expertise in a field but because of his power or influence over the one to whom the argument is directed. ” (Damer, 2009:106)*

(XVII) *“My belief is, that alteration of seasons will continue to take place; that whatever laws you may pass, you will still occasionally have to encounter deficient crops, that the harvest of other counties will also at times be deficient; and that, if you found yourselves dependent upon foreign*

*countries for so important an amount of corn as 4,000,000 or 5,000,000 quarters, under these circumstances, and at a time when the calamity of a deficient harvest happened to be general, my belief is, that the principle of self-preservation would prevail in each country, that an impediment would be placed upon the exportation of their corn, and that is would be applied to their own sustenance.” (Hooper, 1843: 286)*

ამასთან ერთად, რობერტ პილის 1842 წლის გამოსვლიდან ნათლად ჩანს, რომ ბოლო 4 წლის მონაცემების გათვალისწინებით ბრიტანეთის ხორბლის მარაგების მეტი წილი სწორედ იმპორტირებულ უცხოურ ხორბალზე მოდიოდა, რაც ცხადყოფს ამ ქვეყნის მუდმივ უუნარობას თავისივე წარმოებული პროდუქციით დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნა ხორბალზე; მიუხედავად არსებული რეალობისა, პილი 1842 საპარლამენტო სიტყვაში უცხოურ ხორბალზე დამოკიდებულების წინააღმდეგ გამოდის და უარს ამბობს თვალი გაუსწოროს რეალობას:

*“Now I am not prepared to admit that this country is unable, in ordinary years, to supply its own population.” (Fay, 1932:166)*

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივად წარმოებული ხორბლის რაოდენობის შემცირებისა და გაზრდილი მოსახლეობის მოთხოვნის პროპორციულად, ხორბლის იმპორტის საჭიროების გარდაუვალი აუცილებლობა ჯერ კიდევ 14 წლის წინ იდგა, რასაც 1828 წლის პილის განცხადებაც მოწმობს, კერძოდ პილი თავადვე ღიად აღიარებს იმპორტის აუცილებლობას:

*“It cannot be denied, that in consequence of the growing population of this country, there is a necessity for looking to other countries for a supply.” (Fay, 1932:166)*

თუმცა იმ განცხადებას სადაც პილი ღიად უპირისპირდება უცხოური ხორბლის იმპორტს ქრონოლოგიურად უსწრებს მისი იმავე წელს გაკეთებული განცხადება, სადაც პილი იმედს იტოვებს, რომ ბრიტანეთი მომავალში შეძლებს შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას:

*“ I nevertheless do not abandon the hope that this country, on the average of years , may produce a sufficiency for its own necessities.” (Hooper,1843: 286)*

საინტერესოა, რომ რობერტ პილი ჯერ აღიარებს ბრიტანეთის უუნარობას დააკმაყოფილოს ადგილობრივი შიდა მოთხოვნა და იმედს გამოთქვამს, რომ ერთ დღესაც ბრიტანეთმა შესაძლოა შეძლოს საკუთარი ხალხის მიერ ადგილობრივად წარმოებული ხორბლის მარაგებით ქვეყნის შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება, ხოლო შემდგომ კი იგი უარყოფს ფაქტს, რომ ბრიტანეთი ვერ ახერხებს ადგილობრივი ბაზრის საჭირო მარაგებით უზრუნველყოფას, ეს მაშინ როცა მისივე წარდგენილი ფაქტები სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს და პირდაპირ მიანიშნებენ მისი მსჯელობის აბსურდულობაზე. მაგალითისთვის, ბოლო 4 წლის მანძილზე იმპორტირებული ხორბლის რაოდენობა, რომელიც 2,300,000 ტონას აჭარბებს, ან მისივე აღიარება, რომ ბოლო წლებში მეტი წილი შიდა მოთხოვნისა სწორედ უცხოური მარაგებით დაკმაყოფილდა:

*“We were dependent on foreign supplies for a great proportion of our consumption.” (Fay,1932:166)*

თუმცა პილის მიერ აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა და მათი სიცრუეში დარწმუნების მცდელობა ამით არ მთავრდება, პილი განგებ რეალური სურათის დასაფარად აქცენტს წარსულზე აკეთებს, რამეთუ ამგვარად ბრიტანეთში იმპორტირებული ხორბლის წლიური წილი გაცილებით ნაკლები გამოდის :

*“ But if **we** take twelve or thirteen years, than it would appear that, on the whole, the annual average importation of foreign corn was considerably smaller. “ (Fay, 1932:166)*

აღნიშნულით პილი არღვევს დეიმერის *რელევანტურობის* კატეგორიას, რადგან რეალური სურათის შეფასებისას ის ადრინდელ მონაცემებს ეყრდნობა და შეგნებულად უგულებელყოფს იმ ცვლილებებს, რაც საბოლოო სურათს არსებითად ცვლის:

*“Evaluating a thing in terms of its earlier context and then carrying over that evaluation to the thing in the present, while ignoring relevant changes that may have altered its character in the interim.” ( Damer, 2009: 93)*

პილი აღნიშნავს, რომ თუ ვითარებას არა ახლანდელი, არამედ ბოლო 12-13 წლის მონაცემებით შევაფასებთ, აღმოჩნდება რომ იმპორტირებული ხორბლის წილი შედარებით ნაკლებია, რაც მისი მხრიდან ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის უპირატესობის აქცენტირებისა და აღნიშნულში საზოგადოების დარწმუნების მიზანს ემსახურება, მაშინ როცა აშკარაა რომ წლებთან ერთად იზრდება იმპორტირებული ხორბლის რაოდენობა და ამის პროპორციულად იზრდება ბრიტანეთის იმპორტირებულ ხორბალზე დამოკიდებულებაც:

*(XVIII) “I agree that for the last four years the average supply of this country has been unequal to the demand; but in considering this question, it becomes important to ascertain what is the probability that this country from its own resources can be able to supply its own population. Now I am not prepared to admit that **this country is unable , in ordinary years, to supply its own population** If I formed my judgement from the circumstances of last four years, I should have been compelled to conclude that **we** were dependent on*

*foreign supplies for a great proportion of our consumption, I should have been compelled to come to this conclusion, because the average of the last four years' importation of foreign corn into this county was, 2,300,000 quarters. But if we take twelve or thirteen years, than it would appear that, on the whole, the annual average importation of foreign corn was considerably smaller.*“ (Fay,1932:166)

ასევე დიდ ინტერესს იწვევს რობერტ პილის ხორბლის იმპორტთან დაკავშირებით ხშირი აზრთა სხვადასხვაობა, მაგალითად 1842 წლის თებერვალში ის კატეგორიულად წინააღმდეგია დიდი ოდენობით იმპორტირებულ ხორბალზე მუდმივი დამოკიდებულებისა და იმედს გამოთქვამს, რომ ბრიტანეთი დამოუკიდებლად შეძლებს შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას:

(XIX) *“I would **certainly** not be a party of to any measure, the effect of which would be to make **this country permanently dependent upon foreign countries for a very considerable portion of its supply in corn.**“* (Baldwin, 1843:286)

თუმცა იმავე წლის ივლისში, სულ რაღაც 5 თვის შემდეგ პილი სრულიად ცვლის საკუთარ პოზიციას და ამჯერად ის იმპორტირებული ხორბლის რეგულარული ზრდის აუცილებლობაზე საუბრობს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მონეტარული სისტემის რღვევა, ეს მაშინ როცა პილი საწყის ეტაპზე კატეგორიულად უარყოფდა პურის კანონის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს 1838-39 წლების მონეტარული სისტემის კოლაფსთან :

(XX) *“It appears to me that **we may calculate upon a regular and gradually-increasing importation.** In expressing this opinion, I would not be understood to draw a too sanguine inference from the short experience which the*



*operation of the measure has afforded; but I am opinion that we shall have such a regular influx of foreign corn as will not tend to derange the monetary system, and that, in addition to the regularity of the supply, we may also look for a gradual increase.” ( Baldwin, 1843: 284)*

შესაბამისად რობერტ პილის რეალური პოზიცია აღნიშნული საკითხის მიმართაც კვლავ გაუგებარი და ბუნდოვანია, ხოლო მისი მოსაზრებების ცვალებადობა უდავოდ აუდიტორიის დაბნევას იწვევს და ეჭვქვეშ აყენებს მისი სიტყვების სანდოობისა და უტყუარობის საკითხს.

## 2.2.2 ცნობილი ავტორიტეტების მოხმობის სტრატეგია

პოლიტიკოსები ხშირად თავიანთი მოსაზრებების მართებულობის დასამოწმებლად, მეტი სარწმუნოებისთვის ცნობილი ავტორიტეტების მოხმობის სტრატეგიას მიმართავენ, რამეთუ ავტორიტეტების ციტირება სტრატეგიული მანევრირების ნაცადი გზაა :

*“Using arguments from authority is potentially a sound way of strategic manoeuvring.”*  
*(Ribeiro, 2009:68)*

თუმცა სიტყვით გამომსვლელმა უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე ფაქტორი: მაგალითად, თუ რამდენად კომპეტენტურია კონკრეტული ავტორიტეტი და აღიქმება თუ არა ის ავტორიტეტად სამიზნე აუდიტორიაში, კონკრეტული ავტორიტეტის მოხმობა რამდენად იძლევა კრიტიკული არგუმენტის ეფექტურად მოგერიების გარანტიას და სხვ.

რობერტ პილის პურის კანონთან დაკავშირებით საპარლამენტო გამოსვლების ანალიზი გვაძლევს იმის თქმის მყარ საფუძველს, რომ ის საკუთარი

მოსაზრებების გასამყარებლად და დასასაბუთებლად აქტიურად მიმართავს ცნობილი ავტორიტეტების მოხმობის სტრატეგიას, ხოლო მის მიერ მოხმობილ ავტორიტეტებს შორის არიან გავლენიანი პოლიტიკური ეკონომისტები, მრეწველები, ფილოსოფოსები, ფილოლოგები, მინისტრები, ბიზნესმენები, პარლამენტის წევრები და სხვ.

ქვემოთმოცემულ მონაკვეთში (1) პილის მიერ გავლენიანი ავტორიტეტების მოხმობა პურის კანონის მანკიერი მხარეების შენიღბვასა და მიწათმფლობელთა ინტერესების გატარების მიზანს ემსახურება; პილი ჯერ განგებ ამძაფრებს რეალურ სურათს და არაერთგზის იმეორებს სიტყვებს “burden”- ტვირთი, “tax”- გადასახადი, რითაც სამიზნე აუდიტორიაში მისთვის სასურველი ემოციური ფონის შექმნას ახერხებს და მათ მიწათმფლობელთა კლასის მიმართ სიბრაღულითა და თანაგრძნობით განაწყობს.

საკუთარი მოსაზრების დასასაბუთებლად და გასამყარებლად პილი არ ერიდება პოლიტიკური ეკონომისტების ხსენებას, თუმცა საგულისხმოა, რომ ის არ ეყრდნობა რომელიმე ერთ კონკრეტულ ავტორიტეტს, მეტი დამაჯერებლობისთვის იმოწმებს ყველა პოლიტიკურ ეკონომისტს, რაც აუდიტორიას მის ნათქვამში ეჭვის შეტანის საფუძველს ფაქტობრივად არ უტოვებს. თუმცა საკითხავია, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ ყველა პოლიტიკური ეკონომისტი მის აზრს თანაბრად იზიარებდეს.

მართალია, პილი მის წილ პასუხისმგებლობას პოლიტიკურ ეკონომისტებთან იზიარებს, თუმცა პოლიტიკური ეკონომისტების კოლექტიურად მოხსენიების ხარჯზე ბუნდოვანია, თუ ვინ არის რეალურად პასუხისმგებელი აღნიშნული ინფორმაციის უტყუარობაზე:

- (1) *“Before you determine to take off the restriction on the import of foreign corn , you ought first to look at the **burdens** to which the landholder is subject, and the difference in degree in which those **burdens**, whether they be local or*

*public burdens, press upon the landed proprietor and the manufacturer respectively. Consider the **land tax**, the **malt tax**, and the payment of titles: for tithes are admitted by all political economists who have written on the subject of free trade in corn, to be a tax particularly burdensome to the land and for which the land is entitled to equivalent protection.* ”( Mason, 1843:157)

აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში რობერტ პილს არ ერიდება სწორედ ამ ავტორიტეტების უარყოფით კონტექსტში მოხსენიებასაც, თუ საკითხი ნეგატიურ შედეგებზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ეხება.

დადებითი თვითპრეზენტაციისთვის და საკუთარი სახის, რეპუტაციის შესანარჩუნებლად, პილი მზად არის პოლიტიკური ეკონომისტების კომპეტენტურობის საკითხი, რომელთა რეპუტაციაც და ავტორიტეტიც ერთ შემთხვევაში ნდობის, პატივისცემის საგანია, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს :

(II) “ I have read all that has been written by the **gravest authorities on political economy** on the subject of rent, wages, taxes, tithes, -the various elements, in short, which constitute or affect the price of agricultural produce. Far be it from me to depreciate that **noble science** which is conversant with the laws that regulate the production of wealth, and make human industry most conducive to human comfort and enjoyment. But I must at the same time confess, with **all respect for that science and its brightest luminaries**, that **they have failed to throw light** on the obscure and intricate question of the nature and amount of those special burdens upon agriculture which entitle it to protection from foreign competition; and not only do not find in their lucubrations any solution of the difficulties, but I find the difficulties greatly increased by the **conflict of authorities**.” (Bowring, 1843:289)

აღნიშნულ მონაკვეთში (II) რობერტ პილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ურთიერთწინააღმდეგობრივია, რაც ცალსახად აუდიტორიის დაბნევას იწვევს, პილის მოსაზრებები პოლიტიკურ ეკონომიკასა და პოლიტიკურ ეკონომისტებზე ორაზროვანია: ერთი მხრივ, პოლიტიკურ ეკონომიკას, როგორც დიდებულ, ბრწყინვალე მეცნიერებად -“*noble science*“; ხოლო პოლიტიკურ ეკონომისტებს მეტაფორულად „კაშკაშა მნათობებად“- “*brightest luminaries*” მოიხსენიებს, თუმცა ამასთან ერთად გამოკვეთს მათ ბრალეულობას, რამეთუ მიუხედავად მათი გამოცდილებისა და რეპუტაციისა, ნაცვლად იმისა, რომ მეტი სიცხადე და სიაშკარავე შემოეტანათ და რეალურად შეეფასებინათ იმ ტვირთის სიმძიმე, რაც მიწათმფლობელებს უცხოური კონკურენციისგან დაცვის სანაცვლოდ აკისრიათ, მათ ერთმანეთში უთანხმოებითა და კამათით მხოლოდ მეტი ბუნდოვანება და გაურკვევლობისა შემოიტანეს ამ საკითხში:

(II) “*But I find the difficulties greatly increased by the **conflict of authorities.***“  
(*Bowring, 1843:289*)

(III) “*Perplexed by these **conflicting authorities**, – finding, as we proceed, our path more intricate and obscure.*“ ( *Hansard, 1839:777*)

საინტერესოა ის შემთხვევები, როცა რობერტ პილის მიერ სხვადასხვა ავტორიტეტის მოხმობა ამ ავტორიტეტისადმი პატივისცემისა და ნდობის გამოცხადების მიზანს კი არ ემსახურება, არამედ პირიქით მის დისკრედიტაციას, მისი კომპეტენციის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებასა და მოსაზრებების აბსურდულობაში სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებას, აღნიშნულის მისაღწევად პილი სხვადასხვა ავტორიტეტის ურთიერთდაპირისპირების ხერხს მიმართავს.

სხვადასხვა ავტორიტეტის მოსაზრებების ციტირებების ურთიერთ-შეპირისპირების საფუძველზე, პილი ცდილობს საკუთრივ მისი პირადი მოსაზრებაც გამოკვეთოს, რომელიც ამ ორი შეპირისპირებული მხარიდან ერთ-ერთს ცალსახად ემხრობა.

მოცემულ მონაკვეთებში (IV,V) გავლენიანი პოლიტიკური ეკონომისტების ადამ სმიტის, დევიდ რიკარდოს, რობერტ მოლთესისა და ჯონ მაკალაკის ურთიერთგამომრიცხავი შეფასებებისა და ფუნდამენტურად განსხვავებული შეხედულებების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, მათი უარყოფითი წარდგენა, ხოლო ამის საპირწონედ პილის მიერ კიდევ ერთი გავლენიანი ავტორიტეტის, პოლიტიკური ეკონომისტის რობერტ ტორენსის დადებითი რეპრეზენტაცია და მისდამი პირადი სიმპათიისა და ნდობის ღიად გამოცხადება, ზემოთჩამოთვლილი გავლენიანი პოლიტიკური ეკონომისტების ავტორიტეტების შესუსტებას ისახავს მიზნად:

(IV) *“After reading Adam Smith’s doctrine concerning the rent of land, I find that Mr. Ricardo pronounces erroneous, and that he totally differs from Adam Smith, as to rent forming one of the component parts of the price of raw produce. Adam Smith thinks that the value of gold, estimated in corn, will be the highest in rich countries, Mr. Ricardo on the other hand, that it will be low in rich, and high in poor counties.*

*Mr. M’Culloch discuss the question , whether there are any peculiar burdens on agriculture. He observes, that tithes, land tax, poor and other rates, are said to be such ; and says, as to tithes- Dr. Smith contends that tithes are paid out of rent, and have no influence on the price of corn, Mr. Ricardo contends that the amount of tithe occasions an equivalent rise in the price of corn.*

*Mr. M’Culloch declares that neither the one opinion nor the other is perfectly correct.” ( Hansard, 1839:778)*

აღნიშნულ მონაკვეთებში (IV, V) იკვეთება, რომ საკუთარი ინტერესების წარმატებით გასატარებლად პილი მანიპულაციური დისკურსის ყველაზე გავრცელებულ სტრატეგიებს მიმართავს: არსებული რთული ვითარების გავლენიანი პოლიტიკური ეკონომისტებისთვის გადაბრალებასა და ნეგატიურ

კონტექსტში მოხსენიებას და ამის ფონზე სხვა გავლენიანი პოლიტიკური ეკონომისტის პოზიტიურ რეპრეზენტაციასა და ამ უკანასკნელის დასახასიათებლად დადებითი კონოტაციის მქონე ლექსიკური ერთეულების გამოყენებას:

(V) *“I turn to the **acute and valuable work of Collonel Torrens**, treating expressly on the foreign corn trade, and the protection of home produce , and hope to find some reconcilment of the differences of those who preceded him, - some preponderance at least of agreement , which may lead to the safe conclusion. **But alas! I learn from Colonel Torrens that Adam Smith is “fundamentally wrong** „in stating that corn has a real value, which is always equal to the quantity of labour which it can maintain.”*

*Does he concur with **Mr. Ricardo or Mr. M’Culloch** , or **Mr. Malthus**? Quite the reverse, he says- **“Mr. Ricardo** and his followers are quite **wrong** as to the doctrine of rent .....It is self-evident that **Mr. M’Culloch** cannot be right , in the opinion that the value of the farmer’s capital rises in the same proportion with the value of the raw produce he brings to market.”*

*The very **heads of Colonel Torren’s** chapters are enough to fill with dismay the bewildered inquirer after truth . They are literally these:- **Erroneous views of Adam Smith** respecting the value of corn . – **Erroneous doctrine of French economists** respecting the value of raw produce.- **Errors of Mr. Ricardo** and his followers on the subject of rent.- **Error of Mr. Malthus** respecting the nature of rent. –**Refutation of the doctrines of Mr. Malthus** respecting the wages of labour.” (Barrow, 1839:1292)*

საინტერესოა, რომ ეპიზოდებში (IV,V) გავლენიანი პოლიტიკური ეკონომისტების ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს ავტორიტეტების არაერთგზის მოხმობა უდავოდ მათი ნეგატიური რეპრეზენტაციის მიზანს ემსახურება.

ამის სადემონსტრაციოდ პილი ხსენებული პოლიტიკური ეკონომისტების მოსაზრებების შეფასებისას არაერთგზის იმეორებს სიტყვებს: "erroneous", "error" "wrong", "fundamentally wrong", - "მცდარი," "არასწორი," "შეცდომა," რითაც პილი ფაქტობრივად ეჭვის ქვეშ აყენებს ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს კომპეტენციისა და რეპუტაციის საკითხს, თუმცა VI- ეპიზოდი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს: პილი ამჯერად სწორედ ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს დადებითი რეპრეზენტაციის, მათი რეპუტაციისა და ავტორიტეტების ხაზგასმით ცდილობს მისი ოპონენტის, ამჯერად ინგლისელი პოლიტიკოსის რობერტ ვუდის მოსაზრების განეიტრალებას:

(VI) *"The hon. gentleman Mr. Ward may be a very great authority upon matters of political economy, but I must observe that there are others, nearly equal to him, perhaps, who have entertained a very different opinion upon this question of tithes and their relation to the land .... Adam Smith and Mr. Ricardo, both of them, distinctly declare, that they consider tithes a burden upon the land."* (Hansard, 1842:552)

ერთი და იგივე გავლენიანი ავტორიტეტების ზოგიერთ შემთხვევაში პოზიტიური, ხოლო ზოგ შემთხვევაში ნეგატიური რეპრეზენტაცია პილისთვის ერთგვარი სტრატეგიული მანევრირების ნაწილია: იგი პირადი პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად მზად არის გავლენიანი ავტორიტეტების რეპუტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.

პოლიტიკური ეკონომისტების მხრიდან პურის კანონი არაერთგზის გამხდარა კრიტიკის ობიექტი, რამეთუ ისინი სწორედ პურის კანონს მიაწერდნენ მრეწველობის დარდში არსებულ კრიზისულ მდგომარეობას, კერძოდ, ექსპორტზე გატანილი სამრეწველო პროდუქტის წილის შემცირებას, სოფლის მეურნეობის დარგთან შედარებით მრეწველობის დარგში არასაკმარისი ოდენობის რესურსების დაბანდებასა და ამის ხარჯზე ქვეყანაში მკვეთრად შემცირებულ

შემოსავლების ოდენობას, თუმცა ამის საპასუხოდ რობერტ პილი თავის საპარლამენტო გამოსვლებში აქტიურად ცდილობს თავისი ოპონენტების მოგერიებასა და მათი არგუმენტების გაბათილებას სხვადასხვა ცნობილი ავტორიტეტის მოსაზრებისა და შეფასებების ციტირების ხარჯზე, რათა მისი სამიზნე აუდიტორია ოპონენტთა მოსაზრებებისა თუ მსჯელობის აბსურდულობაში დაარწმუნოს.

როცა რობერტ პილის ოპონენტები, პოლიტიკური ეკონომისტები გადარიბებულ და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ მრეწველობის დარგზე საუბრობენ პილი მათ განეიტრალებას საპირისპიროს მტკიცებით ცდილობს და ინგლისელი ბიზნესმენის, პარლამენტის წევრისა და მანჩესტერის სავაჭრო პალატის პრეზიდენტის ჯორჯ უილიამ ვუდის სიტყვებს იშველიებს, ეს უკანასკნელი საუბრობს მრეწველობის დარგის კრიზისული ვითარებიდან გამოსვლაზე და მეტიც, მის გამოცოცხლებასა და აღორძინებაზე :

(VII) *“Why have the delegates been forgotten? When the member of Kendal ( Mr. Wood) stated on the first night of the session , that the **manufactures were recovering from depression** , and that **general commerce of the country was in a sound and satisfactory state**, he provoked the utmost indignation by the manly candour of his avowals. Was he right or was he wrong in his statement? If he was right, why has he been punished for his honesty? If he was wrong, why have not you exposed his error? The fact is , you know he was right, and that official documents , since published , have confirmed his statements.*

*The displeasure which he has incurred , the punishment with which he has been visited, prove that he deprived the advocates for repeal of the argument on which they had mainly relied, when he publicly proclaimed **with the authority belonging to his name and station, that manufactures were rapidly***



*reviving , and that commerce was in a satisfactory condition.” ( Hansard, 1839:751)*

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს (VII) ეპიზოდი, რამეთუ პილი საკუთარი მოსაზრების უტყუარობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად არაერთ ხერხს მიმართავს: უპირველესად პილი იყენებს მანიპულაციური დისკურსის სტრატეგიას და მის მიერ მოხმობილი ავტორიტეტის ძალაუფლების აქცენტირებისათვის ახსენებს არა მხოლოდ მის სახელს, არამედ მის თანამდებობასაც: „*The member of Kendal , holding the high office of President of Chamber of commerce for Manchester*“ - რამეთუ მანჩესტერის სავაჭრო პალატის პრეზიდენტის თანამდებობა და ძალაუფლება აუდიტორიაში ერთგვარ შიშს, მოკრძალებასა და პატივისცემას იწვევს.

ხოლო უილიამ ვუდის თანამდებობრივი ძალაუფლების კიდევ ერთხელ ხაზგასმა, მისი გამონათქვამის ზედიზედ ორჯერ გამეორება და მის დასახასიათებლად დადებითი კონოტაციის მქონე ლექსიკის: გაბედული, პატიოსანი, გულწრფელი, მიუკერძოებელი, მიზანმიმართული გამოყენება, ამ უკანასკნელის დადებითი რეპრეზენტაციის ხარჯზე, სამიზნე აუდიტორიის მისი სიტყვის უტყუარობაში დარწმუნებას ისახავს მიზნად.

ამასთან ამავე ეპიზოდში (VII) პილი ოსტატურად მიმართავს კიდევ ერთ რიტორიკულ ხერხს, რიტორიკულ შეკითხვის ერთ-ერთ ფორმას ანტიფოფორას:

*“Was he right or was he wrong in his statement? If he was right, why has he been punished for his honesty? If he was wrong, why have not you exposed his error? The fact is , you know he was right“ – ( Hansard, 1839:751)*

ის ფაქტი რომ პილი ზედიზედ სამ რიტორიკულ შეკითხვას სვამს და შემდგომ თავადვე პასუხობს მათ, მიანიშნებს იმაზე, რომ ამ შეკითხვების დასმის მიზანი რეალურად მათზე პასუხების მიღება როდია, არამედ აუდიტორიის პილის

არგუმენტაციული დისკურსის უტყუარობაში დარწმუნება, რასაც ამავე ეპიზოდში ოფიციალური დოკუმენტის მოხმობაც მოწმობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს უილიამ ვუდის სიტყვების უტყუარობას :

*“The fact is, you know he was right, and that **official documents** , since published, have **confirmed his statements.**“ ( Hansard, 1839:751)*

ნიშანდობლივია, რომ რობერტ პილი ავტორიტეტად მოიხმობს არა მხოლოდ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს, ან კონკრეტულ ავტორიტეტულ პიროვნებებს, არამედ უსულო საგნებსაც კი, მაგალითად ავტორიტეტად შეიძლება მოხმობილ იქნას ესა თუ ის დოკუმენტი, გაზეთი, ტრაქტატი, ნაშრომი, ხარჯთაღრიცხვა, კალკულაცია, დოქტრინა, პამფლეტი, ბროშურა და სხვა, რასაც ნათლად მოწმობს VIII-XI ეპიზოდებში მოხმობილი მაგალითები:

*(VIII) “I will begin, then, with meat, and I will **quote no authority** which can be suspected—I will take my information from a perfectly unobjectionable source. I will refer to one who differs entirely from me with regard to the operation of the Corn-laws, and who is a decided advocate for their repeal. Dr. Bowring’s **calculation** with respect to the consumption of meat was made in 1840.“ (Hansard, 1842:210)*

*(IX) “**Here is a pamphlet** which I believe to be a **high authority**—it is the pamphlet of Mr. Greg. He gives a statement of the quantity of cotton manufactured in this country.“ (Hansard, 1842: 954)*

*(X) “I place against the authority of the member for Manchester, high as it unquestionably is, this paper, entitled “ Trade and Navigation” , delivered within the last week, not called for by an advocate of the Corn-Laws, but presented by her Majesty’s command. **This paper , the most recent and most authentic document** we have, does not corroborate the statement that our exports of those branches of manufacture into which skill and manual labour*

*enter, are upon the decline. On the contrary, **this paper** exhibits a very rapid recovery from depression.” (Hansard,1839:753)*

(XI) *“**Mr. Tooke, in his excellent Treatise on prices** discusses the remarkable variations in the price of corn during a series of years, and mainly attributes the rise and fall of the price to the abundance or deficiency of supply caused by favorable or unfavorable seasons.” (Hansard,1839:769)*

მოცემულ მონაკვეთში (XII) კი რობერტ პილს სურს თავისი სამიზნე აუდიტორია დაარწმუნოს, რომ პოლიტიკური ეკონომისტები ცდებიან და რომ არ არსებობს არანაირი მიზეზ-შედეგობრივი მიმართება პურის კანონსა და მრეწველობის დარგში არსებულ კრიზისულ ვითარებას შორის, ამის დასტურად ის გაზრდილი ექსპორტის წილის მონაცემებსა და ხარჯთაღრიცხვას იშველიებს :

(XII) *“Now looking **either at the general result, of an increase in our total exports , from 36,228,000 in 1837 to 43,338,000 in 1838, or at the increase in specific articles of export , can it be denied such an instance of recovery from depression, coincident with increase in the price of food , is a satisfactory indication that the foundations of our manufacturing superiority are not undermined by the rivalry of foreign powers, at any rate , not undermined through the operation of Corn-Laws?***

*It was said on a former occasion, that a mere increase in the quantity of exported articles is no test of manufacturing prosperity ; that the money value may have declined while the quantity has increased . Be it so;- **but the calculations to which I have been referring , are calculations not of quantity but of money value. The same official paper contains an account of the shipping***

*employed in the foreign and coasting trade in 1837, and 1838. “ ( Hansard, 1839:753)*

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეპიზოდი, რომელშიც რობერტ პილი ბრიტანელი პოლიტიკოსისა და მუნიციპალიტეტის წევრის რობერტ ვეითმენის სიტყვების ციტირებას ახდენს: აღნიშნულ ციტატაში ვეითმენი ნათელს ჰფენს რეალურ სურათს და აღნიშნავს, რომ, მართალია, ბოლო წლებში, წინა წლებთან შედარებით გაიზარდა ინგლისური ექსპორტირებული სამრეწველო პროდუქტის რაოდენობა, თუმცა ამის პროპორციულად უშუალოდ სამრეწველო პროდუქციის ფასი შემცირდა, შესაბამისად გაზრდილი ექსპორტირებული სამრეწველო პროდუქტი ქვეყნისთვის სარფიანი არ არის:

*(XIII) “All this may be true , but it has become necessary in order to maintain the contest for manufacturing superiority with other nations, to make so large a reduction in the price of the exported article , that the home manufacture is carried on with scarcely any profitable return to those engaged in it. Compare the proportion which the declared value of our exports in late years has borne to the quantity, with the proportion which it bore in former years, and you will find that **the value is almost stationary, or, perhaps , declining while the quantity rapidly increased.** ” ( Hansard, 1839:753)*

პილი უშუალოდ ზემოთ მოცემული სიტყვების ციტირებისთანავე აღნიშნავს, რომ ვეითმენი ამ მოსაზრებას წლების განმავლობაში შეუპოვრად იზიარებდა, თუმცა მისმა ამ განცხადებამ საზოგადოებრივი მხარდაჭერა წლების განმავლობაში ვერ ჰპოვა, რაც უდავოდ პილის მხრიდან მისი ოპონენტის

რობერტ ვეითმენის განეიტრალებისა და საზოგადოებაში მისდამი უნდობლობის გაჩენას ემსახურება.

ოპონენტის გასანეიტრალებლად პილი ამით როდი შემოიფარგლა, ის აღიარებს ფაქტს რომ ბევრ სამრეწველო პროდუქტზე ფასი მართლად შემცირდა, თუმცა უსამართლობად მიაჩნია და კატეგორიულად უარყოფს იმ ფაქტს, რომ ეს ყოველივე ნეგატიურად აისახა ქვეყანაში ექსპორტირებულ სამრეწველო პროდუქციიდან მიღებულ შემოსავლებზე :

*(XIV) “ We admit the fact that, the price of the exported article , in many branches of manufacture, has declined, but we deny , that it follows as a just inference from that fact, that profits have been proportionally effected. “ ( Hansard , 1839: 753)*

პილი ზემოთ მოცემულ მონაკვეთში (XIV) განგებ მიმართავს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ინკლუზიურ ნაცვალსახელს ”we”, რომელიც მიზნად საკუთრივ მისი წილი პასუხისმგებლობის სხვასთან, სავარაუდოდ, მის პოლიტიკურ გუნდთან ან თუნდაც სამიზნე აუდიტორიასთან გაზიარებას ისახავს.

ხშირად პილი თავის არგუმენტაციულ დისკურსში, მეტი დამაჯერებლობისთვის, იმოწმებს ცნობილ და გავლენიან ინგლისელ მეწარმეებს, რითაც, ერთი მხრივ, აღნიშნული კლასის კეთილგანწყობის მოპოვებას ახერხებს და, მეორე მხრივ, განამტკიცებს საკუთრივ მის პირად მოსაზრებას:

(XV) *“It is impossible to make this point more clear , or to quote higher authority upon it, than by referring to statements made, and evidence given by manufacturers of Manchester of the highest character. “ ( Hansard, 1839: 753)*

ამისათვის პილი არა მხოლოდ დიდი ავტორიტეტის მქონე ინგლისელი მეწარმეების კოლექტიურად მოხსენიებას სჯერდება არამედ მეტი დამაჯერებლობისთვის საკუთრივ მათ სახელებსა და თანამდებობებსაც ჩამოთვლის: ჰიუ ბერლი - მანჩესტერის კომერციული პალატის ყოფილი პრეზიდენტი, ჯონ კენედი - შოტლანდიელი ქსოვილის მეწარმე; ჯორჯ ლინკობილი ბამბის მეწარმე, ხოლო მათი სიტყვების ციტირების საფუძველზე ასკვნის, რომ ბრიტანული სამრეწველო ნაწარმი, მართლაც უცხოურ ბაზრებზე თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასში იყიდება, რაც ამ ბაზრების ჭარბმომარაგებით არის გამოწვეული.

რეალურად ეს ეპიზოდები (XIV, XV) რობერტ პილის ცრუ არგუმენტირების ნათელი მაგალითია, რამეთუ ის ვერ აკმაყოფილებს დეიმერის *კრიტიკული არგუმენტის მოგერიების კრიტერიუმს*, პილის მიერ ფაქტის უბრალოდ უარყოფა მაშინც როცა ყველა სამხილი ამ ფაქტის უტყუარობაზე მიუთითებს, მისი ოპონენტის რობერტ ვეითმენის სიტყვის გაბათილებისა და მოგერიებისთვის სრულიად არასაკმარისია და პილის არგუმენტაციული დისკურსის სისუსტეზე და გაუმართაობაზე მიუთითებს:

*“Refusing to consider seriously and unfairly minimize the evidence that is brought against one’s claim.” ( Damer, 2005:194)*

ვინაიდან აშკარაა, რომ თუ ბრიტანული სამრეწველო ნაწარმი უცხოურ ბაზრებზე თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასში იყიდება, ეს ქვეყანას მოგებას, ფინანსურ სარგებელსა და სტაბილურობას ვერ მოუტანს; შესაბამისად, უსაფუძვლოა პილის მიერ იმ ფაქტის უარყოფა, რომ საექსპორტო სამრეწველო პროდუქტზე

შემცირებული ფასი, ამ დარგიდან მიღებულ შემოსავალზე ნეგატიურად არ აისახება.

ამის საპასუხოდ პილი კვლავ გავლენიანი ავტორიტეტის, ჯორჯ კენედის, სიტყვების ციტირებით ცდილობს სამიზნე აუდიტორიას ყურადღება სხვა საკითხზე, კერძოდ მსოფლიო ბაზრების ჭარბ მომარაგებაზე გადაატანინოს:

*(XVI) "There is not a market in the world which we do not sometimes overstock , but I always expect good to result from that. "(Barrow, 1839:1282)*

მართალია, რობერტ პილის მიერ ჯონ კენედის შეფასების ციტირება, რომ არსებული ვითარება მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებს ოპტიმისტურად განაწყობს პილის სამიზნე აუდიტორიას, თუმცა ის ფაქტი, რომ ინგლისური სამრეწველო ნაწარმი უცხოურ ბაზარზე საწყის ღირებულებაზე ნაკლებ ფასად იყიდება უდავოდ მიანიშნებს, რომ ქვეყანა, გაზრდილი ექსპორტირებული სამრეწველო ნაწარმის მიუხედავად, სარგებელს ვერ ნახულობს და საპირისპირო მოსაზრების დასასაბუთებლად პილის მიერ ფაქტის უბრალო უარყოფა, ან თუნდაც აუდიტორიის ყურადღების სხვა საკითხზე გადატანა - *"Attempting to hide the weakness of a position by drawing attention away from the real issue", (Damer, 2005:208)* და კონტრარგუმენტად ერთი შოტლანდიელი ქსოვილის მეწარმის დადებითი მოლოდინების მოხმობა სრულიად არასაკმარისია.

გარდა ამისა, რობერტ პილი პურის კანონის ფასების მკვეთრი მერყეობის გამართლებას სეზონური ცვალებადობით ხსნის და მეტი დამაჯერებლობისთვის იმოწმებს ინგლისელი პოლიტიკოსისა და ფილოლოგის ტომას ტუკის ნაშრომს, სადაც ის მსოფლიოს მასშტაბით სეზონური ცვალებადობის სასოფლო-სამეურნეო მარაგებზე ზეგავლენის შემთხვევებზე საუბრობს:

(XVII) *“Mr. Tooke shows that a similarity of seasons prevails throughout a large portion of the world and that countries within the same degree of latitude are visited with nearly the same vicissitudes of prosperity and failure with respect to agricultural supply. He relies not only his own authority, but on that of Adam Smith, of Mr. Burke, and of Mr. Lowe, for the fact.” (Hansard, 1839:769)*

რობერტ პილი არ სჯერდება მხოლოდ ტომას ტუკის ავტორიტეტის მოხმობას და ახსენებს სხვა გავლენიან ავტორიტეტებსაც, მათ შორის ცნობილი შოტლანდიელი პოლიტიკური ეკონომისტისა და ფილოსოფოსის ადამ სმიტის, პოლიტიკოსისა და ფილოსოფოსის ედმუნდ ბერკის და ბრიტანელი პოლიტიკოსის რობერტ ლოუს სახელებს.

აღსანიშნავია, რომ პილი ადამ სმიტის ავტორიტეტის მოხმობით როდი შემოიფარგლა: ის ასევე ახდენს მისი 1765-1776 წლების სიტყვების ციტირებასაც, სადაც ადამ სმიტი პურის ფასების მერყეობას სწორედ რომ სეზონური ცვალებადობით ხსნის :

(XVIII) *“Adam Smith speaking of the high price of corn between 1765-1776, attributes it to the effect of unfavorable seasons throughout the greater part of Europe.” (Hansard, 1938:769)*

თუმცა პილი ადამ სმიტის სიტყვების ციტირებასაც კი არ სჯერდება და კვლავ იმოწმებს ტომას ტუკს, რომელიც მიუთითებს რომ 1765-1776 წლების პერიოდში მართლაც ჰქონდა ადგილი სეზონურ ცვალებადობას, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, თავისი სიტყვის მეტი დამაჯერებლობისთვის რობერტ ლოუს ნაშრომებს იშველიებს:

(XIX) *“Mr. Tooke says , that there can be no reasonable doubt that bad seasons prevailed here, and, in a still greater degree , throughout the rest of Europe , in*



*the interval between 1765-1776, and quotes , the valuable works of Mr. Lowe, on the present state of England to the following effect.” (Hansard, 1839:769)*

საბოლოოდ არგუმენტაციული მსჯელობის კიდევ უფრო გასამყარებლად ამჯერად თავად რობერტ პილი ახდენს რობერტ ლოუს სიტყვების ციტირებას; მოყვანილ ციტატაში საუბარია ინგლისისა და ევროპის კლიმატური პირობების მსგავსებაზე და კონკრეტული წლების მაგალითებზე დაყრდნობით პილი ცდილობს აუდიტორიის ამ მსჯელობის უტყუარობაში დარწმუნებას :

(XX) “ *Mr. Lowe remarks of the similarity of seasons in England and continental Europe, in several recent years which he names : in 1794, in 1798, in 1799. He says\_ “ In 1811 the harvest was deficient throughout the north-west of Europe, from one and the same cause , namely blight, while that of 1816 was still more generally deficient from rain, and want of warmth.” ( Hansard, 1839:769)*

საინტერესოა, რომ ზემომოყვანილ მონაკვეთებში (XVII-XX) რობერტ პილის მიერ ცნობილი და გავლენიანი ავტორიტეტების არაერთგზის მოხმობა რამდენიმე მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ, პილი სამიზნე აუდიტორიის არწმუნებს, რომ არამდგრადი ხორბლის ფასები სეზონური ცვლილებებით არის განპირობებული და არა პურის კანონით, ამავდროულად აუდიტორიაზე პათოსის გამოყენებით, ემოციებით მანიპულაციის გზით (შეშინების, მუქარის მეშვეობით) ცდილობს აუდიტორიას პურის კანონის გაუქმებისა თუ თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა გადაათქმევინოს, გადააფიქრებინოს, რითაც არღვევს დემერის *რელევანტურობის კატეგორიას* :

*„ If an arguer tries to force another to accept a particular belief or a course of action by threatening him or her with some undesirable action or state of affairs , then the arguer is guilty of using an irrelevant appeal, which is clear violation of the relevance criterion of a good argument.” ( Damer, 2005:106)*

რობერტ პილი ინგლისელი ბარონეტისა და ტექსტილის მეწარმის ჯორჯ ფილიპსის სიტყვებს ციტირებს, სადაც ეს უკანასკნელი აცხადებს რომ ბრიტანეთის სავაჭრო უპირატესობასა და მრეწველობის დარგის სამომავლო სტაბილურობას სერიოზული საფრთხე ემუქრება, თუმცა რობერტ პილისთვის ჯორჯ ფილიპსის ეს განცხადება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რამეთუ ის არა, რეალურ ფაქტებსა და არგუმენტებს, არამედ მხოლოდ ფილიპსის პირად წინათგრძნობას ეფუძნება :

*(XXI) “The member of Manchester should not demand from us implicit faith in mere predictions. He should explain the ground on which his apprehension are founded. If they are fortified by argument, or official documents they are entitled to the utmost respect; but prediction without argument, and apprehensions not sustained by official returns, cannot be considered conclusive. “ (Hansard, 1839:751)*

საინტერესოა, რომ პილი XXI ეპიზოდში თავისი ოპონენტის ჯორჯ ფილიპსის არგუმენტებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და ამტკიცებს რომ ისინი მხოლოდ ფილიპსის პირად პროგნოზებსა და წინათგრძნობას ეფუძნება, თუმცა XXII ეპიზოდში პილი თავადვე მიმართავს ზუსტად იმავე პრინციპს და ტომას ტუკისა და სხვა მაღალი ავტორიტეტების წინათგრძნობებსა და პროგნოზებზე დაყრდნობით აჯერებს აუდიტორიას, რომ იმპორტირებულ ხორბალზე დამოკიდებულება და თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა მათ ძვირად დაუჯდებათ და მწარედ სანანებელი გაუხდებათ:

*(XXII) “Now, if you are right in maintaining that the shores of the Baltic will afford our chief supply, and if, in reliance on that supply, we diminish materially the production of corn at home, the misfortune of a generally deficient harvest may involve us in the greatest peril. In ordinary seasons, we may safely trust to a regular supply from abroad, and the discouragement of home production may*

*not be seriously felt –but if the common calamity should arrive , and Mr. Tooke and highest authorities show that it ought to be foreseen then we may have cause bitterly to repent our loss of independence , and to find that the encouragement we gave to home production , by restrictive duties was a provident insurance against dangerous famine. “ ( Hansard,1839: 770)*

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ ერთი ავტორიტეტის წინათგრძნობები საფუძველს მოკლებულად ჩავთვალოთ, ხოლო მეორე ავტორიტეტის წინათგრძნობებსა და პროგნოზებს ნდობა გამოვუცხადოთ. ეს ორი მაგალითი კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს, თუ რამდენად ურთიერთწინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავია რობერტ პილის არგუმენტაციული დისკურსი, რომელიც არა საღ აზრსა და კეთილგონიერებას, არამედ საკუთრივ მისი პოლიტიკური ინტერესების რეალიზების მიზანს ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო მონაკვეთში (XXIII) რობერტ პილი არამც თუ უარყოფს პურის ფასების მკვეთრ მერყეობას, არამედ პირიქით, აღნიშნავს, რომ სეზონის ცვალებადობის კვალობაზე გარდაუვალია პურის ფასების მერყეობის თავიდან არიდება და ამიტომ ხორბლის ფასების არასტაბილურობის გამო პურის კანონი არ უნდა იყოს კრიტიკის ობიექტი, ხოლო ჯონ ტუკის ავტორიტეტის არაერთგზის მოხმობით, პილი ამ აზრის დასაბუთებასა, და მის უტყუარობაში აუდიტორიის დარწმუნებას ცდილობს :

(XXIII) *“I have been refereeing to the authority of Mr. Tooke, mainly for the purpose of showing that the present Corn Law ought not to be condemned because it has not ensured steadiness of price, for that under any system of law, in respect to an article so dependent as corn is upon the variableness of seasons, to an article , of which the supply cannot be suddenly limited , or extended in*

*proportion to the demand, there must be unavoidably great fluctuations of price.” (Hansard, 1839: 771)*

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ნათლად მოწმობენ, რომ რობერტ პილი დიდი ინტენსივობით მიმართავს ცნობილი ავტორიტეტების მოხმობის ხერხს, ზოგ შემთხვევაში პილი უშუალოდ მათი სიტყვების ციტირების ხერხს მიმართავს ზოგჯერ კი უბრალოდ ცნობილი ავტორიტეტების სახელების ხსენებით შემოიფარგლება, თუმცა არის შემთხვევები როცა პილი ავტორიტეტად არა ავტორიტეტულ პიროვნებებს, არამედ სხვადასხვა დოკუმენტებს, კალკულაციებს, ბროშურებს, წიგნებს მოიხმობს, რაც უდავოდ მეტ დამაჯერებლობას მატებს მის არგუმენტაციულ დისკურსს.

### **2.2.3. ინკლუზიური და ექსკლუზიური ნაცვალსახელების გამოყენების სპეციფიკა პილის დისკურსში**

ნაცვალსახელების ინკლუზიური და ექსკლუზიური დატვირთვით გამოყენება პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი მახასიათებელია, ეს ხერხი სხვადასხვა მიზანს ემსახურება; კერძოდ, სამიზნე აუდიტორიაში სასურველი ემოციების აღძვრასა და მისი კეთილგანწყობის მოპოვებას, საკუთარი ძალაუფლებისა და რეპუტაციის ხაზგასმას, ორაზროვნების არიდებას, სიმართლის დამტკიცებას, თუ პირიქით, მის შენიღბვას, ოპონენტების ნეგატიური რეპრეზენტაციას და დადებით თვითპრეზენტაციას და სხვ.

სხვადასხვა ნაცვალსახელის აქტიური გამოყენების ხარჯზე პოლიტიკოსები ნათლად წარმოაჩენენ თუ რა დოზით იღებენ თავიანთ წილ პასუხისმგებლობას ნეგატიურ შედეგებზე და რამდენად იზიარებენ მიღწევებს თავიანთი პოლიტიკური გუნდის

წევრებთან, წარმატებას მხოლოდ პირად მიღწევად მიითვლიან, თუ თანაბრად იზიარებენ თავიანთ თანამებრძოლებთან. (Beard, 2000:45)

აუდიტორიის დარწმუნებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ წარმატებით შეძლებს ორატორი სხვადასხვა ნაცვალსახელის გამოყენებით სამიზნე აუდიტორია თავისი პოლიტიკური დისკურსის თანამოაზრედ, თანამონაწილედ გახადოს და მისი კეთილგანწყობა და ნდობა მოიპოვოს, ამასთან ერთად, ნაცვალსახელის ეფექტური გამოყენება ერთგვარად კრავს პოლიტიკურ სიტყვას და მეტი რიტმულობა, მელოდიკურობა შემოაქვს მასში.

**პირველი პირის ნაცვალსახელი I.** დადებითი თვითპრეზენტაციისთვის თუ საკუთარი მოსაზრებების აუდიტორიაში გასახმოვანებლად პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ პირველი პირის ნაცვალსახელს *I* და მისი პარადიგმის შემადგენელ ერთეულებს *me, my, mine, myself*.

პურის კანონთან დაკავშირებით პილის საპარლამენტო გამოსვლების კოგნიტურ-სტილისტიკური ანალიზი გვამღევს იმის თქმის მყარ საფუძველს, რომ ბრიტანეთის პრემიერი თვითრეპრეზენტაციის მიზნით ყველაზე ხშირად სწორედ პირველი პირის ნაცვალსახელს მიმართავს:

*“Personal projection through first person pronouns is perhaps the most powerful means of self-representations. “ (Hyland, 2005:53)*

რობერტ პილის მიერ პირველი პირის ნაცვალსახელის ხშირი გამოყენება უდავოდ დადებითი თვითრეპრეზენტაციისა და, საკუთრივ, მისი პირადი თვისებების: გამბედაობის, შეუპოვრობის, პრინციპულობის, პასუხიმგებლობის, სანდომიანობის, გულწრფელობის, გულახდილობის აქცენტირების მიზანს ემსახურება, ამასთან ერთად, ხაზს უსვამს მის იდენტობას, მის თანამდებობრივ ძალაუფლებას, რამეთუ ის საუბრობს როგორც ქვეყნის პირველი პირი, თავისი

პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელი და მათი შეხედულებებისა თუ პოზიციების გამხმოვანებელი.

1841-1842 წლების პურის კანონთან დაკავშირებით საპარლამენტო გამოსვლებიდან (I, II) ირკვევა, რომ პილი სოფლის მეურნეობის კეთილდღეობასა და განვითარებაში მრეწველობის დარგის როლისა და მნიშვნელობის აქცენტირებას ცდილობს, რამეთუ ეს უკანასკნელი გაცილებით დიდ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის დარგის დაწინაურებასა და აღმავლობაში ვიდრე თავად პურის კანონი:

(I) *“I said last year, **and** I repeat now, that I viewed with anxiety the state of the manufactures of this country. I stated **then**, as I state **now** that I **consider** the prosperous state of the manufacturing industry of this country to be intimately connected with the welfare of **our** agriculture, **and** that the prosperity of **our** manufactures is a greater support to **our** agriculture than any system of corn laws. That was the language I held **then**, and that is the language I **now** repeat.” (Baldwin, 1843:159)*

(II) *“No man entertains a higher sense than I do of the value of manufactures. It would be ungrateful in **me** , and most unwise , were I to undervalue the importance of the cotton manufactures to the house , I often stated an opinion to the same effect . I always expressed my sense of the importance of manufactures to agricultural prosperity. I have always maintained the opinion and I repeat it now, that the prosperity of manufactures in a country is of more importance to the interests of agriculture than any system of laws whatever; **and** therefore , in proposing , as a minister of the crown, an alteration in the corn laws, when I state that opinion, I do not so for the first time.” (Baldwin, 1843:160)*

საინტერესოა, რომ პირველ და მეორე ეპიზოდებში რობერტ პილი ზედიზედ 17 - ჯერ იმეორებს პირველი პირის ნაცვალსახელს "I". ამის შედეგად ნათლად იკვეთება საკითხისადმი მისი პირადი დამოკიდებულება, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ეს განცხადებები სუბიექტურ ხასიათს ატარებს: პილი გარკვეულწილად ემიჯნება სხვებს, შესაძლოა, მის პოლიტიკურ გუნდს ან მის კოლეგებსა თუ თანამოაზრეებს, რაც ერთგვარად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ის თავისი პოლიტიკური წონის, ძალაუფლების, უფლებამოსილების გათვალისწინებით მათზე გაცილებით მაღლა დგას:

*"Using "I" can also be seen as too self-important, with the individual speakers placing themselves above or outside the collective responsibility of their colleagues." (Beard, 2000:45)*

აღნიშნული მიანიშნებს, რომ პილის პოლიტიკური გუნდის წევრები შეიძლება არ იზიარებდნენ მის პირად მოსაზრებებს, მაგრამ თუ პილის პირადი მოლოდინები არ გამართლდება, ეს ერთგვარად ათავისუფლებს მის პოლიტიკურ გუნდს კოლექტიური პასუხისმგებლობისგან :

*" The disadvantage of using "I" can be that they show all to clearly where blame lies if something goes wrong." ( Beard, 2000:45)*

მოცემულ ეპიზოდებში (I ,II) პილი სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებას პირველი პილის ნაცვალსახელისა და შემდეგი ზმნების კომბინაციით ხარჯზე ცდილობს : *I said; I consider; I do; I stated; I held; I expressed ; I maintained; I repeat; I state*, - საიდანაც იკვეთება, რომ ის ხაზს უსვამს მის თანამდებობრივ ძალაუფლებას და საუბრობს არა როგორც რიგითი ადამიანი, არამედ როგორც ქვეყნის პირველი პირი, ძალაუფლებისა და ავტორიტეტის მქონე პრემიერი, რომლის მოსაზრებები

თუ შეფასებები აუდიტორიის მხრიდან ცალსახად რწმენას, ნდობას, პატივისცემას, კრძალვას, რიდს, ერთგვარ შიშს უნდა იწვევდეს.

“I”-სთან ერთად სტილისტური ხერხის ანტითეზის გამოყენებით, რომელიც საწინააღმდეგო ცნებების შეპირისპირებას გულისხმობს (*now-then; then -now*) პილს სურს ხაზი გაუსვას მის პიროვნულ თვისებებს: პრინციპულობას, შეუპოვრობას, სიმტკიცეს, რამეთუ ის იმავე აზრს იზიარებდა ადრეც და დღესაც.

მაკავშირებელი სიტყვების ხშირ გამოყენებას, რომელიც მოცემულ მონაკვეთებში (I, II) “and” კავშირით არის გამოხატული, მეტი სიცხადე შემოაქვთ პილის არგუმენტაციულ დისკურსში, რაც აუდიტორიას პოლიტიკური სიტყვის შინაარსის აღქმას უადვილებს.

III ეპიზოდში კი პილის მიერ პირველი პირის ნაცვალსახელის “I” –ის ზედიზედ 9-ჯერ გამოყენება საზოგადოებისთვის მისი პიროვნების უკეთ გაცნობის, მათში ნდობის, რწმენის, კეთილგანწყობის მოპოვების მიზანს ემსახურება, ამისთვის რობერტ პილი აუდიტორიას პირადი ბიოგრაფიიდან საკუთარ წარმომავლობაზე აწვდის ინფორმაციას, რათა აუდიტორიამ ის უკეთ გაიცნოს ის არა მხოლოდ როგორც პილიტიკოსი, არა როგორც ქვეყნის მთავარსარდალი, არამედ როგორც ერთი უბრალო წარმომავლობის ადამიანი, რომლის ფესვებიც მრეწველთა კლასიდან მომდინარეობს და რომელიც თავის პირად კეთილდღეობასა და წარმატებას მრეწველობას უმაღლის.

მოცემულ პასაჟში (III) პილი თანასწორობისა და ტოლერანტობის დემონსტრირებით მრეწველთა კლასის კეთილგანწყობის მოპოვებას ახერხებს, მასსა და აუდიტორიას შორის სოციალური დისტანცია მცირდება, რაც პილის დადებით პიროვნულ თვისებებს: თავმდაბლობას, მადლიერებას, გულახდილობას, გულწრფელობას უსვამს ხაზს.



ამავე პასაჟში (III) პილის მიერ რიტორიკული შეკითხვების დასმა და შემდგომ მათზე პასუხი მის სიტყვას მეტ დამაჯერებლობას სძენს, ხოლო პარალელურ კონსტრუქციებს მის პოლიტიკურ დისკურსში მეტი რიტმულობა და ჟღერადობა შემოაქვთ :

(III) *“No one feels a deeper interest than I do in the manufacturing prosperity of this country. Is it possible that I recollect the origin of my own prosperity – is it possible that I can reflect , that I owe all I possess – I owe all I am – to manufacturing industry , and not feel the most lively interest in all that affects the trade manufactures of the country? No gentlemen , I should be acting a most ungrateful part indeed, if I forgot these circumstances. Is it possible that I , who owe all the industry of the working classes , should not be anxious for the adoption of every measure that would enable them to command the necessities , and , if possible the luxuries of life?” ( Graham,1841: 99)*

1841 წლის საპარლამენტო გამოსვლიდან (IV) ირკვევა, რომ პილი აღიარებს ბრიტანეთის სამრეწველო კრიზისს, განსხვავებით წინა წლებისგან, როცა ის კატეგორიულად უარყოფდა ამ დარგში არსებულ სავალალო ვითარებას, თუმცა დამაბული ვითარების განსამუხტავად აუდიტორიას აჯერებს, რომ ეს კრიზისული ვითარება მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებს, რამეთუ მსგავს პრეცედენტს ადრეც არაერთხელ ჰქონია ადგილი და ალბათ მომავალშიც არაერთხელ განმეორდება, ამიტომ მისი ოპონენტებისგან განსხვავებით ის განგაშის ვერანაირ საფუძველს ვერ ხედავს.

რობერტ პილი აღნიშნულ ეპიზოდში (IV) მიმართავს ემოციით მანიპულაციის ხერხს, თავისი და თავისი პოლიტიკური გუნდის სახელით კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მრეწველებისადმი თანაგრძნობისა და სიბრალულის

გამოხატვით ცდილობს მათი ემოციებითა და გრძნობებით მანიპულირებას. ხოლო დადებითი თვითპრეზენტაციისთვის განსაკუთრებულ აქცენტს საკუთრივ მის პირად დამოკიდებულებასა და განცდებზე აკეთებს და ზედიზედ 11-ჯერ პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენებითა და პარალელური სინტაქსური კონსტრუქციის, კერძოდ ფრაზის "No man can" - ზედიზედ გამეორებით აუდიტორიას აჯერებს რომ, ყველაზე მძაფრად ის განიცდის მათ ტანჯვასა და ტკივილს და ყველაზე მეტად სწორედ მას სურს მრეწველებისთვის ამ ტკივილის შემსუბუქება.

ამავე ეპიზოდში (IV) პილი ეფექტურად იყენებს მაკავშირებელ სიტყვებს კერძოდ კავშირების "and" ზედიზედ 6-ჯერ და "but" ის ზედიზედ 2- ჯერ გამოყენების ხარჯზე პილის არგუმენტაციული დისკურსის ეს ნაწილები აუდიტორიისთვის გაცილებით მარტივად აღსაქმელია.

ინტერესს იწვევს IV ეპიზოდის ფინალური ნაწილი, სადაც პილი დარგის სწრაფ აღორძინებას პროგნოზირებს და მთელ იმედებს ეროვნული რესურსების ელასტიურობაზე ამყარებს.

პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენება იმის აღსანიშნავად, რომ სამრეწველო კრიზისი მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებს ცალსახად უსვამს ხაზს პილის თავდაჯერებულობას, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დარგის სწრაფი აღორძინების პერსპექტივა თუ დადებითი პროგნოზები და მოლოდინები კოლექტიური პასუხისმგებლობის საგანია, რომელსაც პილი თავის პოლიტიკურ გუნდთან და აუდიტორიასთან იზიარებს, ამკარაა რომ პილი გაურბის პასუხისმგებლობის მხოლოდ საკუთარ თავზე აღებას, ხოლო ინკლუზიური პირველი პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით ნაცვალსახელთან "We" -სთან ერთად მოდალური ზმნის „ may"-ს გამოყენება კიდევ უფრო სათუოს ხდის მისი მოლოდინების გამართლების ალბათობას:

(IV) *“I do not deny that in this country there exists great manufacturing distress; and I am sure that whatever may be the issue of our party contests in this house , we all hear with pain those details of individual suffering that have been read in the course of the debate. No man can hear them with more pain and sympathy than I do , no man can more cordially and more anxiously desire to relieve them. But, at the same time that I admit this, I am bound also to remind you that, at all times, and under all circumstances, similar distress has existed; and so long as we live in our present complicated state of society, I see no reason to suppose that such will not exist , and appeals founded on it will not be preferred , and attempts made to influence, by these means , our reason and judgement. But although I freely admit the existence of such distress, I do not, I confess, view with the same alarm as honorable members opposite have professed to view it , the commercial and manufacturing condition of the country. I have referred , with some anxiety , to the accounts that have been laid before the house as to the commerce and manufactures of this country. I see nothing in them to justify the belief that the depression in these branches of our national industry is more than temporary , and we may not expect a speedy revival , from elasticity of our resources.“ ( Hansard, 1841:697)*

მეხუთე და მეექვსე ეპიზოდებიდან ირკვევა, რომ პილის ოპტიმიზმი სულ რაღაც სამ თვეში პესიმიზმმა და სასოწარკვეთამ ჩაანაცვლა, მისი მომავლის ხედვა ამჯერად ბუნდოვანია; პრემიერს, როგორც მთავარი გადაწყვეტილებების მიმღებ პირს, ქვეყნის ლიდერს, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, წარმოდგენა არ აქვს კრიზისიდან გამოსვლის შესაძლო გზებზე, სკეპტიკურად უყურებს საკანონმდებლო ორგანოების როლს ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლაში და აღიარებს რომ დაჩქარებული წესით უნდა იქნეს მიღებული ზომები ამ კატასტროფის აღმოსაფხვრელად.

მოცემულ მონაკვეთებში (V, VI) პილის მიერ პირველი პირის ნაცვალსახელისა და ზმნების : “*I am grieved*“, “*I sympathize*“, “*I fear*“, “*I feel* „ კომბინაციის ხარჯზე თანაგრძნობის, სოლიდარობის, სიბრალულის გამოხატვა ნათლად წარმოაჩენს კრიზისისადმი პილის ემოციურ დამოკიდებულებას, შესაბამისად, მოცემულ მონაკვეთებში ემოციებით მანიპულაციის გამოყენება დადებითი თვით-პრეზენტაციის მიზანს ემსახურება და პილს წარმოაჩენს გულმოწყალე, თანამგრძნობ, ნუგეშისმცემელ ადამიანად, რომელსაც ქვეყნის გასაჭირი გულთან მიაქვს.

თუმცა საინტერესოა რომ V მონაკვეთში ექსკლუზიური განუსაზღვრელი მნიშვნელობით ნახმარი ნაცვალსახელის “you” გამოყენება ერთგვარად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მისი, როგორც პრემიერის კომპეტენციის საკითხს, მართალია, ბუნდოვანია you-ს რეფერენტი და შესაძლოა მასში მოიაზრებოდეს მისი პოლიტიკური გუნდი ან თუნდაც მისი სამიზნე აუდიტორია, თუმცა ეს ნათლად აჩვენებს, რომ ის როგორც პრემიერი, ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე პირი თავის პოლიტიკურ გუნდთან ერთად სრულიად უძლური და უსუსურია კრიზის მართვის საკითხებში; აშკარაა რომ პილი გაურბის თავის წილ პასუხისმგებლობას და მხოლოდ მწუხარებისა და თანაგრძნობის გამოხატვით შემოიფარგლება:

(V) *“I own to you that mine is but a gloomy view of the subject. I fear that in the complicated commercial and manufacturing concerns of this country, no legislative remedy that you can by possibly devise, will be an effectual remedy against the recurrence of such distress.” ( Baldwin, 1843:161)*

(VI) *“I am grieved to say that I have already seen that document. I sympathize with the distress , and I feel that something must be done, and speedily, to remove it. “ ( Baldwin ,1843:161)*

VIII ეპიზოდებიდან ირკვევა რომ სულ რაღაც ორ თვეში პილის სასოწარკვეთა კვლავ დადებითმა მოლოდინებმა ჩაანაცვლა და პილი აუდიტორიას არწმუნებს, რომ არ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სამრეწველო კრიზისსა და პურის კანონს შორის და სამრეწველო დარგის აღორძინების მყარ იმედებს ბუნებრივ გარემოებებზე ამყარებს, აუდიტორიას არწმუნებს რომ მსგავსი პრეცედენტების გათვალისწინებით ეს კრიზისი დროებითია და თავისით გადაივლის. თუმცა სულ რამდენიმე თვეში პილის ფუჭ იმედებს კვლავ სასოწარკვეთა ანაცვლებს:

(VII) *“It is possible that the extreme point of depression has arrived , and that having passed, we may , without indulging a too sanguine hope, expect that better times will shortly arrive.”( Mason, 1843:162)*

ნაცვლად კრიზისის აღმოსაფხვრელად კონკრეტული გზების ძიებისა, პილი ჯერ უარყოფს კრიზისის არსებობას, შემდეგ კი კრიზისის აღმოსაფხვრელად დაჩქარებული წესით მოქმედების აუცილებლობაზე საუბრობს, თუმცა ამკარაა რომ არსებული მძიმე ვითარების შესამსუბუქებლად არც მას და არც მის პოლიტიკურ გუნდს არაფერი მოუმოქმედებიათ და ამის ფონზე პილი მის აუდიტორიას მხოლოდ ფუჭ, უსაფუძვლო იმედებს უსახავს, რაც ნათლად მიანიშნებს თუ რამდენად მერყევი, არათანმიმდევრული და ურთიერთ წინააღმდეგობრივია პილი თავის განცხადებებში, ხოლო ელვის სისწრაფით შეცვლილი მოსაზრებების უსასრულო კასკადი, პილს, ერთი მხრივ, როგორც სუსტ, უუნარო მმართველად წარმოაჩენს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სიტყვის

უტყუარობის მიმართ დიდ კითხვის ნიშნებს ჰზადებს და საზოგადოებაში მისი პოლიტიკური ფიგურის მიმართ ნდობას ამცირებს:

(VIII) *“My belief is –while I admit that commercial distress –while I deplore the sufferings which have been produced , and sympathise with those who have been exposed to them –yet I feel bound to admit that I cannot attribute that distress in any degree to the operation of corn laws , to which it has been supposed to be imputable. I do not view with those feelings of despair with which some are inclined to view them the commercial prospects of this country. I do not believe that the sources of our commercial and manufacturing prosperity are dried up ; but I do say that a combination of causes , acting concurrently and simultaneously , is sufficient , in my opinion, to account in a great degree for that depression which has, unfortunately, prevailed in the manufacturing and commercial interests of this country; and I have that confidence in the native energy of this country – and I have had frequent opportunities of seeing periods of preceding depressions as great, and revivals of prosperity almost as sudden and extraordinary as those depressions– that I do entertain a confident hope and belief that we may still look forward , by operation of natural causes, to the revival of our commercial prosperity.” (Bowring,1843:298)*

ინტერესს იწვევს თუ როგორც ოსტატურად ცდილობს პილი თავისი აუდიტორიის კეთილგანწყობისა და ნდობის მოპოვებას და რა ხერხებს მიმართავს აუდიტორიის დასარწმუნებლად.

VIII ეპიზოდიდან ირკვევა, რომ პილი პირველი პირის ნაცვალსახელის ”I” ზედიზედ 10-ჯერ გამოყენებით თავის პოლიტიკურ სიტყვას უფრო სუბიექტურს ხდის და კარგად გამოკვეთს მის პირად ჩართულობას, მის

განწყობა-დამოკიდებულებას, მის გრძნობებსა თუ განცდებს ქვეყანაში არსებული სამრეწველო კრიზისის მიმართ:

*“The advantage of singular forms ( I , me, myself, mine) is that they show a clear sense of personal involvement on the part of the speaker.” ( Beard, 2000:45)*

მეტი სარწმუნოებისა და დამაჯერებლობისთვის პილი მიმართავს დამოკიდებულების გამომხატველ მარკერებს (*attitude markers*): *“ my belief, “ “I feel, “ “I do not believe, “ “in my opinion, “ “I have that confidence, “ “I do entertain a confident hope, “ “unfortunately“-* საიდანაც იკვეთება, რომ პილის მსჯელობა ეფუძნება საკუთრივ მის პირად მოსაზრებებს, შეხედულებებს, ემოციურ დამოკიდებულებებს, რაც მისი პიროვნული თვისებების - დამოუკიდებლობის, თავდაჯერებულობის, გონივრულობის წინა პლანზე წამოწევას ისახავს მიზნად.

**მეორე პირის ნაცვალსახელი “you”.** ბრიტანეთის პრემიერის რობერტ პილის საპარლამენტო გამოსვლების ლინგვო-სტილისტიკური ანალიზი მოწმობს, რომ ყველაზე ხშირად ის სწორედ პირველი პირის ნაცვალსახელებს მიმართავს, მაგრამ რობერტ პილი არანაკლები სიხშირით იყენებს მეორე პირის ნაცვალსახელს *“you”* და მის კუთვნილებით ფორმას *“your”*, თუმცა ვინაიდან თანამედროვე ინგლისურში მეორე პირის სუბიექტური ნაცვალსახელის *“you”* მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, ხშირ შემთხვევაში რთულია დაზუსტებით იმის თქმა, თუ ვინ არის *“you“-ს* ადრესატი:

*“ You alone does not specify who is being referred to, because it cannot specify who is being addressed.” ( Lerner, 1996:2)*

ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, მეორე პირის ნაცვალსახელი ზოგადი მნიშვნელობის მატარებელია, რაც არ იძლევა დაზუსტებით იმის თქმის საფუძველს თუ კონკრეტულ შემთხვევებში ნახმარი *“you“* ერთ

კონკრეტულ ინდივიდს მიემართება , მთელს აუდიტორიას თუ მის გარკვეულ ნაწილს:

*“You’ may mean ‘you alone’; if it does not , then it means ‘you and others; but ambiguity does not involve deciding whether ‘you’ or ‘others’ was meant.” ( Sacks, 1992: 349)*

*“Plural ‘you’ means that ‘you’ can in fact be a way of talking about ‘everybody.’”(Sacks: 1992:166)*

თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ რა მნიშვნელობითაც არ უნდა იყოს ნახმარი ”you”, (მხოლოდითი, მრავლობითი თუ ზოგადი მნიშვნელობით), მის ადრესატად ყველა შემთხვევაში მსმენელი უპირობოდ მოიაზრება:

*“If you use “you” , it at least includes the one you are speaking to , and on their option or on your intention , insofar as those coincide , it can refer to anybody else, or to some category which includes everybody else.” ( Sacks, 1992:166)*

ორატორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული მეორე პირის ნაცვალსახელის გამოყენებით რამდენად სურს მას გამოკვეთოს მისი სიტყვის უშუალო ადრესატი, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, რომ მის გამოყენებას ბუნდოვანება და ორაზროვნება მუდამ თან ახლავს :

*“You’ in the first instance is systematically ambiguous.” ( Sacks, 1992:349)*

პირველ და მეორე ეპიზოდებში რობერტ პილი იმპორტირებულ ხორბალზე ფიქსირებული გადასახადის დაწესების წინააღმდეგ გამოდის და მასთან შედარებით არაფიქსირებული გადასახადის უპირატესობაში სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებას ცდილობს, რამეთუ იმპორტირებული ხორბლის მხოლოდ ფიქსირებული 8 შილინგით დაბეგვრა, რობერტ პილის აზრით, ადგილობრივ მიწათმფლობელებს, დაკისრებული გადასახადის სიმძიმის გათვალისწინებით, არაჯანსაღ კონკურენციაში ამყოფებს იმ უცხოელ



მიწათმფლობელებთან შედარებით, რომელთა ქვეყნიდანაც ბრიტანეთში უცხოური ხორბლის იმპორტი ხორციელდება.

მოცემულ ეპიზოდებში (I,II) ზედიზედ 7-ჯერ ნახმარი მეორე პირის ნაცვალსახელი "you" ექსკლუზიურია და პილი მასში მის ოპონენტებს, ფიქსირებული ბაჟის შემოღების მხარდამჭერებს მიმართავს, თუმცა მის ამ საპარლამენტო სიტყვის ადრესატად დამსწრე აუდიტორიაც ცალსახად მოიაზრება, მაგრამ საინტერესოა თუ ისინი რამდენად მოიაზრებენ თავიანთ თავს პოლის ამ სიტყვის ადრესატებად.

პილი ცდილობს მის სამიზნე აუდიტორიას იმპორტირებულ ხორბალზე ფიქსირებული ადასახადის შემოღების მხარდაჭერა გადააფიქრებინოს. ამისთვის კი გარდა ექსკლუზიური "you" -ს არაერთგზის გამოყენებისა ის მოვლენების ნეგატიურად განვითარების პროგნოზირებით ცდილობს აუდიტორიის დაშინებას.

რობერტ პილი თავისი არგუმენტაციული დისკურსის უტყუარობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად ინტენსიფიკატორებს მიმართავს : "*it is certain*", "*this will be certain*"; რაც უდავოდ აძლიერებს პრემიერის სიტყვებს და აუდიტორიაში მისი სიტყვისადმი სანდოობას ზრდის.

ხოლო მაკავშირებელი ერთეულების გამოყენება, რომელიც მოცემულ ეპიზოდებში "but" კავშირით არის გამოხატული, წინადადებების დამაკავშირებელ, შემაერთებელ ფუნქციასთან ერთად ერთგვარი კონტრასტის, შედარების დემონსტრირების მიზანსაც ემსახურება, რამეთუ ამ კონტრასტის საფუძველზე პილი გაცილებით მძაფრად წარმოაჩენს იმ ნეგატიურ შედეგებს, რომელიც მისი პროგნოზებით ფიქსირებული ბაჟის მხარდაჭერას მოყვება:

(I) "*Gentlemen , it is **certainly** a very tempting thing in theory to buy **your** corn at the cheapest market. **But** , gentlemen, before **you** adopt that theory in*

*practice, you must, as a matter of common justice , compare the burdens on the land in other countries with the burdens on the land in this country. The land in this country is heavily burdened; you cannot conceal that.“ (Haly,1850:160)*

(II) *“ If this proposition be adopted, I foresee this will be the certain result, you will have a redundancy of foreign corn when you are not in want of it , - when your own harvests are profitable and abundant; but when the time of scarcity shall arrive, it will be impossible for you to levy the duty of 8s a quarter on foreign corn. “ (Ollivier,1841:11)*

მესამე ეპიზოდში კი პილის მიერ არაერთგზის ნახმარი მეორე პირის ნაცვალსახელის "you" და მისი კუთვნილებითი ფორმის "your" უშუალო ადრესატი, ერთი შეხედვით, ბუნდოვანია, თუმცა აშკარაა რომ პილი მიმართავს არა კონკრეტულ ინდივიდს, არამედ ინგლისელ მიწათმფლობელებს, მრეწველებს, მთელს საზოგადოებას, რომელთა შორისაც უდავოდ თვითონაც მოიაზრება :

*“You’ as it expands and eventually meets ‘everyone’ excludes no one. It comes to mean ‘me’ indeed also.“ ( Sacks, 1992:350)*

აშკარაა, რომ პილს ამ ეპიზოდში (III) სურს ხაზი გაუსვას სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს როლს მრეწველობის დარგის აღმავლობაში და პირიქით. პილის აზრით მრეწველობა გაცილებით დიდ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის აღორძინებაში ვიდრე პურის კანონი, რითაც ის თანაბრად ახერხებს ორივე კლასის კეთილგანწყობის მოპოვებას, ხოლო საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად მიმართავს პოლიტიკური რიტორიკისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ძლიერ ლინგვისტურ ხერხს, სამ-ნაწილიან მტკიცებას, (three-part statement), რომელსაც გარდა იმისა რომ მეტი სიცხადე, სისტემურობა თუ ორგანიზებულობა შემოაქვს ტექსტში, ერთგვარი ესთეტიკური დატვირთვაც აქვს:

(III) *“I believe that it is for the interest of the agriculturist that you should lay a permanent foundation of manufacturing prosperity; and as your land is necessarily limited in quantity, as your population is increasing, as your wealth is increasing, that the true interests of land are coexistent with the manufacturing and commercial prosperity... .”*(Bagshaw, 1846:66)

IV-ე ეპიზოდში რობერტ პილი ზედიზედ 13-ჯერ მიმართავს მეორე პირის ნაცვალსახელს. მიუხედავად იმისა, რომ პილი არ ახდენს კონკრეტული პირების იდენტიფიცირებას, ცალსახაა რომ პირველი ორი შემთხვევა მისი ოპონენტების, კერძოდ, პრემიერ-მინისტრ მელბორნისა და მისი პოლიტიკური გუნდის დისკვალიფიკაციასა და მათ ნეგატიურ წარდგენას ემსახურება, რამეთუ მათმა მცდარმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა ქვეყანას მოგების ნაცვლად შემოსავლების ორ მილიონ-ნახევრიანი დანაკარგი მოუტანა.

ხოლო დანარჩენი 11 შემთხვევა პილის, უკვე როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და მისი პოლიტიკური გუნდის დადებით რეპრეზენტაციას ისახავს მიზნად: მათმა სწორმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა, მათი წინამორბედებისგან განსხვავებით, ქვეყანას 5 მილიონიანი მოგება და კომერციული დარგის აღორძინება მოუტანა.

აღნიშნულ ეპიზოდში (IV) განსაკუთრებული აქცენტი მოდის პარალელურ კონსტრუქციებსა და გამეორებაზე, რამეთუ აზრის რამდენჯერმე გამეორების, რიტმულობისა და სისტემურობის ხარჯზე, პოლიტიკური დისკურსის ეს ნაწილები აუდიტორიას გაცილებით მკაფიოდ ამახსოვრდება:

(IV) *“I find that, in the year 1841, there was a deficit of income of about 2,500,000. I find in the preceding year , 1840, you had adopted the system of imposing*

*additional duties upon imports; you had imposed five per cent in addition to all the existing duties, upon the raw material, upon articles of food , upon every thing that constituted the import trade of the country. That addition, so placed upon imports, had produced no corresponding augmentation of the revenue, but directly the reverse.*

*In 1842 you adopted the different principle . You imposed an income tax, and you reduced taxation upon all great articles of subsistence. You reduced taxation upon raw materials of your manufactures, and upon the food of the people. In 1842, you found prohibition upon meat, high protection upon corn , heavy duties upon many articles constituting the raw material on which labour could be employed . You adopted different system . You imposed an income –tax by which £5,000,000 was raised. You removed the prohibitions upon the import of animals and meat ; you reduced the duties upon every article which enters into subsistence of the people; you greatly reduced the protective duties upon corn, you reduced the duties upon 555 articles of import from abroad.” (Bain, 1849:8)*

როგორც ცნობილია, სხვადასხვა პირის ნაცვალსახელების გამოყენება სიტყვით გამოსვლისას ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს იმაში, თუ რა რეზონანსი მოყვება ამ სიტყვას. პილის მიერ ზემომოყვანილ მონაკვეთში რაოდენობრივად ნაკლები “I”-ს გამოყენება მიაწინებს რომ კონცენტრაცია ხდება არა „მე“-ზე, როგორც ინდივიდზე, არამედ “You”-ზე როგორც საზოგადოებაზე, მსმენელზე, აუდიტორიაზე.

პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “We”. რობერტ პილის ორატორულ დისკურსში ასევე არაერთგზის ვხვდებით პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელ “we”, რაც ძირითადად ეროვნული ინტერესების აქცენტირების მიზანს ემსახურება, რამეთუ სწორედ ეროვნული ინტერესებით მანიპულირებით, პილი თავის სამიზნე აუდიტორიას მისი

მოსაზრებების, იდეების, შეხედულებების გამზიარებლად, ერთგვარ თანამონაწილედ წარმოაჩენს.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ რობერტ პილის მიერ ნახმარი პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი "we" მეტწილად ინკლუზიურია, რაც მასსა და აუდიტორიას შორის თანასწორობის აქცენტირებასა, თუ მათ შორის სოციალური მანძილის შემცირებას ისახავს მიზნად.

ქვემომოყვანილი პირველი სამი ეპიზოდიდან ირკვევა, რომ რობერტ პილის მიერ ზედიზედ 15-ჯერ გამოყენებული პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი ინკლუზიურია და მასში რობერტ პილი, ამჯერად როგორც ოპოზიციური გუნდის ლიდერი მოიაზრება.

ხოლო ინკლუზიური ნაცვალსახელისა და მოდალური ზმნების "should", "may"-კომბინაციის ხარჯზე, პილი გადაწყვეტილებების მიღებისას აუდიტორიის თანამონაწილედ წარმოჩენითა და ერთიანობის, გუნდურობის იდეების აქცენტირებით, ცდილობს მათი სიმპათიებისა და ნდობის მოპოვებას.

დიდ ინტერესს იწვევს პირველი ეპიზოდი, რამეთუ, ერთი მხრივ, აქ რჩება განცდა, რომ პილი თავისი ოპონენტის პრემიერ ლორდ მელბორნის მთავრობის დადებით რეპრეზენტაციას ცდილობს, რაზეც მოწმობს ოპონენტთა დასახასიათებლად დადებითი კონოტაციის მქონე ლექსიკის გამოყენება:

*"we might respect their motives and manliness of their course; all the authority of the united administration, with the exhibition of superior sagacity, and triumphant reasoning"*

თუმცა ზემომოყვანილი ფრაზების მიუხედავად პილის საზოგადოებისადმი მოწოდებები ცალსახად მიმართულია სწორედ მისი ოპონენტის, ლორდ მელბორნის მთავრობის წინააღმდეგ :

*"We should pause; we should tell them there were higher consideration involved, than those of mercantile profit; we should have been deaf to your appeal"*

შესაბამისად, ამ ფრაზების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე ბუნდოვანია თუ რამდენად სურს პილს, ამ შემთხვევაში როგორც ოპოზიციური გუნდის ლიდერს, მისი ოპონენტების, პრემიერ ლორდ მელბორნისა და მისი პოლიტიკური გუნდის, დისკვალიფიკაცია; მაგრამ ერთი რამ აშკარაა, ის მათ ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებისგან თავს იკავებს, თუმცა ამასთან ერთად საზოგადოებას მათი მოწოდებების წინააღმდეგ განაწყობს.

მოცემულ ეპიზოდში (I) პილსა და აუდიტორიას შორის თანასწორობის აქცენტირებით, მანძილი მასსა და სამიზნე აუდიტორიას შორის საგრძნობლად მცირდება და საერთო ეროვნული მოტივებით საზოგადოებასთან მისი გაერთიანების, ალიანსის სურვილი, მიზნად საზოგადოების თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერისგან გადარწმუნებას ისახავს:

(I) *“Even then , while **we might** respect their motives , and the manliness of their course, **we should** pause. **We should** tell them there were higher consideration involved, than those of mercantile profit. **We should** doubt the policy of making this great county more dependent than it is on foreign supplies. **We should** remember with pain the cheerful smiling prospects which were thus to be obscured. **We should** view with regret cultivation receding from the hill top , which it has climbed under the influence of protection. If you called on us to abandon this protection with all the authority of the united administration , with the exhibition of superior sagacity , and triumphant reasoning , **we should** have been deaf to your appeal.” (Hansard,1839:781)*

ხოლო მეორე და მესამე ეპიზოდებში რობერტ პილი, რეალური სურათის განგებ დამძიმებით, გაცილებით მძაფრად წარმოაჩენს იმ ნეგატიურ შედეგებს, რომელიც მისი პროგნოზებით ქვეყნის იმპორტირებულ ხორბალზე დამოკიდებულებასა თუ თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერას მოჰყვება.

პილი ამ ეპიზოდებში (II და III) მიმართავს პათოსს და მისი სამიზნე აუდიტორიის ემოციებზე მანიპულირებით ცდილობს მათ დაშინებას, რამეთუ ხორბლის ადგილობრივი წარმოების შემცირება და ამის ფონზე გაზრდილი ხორბლის იმპორტი, სამომავლოდ ბრიტანელ ხალხს მწარედ სანანებელი გაუხდება, უფრო მეტიც, ამგვარი გადაწყვეტილებით ბრიტანელი ხალხი დიდი განსაცდელისთვის, შიმშილისთვის არის განწირული, შესაბამისად თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა პირდაპირ ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებსა თუ საზოგადოების საყოველთაო კეთილდღეობას.

ხოლო პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის "we"-ს არაერთგზის გამოყენებით, პილს სურს საზოგადოების პასუხისმგებლობის გამოკვეთა, რამეთუ არამარტო სახელმწიფო მოხელეები, არამედ თავადაც, ამჯერად როგორც ოპოზიციური გუნდის ლიდერი, საზოგადოებასთან ერთად თანაბრად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც მცდარმა გადაწყვეტილებამ, ამ შემთხვევაში თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერამ და იმპორტირებულ ხორბალზე შეზღუდვების მოხსნამ შეიძლება ქვეყანას მოუტანოს:

(II) *"I greatly doubt , if we discourage the production of corn at home- if we become dependent for a supply on foreign countries - if then a time of scarcity should arrive , if there should be a succession of bad seasons, if there should be a deficiency of produce not merely in this country, but in other countries of Europe – then I doubt whether we should not have great cause to regret the derangement of home produce – seeing that we should be dependent on foreigners , pressed by necessity to provide for the wants of their own people- then we should be forced to encounter evils far greater than any that now exist."* ( Hansard, 1840: 523)

(III) *“Now, if you are right in maintaining that the shores of the Baltic will afford our chief supply , and if , in reliance on that supply , we diminish materially the production of corn at home, the misfortune of a generally deficient harvest may involve us in the greatest peril. In ordinary seasons, we may safely trust to a regular supply from abroad, and the discouragement of home production may not be seriously felt –but if the common calamity should arrive , we may have cause bitterly to repent our loss of independence , and to find that the encouragement we gave to home production , by restrictive duties was a provident insurance against dangerous famine.” ( Hansard,1839: 770)*

მეოთხე ეპიზოდში კი რობერტ პილის მიერ მეორე პირის ნაცვალსახელის ”you” ადრესატები პურის კანონის მოწინააღმდეგეები არიან, მათი პურის კანონის წინააღმდეგ მიმართული აგიტაციაც, რობერტ პილის აზრით, წარუმატებელია და მარცხისთვის არის განწირული. ამავე ეპიზოდში (IV) მიზანმიმართულად ნახმარი პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ინკლუზიური ნაცვალსახელის “We”- ადრესატები ოპოზიციური პარტიის ლიდერი, თავად რობერტ პილი და ბრიტანელი ხალხია.

პილი სამიზნე აუდიტორიას აჯერებს, რომ მათ საერთო ინტერესები აერთიანებთ და სწორედ ამიტომ ისინი არ დაუჭერენ მხარს პურის კანონის მოწინააღმდეგეთა აგიტაციებს, რომლებიც ხორბლის ფასების შემცირების ხარჯზე მუშათა კლასისთვის გასამრჯელოს შემცირებას ლამობენ და რომლებიც არისტოკრატისა და მიწათმფლობელებს მათი დისკრიმინაციის მიზნით “ტირანებად”, “დიქტატორებად” მოიხსენიებენ :

(IV) *“You, who profess the hostility to the aristocracy of the country, -who impute to these classes of the community selfish motives – who attribute to them the desire to secure their own profits and to grind the poor – we will be no parties to your agitation- we will not lend ourselves to your schemes – we*



*know that your only object is to increase the profits of the cotton-spinner, and , by lowering the price of corn , to lower, at the same time, the rate of wages. “ (Hansard, 1839: 761)*

ასევე საინტერესოა, რომ ზემომოყვანილ მაგალითებში (I-IV) რობერტ პილი არაერთგზის მიმართავს პარალელურ კონსტრუქციებს, ხოლო პარალელური კონსტრუქციისთვის დამახასიათებელი სიმეტრია, რაც მიიღწევა მორფოლოგიური და სინტაქსური საშუალებებით, კერძოდ მოცემულ ეპიზოდებში შემდეგი სიტყვებისა თუ ფრაზების: “*we should,*“ “*if there should,*“ “*if we,*“ “*we may,*“ “*if,*“ “*who,*“- არაერთგზის გამეორების ხარჯზე, ერთი მხრივ, პილს ეხმარება მონუსხოს თავისი სამიზნე აუდიტორია, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სიტყვის ადვილად აღქმისა თუ ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.

### 2.3. II თავის დასკვნა

*პურის კანონთან* მიმართებაში სერ რობერტ პილის საპარლამენტო გამოსვლების ინფორმაციით მანიპულირებისა და სიცრუის თეორიების თვალსაზრისით ანალიზმა გამოავლინა შემდეგი:

1. *პურის კანონთან* დაკავშირებით პილის საპარლამენტო გამოსვლებში გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები ხშირ შემთხვევაში არაობიექტურ, მიკერძოებულ ხასიათს ატარებს; პილის დისკურსში ხშირია ცრუ არგუმენტაციის, როგორც მოტყუების ერთგვარი ტაქტიკის, ნიმუშები რაც: *სტრუქტურის, რელევანტურობის, შესაბამისობის, საკმარისობის, კრიტიკული არგუმენტის მოგერიების კრიტერიუმების* (ხან ერთი, ხან კი რამდენიმე კრიტერიუმის თანადროულად) დარღვევით მიიღწევა.

2. პილი არაერთგზის მიმართავს სტილისტიკურ ხერხებს: *პარალელურ კონსტრუქციებს, ანაფორულ გამეორებას, რიტორიკულ შეკითხვებს*, რადგან პარალელური კონსტრუქციებისა და გამეორებისთვის დამახასიათებელი სიმეტრია და რიტმულობა მისი პოლიტიკური დისკურსის ნაწილებს მეტად ემფატურს ხდის და მისი ადვილად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა, ხოლო რიტორიკული შეკითხვები კონკრეტული მოსაზრების აქცენტირებისა თუ ხაზგასმის საშუალებას წარმოადგენს, რითაც პილი ახერხებს აუდიტორიის ყურადღების მობილიზებასა და კონკრეტულ საკითხებში მათი ჩართულობის გაზრდას.
3. ვნებით გვარს, როგორც *პასუხისმგებელი პირის დეპერსონიზაციის* ერთ-ერთ ხერხს, ბრიტანეთის პრემიერი თავისი წილი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით მიზანმიმართულად მიმართავს, რამეთუ ამგვარად ბუნდოვანია თუ ვინ არის რეალურად მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელი.
4. სამიზნე აუდიტორიის განგებ შეცდომაში შეყვანის მიზნით პილი ოსტატურად იყენებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის რღვევისა თუ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიზანმიმართული უგულებელყოფის ხერხებს.
5. ორატორის მიერ სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებაში ემოციურ ფონს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ამიტომ ბრიტანეთის პრემიერი მისთვის სასურველი ემოციური განწყობის კერძოდ, ყველაზე ხშირად, სიბრაღულისა და თანაგრძნობის გამოწვევის მიზნით, აუდიტორიის გრძნობებზე მანიპულირების ხერხს აქტიურად მიმართავს.
6. პილის პურის კანონთან დაკავშირებით საპარლამენტო გამოსვლებში გაკეთებული განცხადებები დროთა განმავლობაში რადიკალურად

იცვლება და აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, ის გარკვეული დროის ინტერვალით ცვლის და კვლავ უბრუნდება მის უწინდელ მოსაზრებებს, რაც მისი სიტყვების უტყუარობაში ეჭვის შეტანის რეალურ საფუძველს იძლევა. პილის მოსაზრებების ხშირ შემთხვევაში არათანმიმდევრული, ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი და ორაზროვანი განცხადებების სიუხვე, ცალსახად აუდიტორიის დაბნევას იწვევს, რამეთუ რეალურად რთულდება იმის გაგება თუ რას ფიქრობს იგი სინამდვილეში.

7. პურის კანონის მანკიერი მხარეების შესანიღბავად, საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად და მათ უტყუარობასა და მართებულობაში სამიზნე აუდიტორიის დასარწმუნებლად, ბრიტანეთის პრემიერი ჭარბად მიმართავს ცნობილი ავტორიტეტების დამოწმებისა თუ მათი მოსაზრებისა და შეფასებების ციტირების მოხმობის სტრატეგიას. პრემიერის მიერ მოხმობილ ავტორიტეტთა შორის ხშირად ვხვდებით: გავლენიან პოლიტიკურ ეკონომისტებს, მრეწველებს, ფილოსოფოსებს, ფილოლოგებს, მინისტრებს, ბიზნესმენებს, პარლამეტის წევრებს და სხვ.
8. რ. პილი ავტორიტეტად მოიხმობს არა მხოლოდ ადამიანთა გარკვეულ ავტორიტეტულ ჯგუფებს, ან კონკრეტულ ავტორიტეტულ პიროვნებებს, არამედ უსულო საგნებსაც კი. „ავტორიტეტად“ შეიძლება მოხმობილ იქნას ესა თუ ის დოკუმენტი, გაზეთი, ტრაქტატი, ნაშრომი, ხარჯთაღრიცხვა, კალკულაცია, დოქტრინა, პამფლეტი, ბროშურა და სხვ.
9. ამასთან ბრიტანეთის პრემიერი ცნობილი ავტორიტეტის მოხმობის სტრატეგიას ხშირად თავისი წილი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანწილად შესამსუბუქებლად თუ სხვებთან გასაზიარებლად, ან თუნდაც არსებული რთული ვითარების სრულიად სხვისთვის კერძოდ, გავლენიანი ავტორიტეტებისთვის გადაბრალების მიზნით

მიმართავს; თუმცა აღსანიშნავია პილის მიერ პოლიტიკური ეკონომისტების კოლექტიურად მოხსენიების ტაქტიკის გამოყენებაც, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის კონკრეტული ინფორმაციის უტყუარობაზე რეალურად პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას.

10. როცა საკითხი საკუთარი სახის, რეპუტაციის შენარჩუნებას, ან ნეგატიურ შედეგებზე პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას ეხება, ბრიტანეთის პრემიერი არ ერიდება ცნობილი ავტორიტეტების უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას, ნეგატიურ შედეგებზე მათი ბრალეულობის გამოკვეთას და ამ გზით მათ დისკრედიტაციას.
11. პილი სამიზნე აუდიტორიაში სასურველი ემოციური ფონის შესაქმნელად, თავის პათოსურ გამოსვლებში არაერთგზის მიმართავს მოვლენების განგებ დამძიმებით საზოგადოების დაშინების, მუქარის ხერხს, რათა ამგვარი ემოციური მანიპულაციებით აუდიტორიას პურის კანონის გაუქმებისა თუ თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა გადაათქმევინოს.
12. პირადი ფარული პოლიტიკური მოტოვების შესანიღბავად, კერძოდ, სამიზნე აუდიტორიის თვალში მისგან განსხვავებული შეხედულებების მქონე გავლენიანი ავტორიტეტების გასანეიტრალებლად თუ აუდიტორიის თვალში მათი კომპეტენტურობის ეჭვქვეშ დასაყენებლად, რობერტ პილი ფუნდამენტურად განსხვავებული შეხედულებების მქონე ავტორიტეტების ურთიერთდაპირისპირების ხერხს მიმართავს, სადაც ორი შეპირისპირებული მხარიდან ის ერთ-ერთს ცალსახად ემხრობა, რაც საკუთრივ ამ უკანასკნელისადმი ნდობის ღიად გამოცხადებითა და პირადი სიმპათიების გამოხატვით ვლინდება.
13. ერთი და იგივე გავლენიანი ავტორიტეტების ზოგიერთ შემთხვევაში პოზიტიური, ხოლო ზოგ შემთხვევაში ნეგატიური რეპრეზენტაცია რობერტ პილისთვის ერთგვარი სტრატეგიული მანევრირების ნაწილია, სადაც იგი საკუთრივ პირადი პოლიტიკური ინტერესების

გასატარებლად მზად არის გავლენიანი ავტორიტეტების რეპუტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.

14. რობერტ პილი საკუთარი მოსაზრების უტყუარობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად, არაერთგზის მიმართავს მანიპულაციური დისკურსის სტრატეგიის, სადაც კონკრეტული ავტორიტეტების მოხმობისას ის მხოლოდ მათი სახელების ხსენებით როდი შემოიფარგლება და განსაკუთრებით აქცენტს მათ თანამდებობრივ უფლებამოსილებასა და ძალაუფლებაზე აკეთებს.
15. ოპონენტის გასანიტრალეზებად არასათანადო კონტარგუმენტების არსებობის შემთხვევაში, ბრიტანეთის პრემიერი ფაქტის უბრალო უარყოფისა და სამიზნე აუდიტორიის ყურადღების სხვა საკითხზე გადატანის ხერხებს ეფექტურად მიმართავს.
16. პილის პურის კანონთან დაკავშირებით საპარლამენტო გამოსვლებში პირის ნაცვალსახელებიდან, პირველი პირის ნაცვალსახელი “I” ჭარბობს. პირველი პირის მხოლოდითი ნაცვალსახელის “I”, როგორც მანიპულაციური ტაქტიკის ერთ-ერთი ფორმის, უხვად გამოყენება: საკუთარი თანამდებობრივი უფლებამოსილების ხაზგასმის, პოზიტიური თვითპრეზენტაციის, კონკრეტულ შედეგებზე პასუხისმგებლობის აღების, სხვადასხვა მოვლენებისადმი პირადი განწყობა-დამოკიდებულების გამოკვეთის, თუ პირადი ჩართულობის დემონსტრირების საშუალებას წარმოადგენს და სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებას ისახავს მიზნად.
17. კონკრეტული საკითხებისადმი საკუთარი ემოციური დამოკიდებულების სადემონსტრაციოდ და აუდიტორიის ეფექტურად დასარწმუნებლად პილი თავის ორატორულ დისკურსში პირის ნაცვალსახელებთან ერთად *დამოკიდებულების გამომხატველ მარკერებსა (attitude markers)* და *ინტენსიფიკატორებს (boosters)* აქტიურად მიმართავს.

18. სწორედ იმ ბუნდოვანებისა და ორაზროვნების გამო რაც მეორე პირის ნაცვალსახელის “you” გამოყენებას ახლავს თან, პილი მეორე პირის ნაცვალსახელებს (you, your) ხშირად წინასწარგანზრახვით სხვადასხვა მიზნებისთვის მიმართავს, კერძოდ :

ა) საკუთარი წილი პასუხისმგებლობისთვის თავის ასარიდებლად ან მნიშვნელოვნად შესამსუბუქებლად;

ბ) პასუხისმგებლობის სხვასთან კერძოდ, სამიზნე აუდიტორიასთან, პოლიტიკურ გუნდთან თუ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან გასაზიარებლად;

გ) ოპონენტების ბრალეულობის გამოსაკვეთად ;

დ) ოპონენტების გასანეიტრალებლად ;

ე) მუქარის, დაშინების გზებით აუდიტორიის ემოციებსა თუ განცდებზე მანიპულირებისთვის;

ვ) აუდიტორიის გადაწყვეტილებებსა და შეხედულებებზე ზემოქმედების მოსახდენად;

ზ) აუდიტორიის დასარწმუნებლად და დასაყოლიებლად.

19. პილის ორატორულ დისკურსში პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “we” ძირითადად ეროვნული ინტერესების აქცენტირებასა და მასსა და აუდიტორიას შორის თანასწორობისა პასუხისმგებლობის გაზიარებას გულისხმობს, სადაც ის აუდიტორიას მისი შეხედულებების ერთგვარ თანამონაწილედ, თანამოაზრედ წარმოაჩენს, რაც ცალსახად აახლოებს ამ ორს ერთმანეთთან, ამასთან აუდიტორიას რჩება განცდა რომ ის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების თანამონაწილეა.

# თავი III. რობერტ პილის პურის კანონთან დაკავშირებული სიტყვით გამოსვლები კოგნიტიური სტილისტიკის თვალსაზრისით

## 3.1. შესავალი

კოგნიტიური სტილისტიკა, როგორც ახალი პარადიგმა, მოიცავს კოგნიტიური მეცნიერების, სტილისტიკისა და ლინგვისტიკის ერთობლიობას; შესაბამისად, იგი ცდება მისი წინამორბედების, კლასიკური რიტორიკისა თუ პოეტიკის ჩარჩოებს, რომელთა საფუძველზეც ის აღმოცენდა. ცნება *კოგნიტიური*, როგორც მარგარეტ ფრიმენი აღნიშნავს, მიემართება ადამიანის გონებაში მიმდინარე კონცეპტუალურ პროცესებს, რომელიც, თავის მხრივ, ლოგიკურ აზროვნებასა და ჭეშმარიტებისა და სიცრუის დიქოტომიებს ეფუძნება:

*“Traditionally, the term cognitive refers to the rationalizing, conceptual processes of human mind that are based in logic and true/false dichotomies.” (Freeman, 2014:313)*

ფრიმენი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კოგნიტიური მეცნიერებების, განსაკუთრებით კი *კოგნიტიური ფსიქოლოგიის* დარგის დაწინაურებაზე, რომლის ფონზეც მკვეთრად გაიზარდა მეცნიერების დაინტერესება ადამიანის აზროვნების, გონებისა და სხეულის მიმართ.

როგორც ცნობილია, კონცეპტუალურ აზროვნებაზე გავლენას ახდენს ისეთი პროცესები და მოვლენები, რომლებიც მოიცავს: სხეულის შეგრძნებებს, ემოციებს, გრძნობებს, მეხსიერებას, ყურადღებას, მეტაფორასა და ანალოგიურ აზროვნებას:

*“...processes and phenomena that include bodily sensations, emotions, feelings, memory, attention, metaphor and analogous thinking ”( Freeman, 2014:313)*

ჯეფრისი განმარტავს, რომ *კოგნიტიური სტილისტიკა* ძირითადად ფოკუსირებულია იმის გარკვევაზე, თუ რა ხდება კითხვის პროცესში და როგორ ზემოქმედებს ეს უკანასკნელი იმ ტექსტის ინტერპრეტირებაზე, რომელსაც ვკითხულობთ:

*“Cognitive Stylistics focuses primarily on hypothesizing about what happens during the reading process and how this influences the interpretations that readers generate about the texts they are reading.” ( Jeffries, 2010:126)*

*კოგნიტიური სტილისტიკის* პარალელურად იხმარება ასევე ტერმინი *კოგნიტიური პოეტიკა*, თუმცა როგორც ჯეფრისი აღნიშნავს, თეორიულად არ არსებობს მიზეზი, რატომაც არ უნდა გამოვიყენოთ *კოგნიტიური სტილისტიკა*, არალიტერატურულ ტექსტების გასაანალიზებლად:

*“there is in principle no reason why cognitive stylistics should not also dealt with non-literary texts.” ( Jeffries, 2010:126)*

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ჩვენ გარე სამყაროზე უკვე არსებულ ცოდნას, დღითი დღე ვამატებთ იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიძენთ, ხოლო ტექსტის კითხვისას, მისი ინტერპრეტირებისთვის სწორედ ჩვენს გონებაში უკვე არსებულ ცოდნის სქემატურ მოდელს მივმართავთ. შესაბამისად ტექსტი ერთგვარი აქტუალიზაციის, მოქმედებაში მომყვანი მოწყობილობის როლს თამაშობს, რომელიც ხელს უწყობს მკითხველში უკვე არსებული ცოდნის გააქტიურებას.

*კოგნიტიური სტილისტიკის* ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია *კოგნიტიური მეტაფორის თეორია*, რომლის განვითარებაც თავდაპირველად ჯორჯ ლეიკოფისა და მარკ ჯონსონის სახელებს უკავშირდება, თუმცა მის განვითარებაში



მოგვიანებით არანაკლები წვლილი შეიტანეს ხერარდ სტინმა, ზოლტან კოვეჩესმა ელენა სემინომ და სხვებმა.

აღსანიშნავია რომ, *კოგნიტიური მეტაფორის თეორია* არ შემოიფარგლება მხოლოდ ლიტერატურული ტექსტებით და ვრცელდება ნებისმიერ სახის ტექსტზე. როგორც ცნობილია, აღნიშნული თეორიის მიხედვით, მეტაფორა განიხილება არა მხოლოდ როგორც ენობრივი, ასევე კოგნიტიური თავისებურება, რომელიც დაკავშირებული ჩვენს შემეცნების სისტემასთან.

ვინაიდან პოლიტიკური გამოსვლები აუდიტორიის დარწმუნების მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს, პოლიტიკოსები ხშირად თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად მიმართავენ სხვადასხვა სტილისტიკურ ხერხს: მეტაფორას, პარალელურ კონსტრუქციებს, გამეორებას და სხვ.

წინამდებარე თავი ეთმობა რობერტ პილის *პურის კანონთან* დაკავშირებული სიტყვით გამოსვლების ანალიზს კოგნიტიური სტილისტიკის თვალსაზრისით კერძოდ, გაანალიზებულია პილის მიერ კონცეპტუალური მეტაფორების, პარალელური კონსტრუქციების, გამეორებისა და რიტორიკული შეკითხვების გამოყენების სპეციფიკა.

### 3.2. კონცეპტუალური მეტაფორა პილის დისკურსში

საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მეტაფორა პოეტურ წარმოსახვასთან, ხატოვან გამონათქვამებთან და რიტორიკულ მაღალფარდოვნებასთან ასოცირდება: *“a device of the poetic imagination and the rhetorical flourish”* (Lakoff & Jonson, 2003:4). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეტაფორები ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია და ნაკლებად ვამახვილებთ ყურადღებას, თუ რამდენად ხშირად ვიყენებთ მათ ჩვენს მეტყველებაში.

როგორც ცნობილია, მეტაფორის კლასიკური გაგება ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს, როცა მეტაფორას ორნამენტული, დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა და ორიგინალური პოეზიის ენის ნაწილად აღიქმებოდა. ხოლო თავად მეტაფორას განსაზღვრავდნენ როგორც ტროპს ან რიტორიკულ ხერხს, რომელიც გამოიყენებოდა ისეთი ორი განსხვავებული საგნის შესადარებლად, რომლებსაც რაიმე საერთო ნიშან-თვისება ჰქონდა (Lakoff & Jonson, 1992: 202).

მეტაფორა მხოლოდ ენობრივ მოვლენად აღიქმებოდა, აზროვნების მეტაფორული ბუნების შესახებ ჯორჯ ლეიკოფისა და მარკ ჯონსონის მიგნების შემდეგ გახდა ცნობილი; მათი თეორიის თანახმად, ჩვენი შემეცნებისა თუ აზროვნების სისტემაც ბუნებით მეტაფორულ ხასიათს ატარებს და თითოეულ ჩვენს ქმედებას, ჩვენს აზრებსა და წარმოდგენებს განსაზღვრავს. როგორც კოვეჩესი აღნიშნავს, მეტაფორა ერთდროულად არის ლინგვისტური, კონცეპტუალური, ფიზიკური და სოციალური მოვლენა:

*“Metaphor is linguistic, conceptual, neural, bodily, and social all at the same time.”*  
(Kovecses, 2008: 53)

შესაბამისად, არა მხოლოდ ენა, არამედ ჩვენი შემეცნებითი ანუ კოგნიტიური სისტემაც მეტაფორული ხასიათისაა, მეტაფორულად არის განსაზღვრული და სტუქტურირებული.

მეტაფორის სხვადასხვა თეორიათა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით კონცეპტუალური მეტაფორის თეორია სარგებლობს. როგორც უკვე აღინიშნა, ამ თეორიის ფუძემდებლები ამერიკელი ლინგვისტი და ფილოსოფოსი ჯორჯ ლეიკოფი და ფილოსოფოსი მარკ ჯონსონი არიან; მათ ნაშრომს „მეტაფორები, რომლითაც ვცხოვრობთ“ –“Metaphors We Live By”, დღემდე არ დაუკარგავს

აქტუალურობა. ჯონსონისა და ლეიკოფის განმარტებით მეტაფორის არსი ერთი საგნის მეორე საგნის მეშვეობით აღქმაში მდგომარეობს:

*“The essence of metaphor is understanding and experiencing one kind of thing in terms of another” (Lakoff & Jonson, 1980:5).*

კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის თანახმად, მეტაფორა მხოლოდ ლინგვისტური მოვლენა არ არის არამედ კოგნიტიურიცაა. ჩვენ არა მხოლოდ აღვწერთ და აღვიქვამთ ერთ საგანს მეორე საგნის მეშვეობით, არამედ ერთი კონცეპტის შესახებ არსებული ცოდნა საწყისი კონცეპტიდან (source concept), გადაგვაქვს სამიზნე კონცეპტზე (target concept). ამასთან ერთად, როგორც კოვეჩესი მიიჩნევს, ერთი და იგივე საწყისი სფერო შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სამიზნე სფეროსთან და პირუკუ, შესაბამისად საწყისი და სამიზნე სფეროების შეწყვილებების საფუძველზე იქმნება მეტაფორული გამონათქვამები (Kovecses, 2008:61).

კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის მიხედვით, საწყისი კონცეპტი (source concept) მეტწილად გამოხატულია კონკრეტული, რეალურად არსებული „ფიზიკური სხეულის“ მეშვეობით (bodily basis), სამიზნე კონცეპტი კი (target concept), მაგალითისთვის: დრო, ემოციები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები და სხვა მეტწილად აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს (Lakoff, 1992).

ლეიკოფი და ჯონსონი კოგნიტიური ფუნქციის მიხედვით განასხვავებენ კონცეპტუალური მეტაფორის სამ ჯგუფს: **სტრუქტურულ, ონტოლოგიურ და ორიენტაციულ** მეტაფორებს.

**სტრუქტურული** მეტაფორა ეს არის ერთი ცნება, რომელიც მეტაფორულად აგებულია მეორე ცნების გამოყენებით, (მაგ. : დრო ფულია)

*“One concept is metaphorically structured in terms of another“ (Lakoff & Jonson, 2003:15).*

**ონტოლოგიური** მეტაფორის მეშვეობით სხვადასხვა მოვლენა, ქმედება, ემოცია, თუ იდეა აღიქმება როგორც ობიექტი, ნივთიერი რამ. (მაგ. The mind is a machine) –

*“A figure that provides ways of viewing events, activities, emotions, ideas, etc., as entities and substances” (Lakoff & Jonson, 2003:25).*

ხოლო რაც შეეხება **ორიენტაციულ** მეტაფორებს, ისინი ჩვენს ფიზიკურ და კულტურულ გამოცდილებას ემყარება და დაკავშირებულია სივრცობრივ ორიენტაციასთან, (მაგ. მაღლა-დაბლა, შიგნით-გარეთ, წინ-უკან) ორიენტაციული მეტაფორა ეს არის მეტაფორული ცნება, რომელიც ურთიერთდაკავშირებული ცნებების სისტემას ქმნის.

*“Metaphorical concept that organizes a whole system of concepts with respect to one another” (Lakoff & Jonson, 2003:15).*

ვინაიდან ენის დიდი ნაწილი მეტაფორულია, ჩვენი ცნებითი ანუ კონცეპტუალური ცოდნაც უმეტესწილად მეტაფორულ ხასიათს ატარებს. მეტაფორების დიდი ნაწილი პირობითი და გაუცნობიერებელი ხასიათისაა, შესაბამისად, იბადება შეკითხვა როდის არის მეტაფორა წინასწარგანზრახული, როგორც ხერარდ სტინი აღნიშნავს, მეტაფორა წინასწარგანზრახულია, თუ ის პირდაპირია და მარტივად აღიქმება ადრესატის მიერ (Steen, 2002:56).

ჯიმ კაიპერსის თანახმად, მეტაფორებს შესწევთ გარკვეული საკითხების მიმართ ჩვენს დამოკიდებულებასა და შესაბამის ქმედებებზე ზემოქმედების უნარი:

*“Metaphors can determine how we think about issues and the actions we take with regard to those issues” (Kuypers, 2009:100) .*

გასაკვირი არ არის, რომ პოლიტიკურ ლიდერებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მეტაფორა პოლიტიკური დისკურსის განუყოფელი ნაწილია და აქტიურად იყენებენ მას თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ სიტყვით გამოსვლისას მეტაფორების ხშირი გამოყენება ორატორის მიერ სამიზნე აუდიტორიაში გარკვეული

ემოციების აღძვრის მიზანს ემსახურება, ამასთან ერთად, პოლიტიკური დისკურსი მეტაფორების ხარჯზე გაცილებით უფრო მკაფიოდ და მარტივად აღსაქმელია.

პურის კანონთან დაკავშირებით სერ რობერტ პილის საპარლამენტო გამოსვლების ლინგვისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის აუდიტორიის დასარწმუნებლად აქტიურად მიმართავს კონცეპტუალურ მეტაფორებს, რომელთა შორისაც თემატურად ყველაზე მეტად **ჯანმრთელობის მეტაფორები** ქარბობს: პურის კანონი და მისი შედეგები მეტაფორულად გაიგივებულია ტანჯვასთან, ტკივილთან, ხოლო სოფლის მეურნეობის დარგი დასნეულებულია და განკურნება, წამლობა, ტანჯვისა და ტკივილისგან გათავისუფლება სჭირდება.

რობერტ პილის მიერ *ჯანმრთელობის მეტაფორების* ხშირი გამოყენება საზოგადოებაში მისთვის სასურველი ემოციების, ამ შემთხვევაში სიბრალულის, თანაგრძნობის გამოწვევის მიზანს ემსახურება. უპირველესად, სოფლის მეურნეობის დარგის ავადმყოფ ადამიანად წარმოჩენით, პილი ცდილობს საზოგადოებას დაანახვოს რეალური სურათი, რომ სოფლის მეურნეობა დასნეულებულია, თუმცა ავადმყოფი ადამიანი არ შეიძლება ავადმყოფობის გამო უგულებელვყოთ, გავკიცხოთ და გავაკრიტიკოთ, არამედ პირიქით, უნდა მოვუაროთ, ნუგეში ვცეთ, თანადგომა გამოვუცხადოთ და ვუმკურნალოთ. თუმცა ავადმყოფის განკურნება ყველას როდის ძალუმს, მის განკურნებას მხოლოდ „გამოცდილი ექიმები“ ამ შემთხვევაში ხელისუფლების წევრები შეძლებენ, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ და დაუღალავად მუშაობენ მუშათა კლასის ტანჯვის შესამსუბუქებლად:

(1) *“I can assure the house that the government is laboring silently, though indefatigably, to **alleviate the sufferings** of the working classes.”*  
(Baldwin, 1843:299)

მეორე მაგალითში (II) პილი მეტაფორულად იყენებს სიტყვებს -“*evil*”, “*remedy*“ და ამბობს, რომ მოსახლეობა გაგებით უნდა მოეკიდოს ამ გასაჭირს, რადგან ყოველგვარი წამალი უძლურია, ვერც ერთი „ექიმის“, ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემოთავაზებული ცვლილება, ვერ შეძლებს ამ უბედურების შესაძლო განმეორების თავიდან არიდებას:

(II) *“I am not satisfied that an alteration in the Corn-law would afford a **remedy** , or that the **evil** is one that can be corrected by any legislation on the subject. No legitimate **remedy** that you can by possibility devise, will be an effectual **remedy** against the recurrence of such distress.”*  
(Haly,1843:177)

მესამე მაგალითიდან ირკვევა, რომ არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მრეწველობის დარგიც დასნეულებულია, თუმცა, როგორც რობერტ პილი აღნიშნავს, მას არ ეგულება ადამიანი, ვისაც პირადად მასზე მეტად შესტკივა გული და ვინც მასზე მეტად ისურვებდა მეწარმეთათვის ამ ტკივილის შემსუბუქებას:

(III) *“I do not deny that in this country there exists great manufacturing **distress**, we all hear **with pain** those details of individual **suffering** , no man can hear them with more **pain** and sympathy than I do , no man can more cordially or more anxiously desire to **relieve** them.”* (Baldwin, 1843:297)

პილი მეწარმეთა ხვედრის მეტად დრამატიზებისათვის, მეტაფორულად იყენებს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს „გასაჭირი“, „ტკივილი“, „ტანჯვა“, „შეება“, რაც აუდიტორიის კეთილგანწყობის მოპოვებისა და მასზე ემოციური ზეგავლენის

მოხდენის მიზანს ემსახურება, ამასთან აღნიშნულ მონაკვეთში (III) რობერტ პილი ოსტატურად იყენებს პირველი პირის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელებს.

პირველი პირის ნაცვალსახელის *I-ს* ზედიზედ 2 ჯერ გამოყენებით, პილი, როგორც ქვეყნის პრემიერი, ცდილობს საკუთარი პასუხისმგებლობის ხაზგასმას, ხოლო პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის *We-ს* გამოყენებით სოციალური დისტანცია მასსა და აუდიტორიას შორის მნიშვნელოვნად მცირდება, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ისინი თანაბრად არიან პასუხისმგებელნი არსებულ კრიზისულ ვითარებაზე. (აღნიშნულ შემთხვევაში, *We* ინკლუზიურია); თუმცა, საკუთარი წილი პასუხისმგებლობის მეტად შესამცირებლად პილი აუდიტორიას ახსენებს, რომ მსგავსი უბედურება ადრეც არა ერთხელ მომხდარა (IV) და მომავალშიც მოხდება, რითაც ის ცდილობს აუდიტორიას მიანიშნოს, რომ აღნიშნული კრიზისული ვითარება მის მიერ გადადგმული არასწორი ნაბიჯებისა თუ მის მიერ გატარებული მცდარი პოლიტიკის შედეგი არ არის:

(IV) *“I am bound also to remind you that similar **distresses** has existed and I see no reason to suppose that such will not exist.” (Baldwin, 1843:297)*

ხოლო შემდგომ სამ ეპიზოდში რობერტ პილის მიერ (V, VI, VII) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სიტყვების - *“fatal”*, *„injury”*; *“sufferer”* - *„მომაკვდინებელი“*, *„დამღუპველი“*, *“ტრამვა”*, *“იარა”*, *“ტანჯული“* - მეტაფორულად მიზანმიმართული გამოყენება მიზნად ისახავს მიწათმოქმედთა და მიწათმფლობელთა კლასების კეთილგანწყობის მოპოვებას და ამასთან ერთგვარ გამაფრთხილებელ ხასიათსაც ატარებს, ვინაიდან ბრიტანეთის პრემიერი ხაზს უსვამს, რომ მცირე რაოდენობით უცხოური ხორბლის იმპორტი არამცთუ საზიანოა ქვეყნისთვის, არამედ, პირიქით, აუცილებელიცაა. თუმცა პურის კანონის გაუქმების მხარდაჭერა და შიდა მოთხოვნის მთლიანად იმპორტირებული

ხორბლის მარაგებით დაკმაყოფილება თანაბრად საზიანოა როგორც მიწათმფლობელებისთვის, ასევე ფერმერებისთვისაც :

(V) *“I do not doubt that some corn must be imported ; but what I say is , do not import corn to the **injury** of your producers.” (Haly,1843:182)*

(VI) *“There is no greater fallacy than the supposition that the importation of corn is **fatal** to agriculture, if any **injury** were inflicted on agriculture , it is most probable that it would show itself in the diminution of enclosure bills.” (Haly,1843:168)*

(VII) *“Could his interest be so distinguished from the interests of his landlord , that the latter would be the exclusive **sufferer** by a repeal of the corn laws?,, (Longmans,1839:1290)*

VIII და IX ეპიზოდებში კი პილი მეტაფორულად იყენებს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: „depress,” “depression,” “revive”. სიტყვა “depression” მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან “deprimere” რაც დაპრესვას, შევიწროებას ნიშნავდა, თუმცა 17-ე საუკუნიდან მან დათრგუნვის, დადარდიანების, მელანქოლიის მნიშვნელობა შეიძინა და 19-ე საუკუნიდან მოყოლებული აქტიურად გამოიყენება ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის დარგებში, როგორც ადამიანის ემოციური მდგომარეობის, ასევე ეკონომიკური ვითარების შესაფასებლად, ანუ მეტაფორიზაციის შედეგად აღნიშნული ლექსიკური ერთეული პოლისემიური გახდა.

ანალოგიურად ლათინური წარმოშობისაა სიტყვა - „revive”, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან „revivere” და გონს მოსვლას, გამოღვიძებას, გამოცოცხლებას, გამოჯანმრთელებას ნიშნავს. სწორედ ამ ლექსიკური ერთეულების მრავალგზის გამოყენების ხარჯზე ცდილობს ბრიტანეთის პრემიერი აუდიტორიის დარწმუნებას, რომ გაზრდილი სამრეწველო წარმოების ფონზე მკვეთრად შემცირებული ადგილობრივი ხორბლის წარმოება სოფლის მეურნეობის



დარგის „დასუსტებაზე“ , „დათრგუნვაზე“ არ მიანიშნებს, რამეთუ მიწა რომელიც სამრეწველო პროდუქციის წარმოებას ეთმობა იგივენაირად მომგებიანია ქვეყნისთვის:

*(VIII) “ The increase of manufactures may diminish the growth of corn, but it does not follow that **agricultural prosperity is thereby depressed**. The land is devoted to the production of milk and butter, and other articles yielding an equally profitable return. “ (Baldwin,1843:156)*

თუმცა ერთი რამ აშკარაა, რომ გაზრდილი სამრეწველო აქტივობის ფონზეც კი ეს დარგი მაინც „სულს ღაფავს“, რამეთუ ექსპორტზე გატანილი ბრიტანული სამრეწველო პროდუქტი უცხო ქვეყნებში მის რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად იყიდება, რაც ცალსახად ვერ მოუტანს სარგებელს როგორც ქვეყანას, ასევე ამ დარგში დასაქმებულ ადამიანებს.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი პოლიტიკური ეკონომისტი დასნეულებულ, გაღარიბებულ და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ მრეწველობის დარგზე ხმამაღლა საუბრობს, რობერტ პილს არ სურს თვალი გაუსწოროს რეალობას და საპირისპიროს მტკიცებასა და თავისი ოპონენტების არგუმენტების გაბათილებას ცნობილი ავტორიტეტის, ინგლისელი ბიზნესმენის, პარლამენტის წევრისა და მანჩესტერის სავაჭრო პალატის პრეზიდენტის ჯორჯ უილიამ ვუდის სიტყვების ციტირების მოხმობის ხარჯზე ცდილობს, სადაც ეს უკანასკნელი მრეწველობის დარგის „გონს მოსვლაზე“, „გამოცოცხლებაზე“, „გამოღვიძებაზე“, „გამოჯანმრთელებაზე“ საუბრობს:

*(IX) ” When the member of Kendal ( Mr. Wood) stated on the first night of the session , that the **manufactures were recovering from depression** , and that **general commerce of the country was in a sound and satisfactory state**. He publicly proclaimed with the authority belonging to his name and station, **that***

*manufactures were rapidly reviving , and that commerce was in a satisfactory condition. „ ( Hansard, 1839:751)*

ხოლო 1841 წლის საპარლამენტო გამოსვლიდან (X) ირკვევა რომ ბრიტანეთის პრემიერი ამჯერად უკვე აღიარებს სამრეწველო დარგის „დასნეულებას“ და გალატაკებულ მდგომარეობაში მყოფი მრეწველებისადმი თანაგრძნობისა და სიბრალულის გამოხატვით ცდილობს მათ ემოციებსა და გრძნობებზე ზემოქმედების მოხდენას.

რობერტ პილი სამიზნე აუდიტორიას არწმუნებს, რომ სამრეწველო კრიზისი მხოლოდ დროებითია, ამიტომ მისი ოპონენტებისგან განსხვავებით განგაშის რეალურ საფუძველს ვერ ხედავს და მეტიც დარგის სწრაფ გამოცოცხლებას პროგნოზირებს:

(X) *“I do not deny that in this country there exists great **manufacturing distress**; and I am sure that whatever may be the issue of our party contests in this house , we all **hear with pain** those details of **individual suffering** that have been read in the course of the debate. I see nothing in them to justify the belief that the **depression** in these branches of our national industry is more than temporary , and we may not expect a **speedy revival** , from elasticity of our resources. „ (Hansard, 1841:697)*

პურის კანონთან დაკავშირებით რობერტ პილის საპარლამენტო გამოსვლებში ასევე მრავლად ვხვდებით **სპორტული** თუ **აზარტული თამაშებისთვის დამახასიათებელ ტერმინებს** : „შეჯიბრი“, „მეტოქე“, „აზარტული თამაშების მოთამაშე“ და სხვა. სადაც მეტაფორულად ხორბლის ვაჭრობა აღქმულია, როგორც ერთგვარი აზარტული თამაში, შეჯიბრი, ხოლო ინგლისელი ფერმერი კი „მოთამაშეა“, რომელიც მეტოქეობას, კონკურენციას ვერ უწევს სხვა ქვეყნების მასზე ძლიერ მოთამაშეებს:

(XI) *“The farmer says he cannot enter into **competition** with the foreign grower, whose land is more fertile and who is free from the encumbrances of public and local taxes to which he is subject.” (Barrow,1839:1290)*

მოცემულ ეპიზოდში (XI) პილი ერთგვარად ხაზს უსვამს იმ უთანასწორო, უსამართლო კონკურენციას, სადაც ინგლისელი ფერმერი იჩაგრება, რადგან, მეტოქეებისგან განსხვავებით, მას ტვირთად აწევს ადგილობრივი თუ სახელმწიფო გადასახადები, რომ არაფერი ვთქვათ მეტოქეთა მიწებზე, რომელიც ინგლისის მიწებთან შედარებით ბევრად ნაყოფიერია.

აღნიშნული ეპიზოდი (XI) ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ოსტატურად ახერხებს რობერტ პილი, როგორც აუდიტორიის, ასევე მიწათმოქმედთა კლასის კეთილგანწყობის მოპოვებას, ამასთან პილი თანაგრძნობითა და სოლიდარობით განაწყობს სამიზნე აუდიტორიას ინგლისელი ფერმერის მიმართ, რითაც მისი, როგორც „მსაჯის“ პირადი პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის დარგში არსებული კრიზისული ვითარების მიმართ მცირდება.

ხოლო XII ეპიზოდში რობერტ პილი იმ კანონის შემოღების აუცილებლობაზე საუბრობს, რომელიც, ერთი მხრივ, გაამარტივებდა ქვეყანაში უცხოური ხორბლის შემოდინებას და, მეორე მხრივ, ბოლოს მოუღებდა ბაზრის „მოთამაშეების“ მიერ ხორბლის ფასებით სპეკულირებას:

(XII) *“It appears to me that proposed law will have the effect of facilitating the importation of foreign corn , and of contributing to regulate its price. By taking away sudden fluctuations in the amount of duty , it will diminish the chances of great gains being made by mere speculations and **gamblers** in corn.” (Haly,1843:166)*

საკვლევ მასალაში ასევე დიდი სიხშირით ვხვდებით წყლის მეტაფორებს - აქ საუბარია ჭარბი რაოდენობით ხორბლის „შემოდინებაზე“, სამრეწველო და სავაჭრო რესურსების „დაშრობაზე“, ოქროს, ფულის „დრენირებაზე“, „გადინებაზე“, თუ უცხოური ნაწარმის „დიდ ყლუპებად“ ანუ ჭარბად შემოდინებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მეტაფორის კონცეპტუალური თეორიის თანახმად, ჩვენ ერთ საგანს მეორე საგნის მეშვეობით აღვიქვამთ, და მასზე არსებული ცოდნა საწყისი კონცეპტიდან (source concept) გადაგვაქვს სამიზნე კონცეპტზე (target concept); ქვემოთმოცემულ მონაკვეთებში (XIII, XIV, XV, XVI, XVII) წყლის თვისებები : დინება, დრენირება, გადინება, შემოდინება, დაშრობა და სხვა გადატანილია უსულო საგანზე, მოცემულ შემთხვევაში: ოქროზე, ფულზე, ხორბალზე, სამრეწველო თუ სავაჭრო რესურსებზე და თითოეული აღქმულია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კონცეპტუალური მეტაფორის ერთ-ერთ ჯგუფთან **ონტოლოგიურ** მეტაფორასთან, როცა სხვადასხვა მოვლენა, ქმედება, აღიქმება როგორც ობიექტი, ნივთიერი რამ. (მაგალითად : „ხორბალი არის სითხე“ ან „ფული არის სითხე „) :

*“ a figure that provides ways of viewing events, activities, emotions, ideas, etc., as entities and substances ” (Lakoff & Jonson, 2003:25).*

(XIII) *“I do not believe that the sources of our commercial and manufacturing prosperity are **dried up**.” (Baldwin, 1843:298)*

(XIV) *“**Pour** into our markets such a **glut** of foreign produce.” (ბაროუ, 1839:1291)*

(XV) *“The **drain** of gold, and the allegation that that **drain** is attributable to the Conn-laws.” (Haly, 1843:180)*

(XVI) *“In times of great abundance-of unexampled, I may say of excessive and superabundant, supply –corn would be **poured** into this country from the*

*ports of the continent Europe, and from those of America, to the disadvantage of our own grower”. (Haly ,1843:159)*

*(XVII) “We should not forget that , it has been under the influence of protection to agriculture , continued for 200 years, that the **fen has been drained** – the wild health reclaimed.” (Longmans,1839:1294)*

ხოლო შემდეგ ეპიზოდებში, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რობერტ პილი ბრიტანეთის ბაზარზე დიდი ოდენობით უცხოური ხორბლის „შემოდინების“ აუცილებლობაზე საუბრობს, რათა ამით მოხდეს მონეტარული სისტემის კოლაფსის განმეორების თავიდან არიდება, ეს მაშინ როცა რობერტ პილი წინა წლებში კატეგორიულად უარყოფდა პურის კანონის ბრალეულობას 1838-39 წლების მონეტარული სისტემის რღვევაში:

*(XVIII) “ It appears to me that we may calculate upon a regular and gradually-increasing **importation**. In expressing this opinion, I would not be understood to draw a too sanguine inference from the short experience which the operation of the measure has afforded; but I am opinion that we shall have such a **regular influx of foreign corn** as will not tend to derange the monetary system, and that, in addition to the regularity of the supply, we may also look for a gradual increase.” ( Baldwin,1843: 284)*

მოძრაობის მეტაფორები მრავლად გვხვდება პილის საპარლამენტო გამოსვლებში, სადაც მოძრავი საგნის თვისება დაეშვას, მალა ავიდეს, ამჯერად გადატანილია უსულო საგანზე - კერძოდ ბაჟზე, გადასახადის ოდენობაზე, ფასების მერყეობაზე და სხვა:

(XIX) *“I cannot consent to substitute a fixed duty of 8s. a quarter of foreign corn, for the present **ascending and descending** scale of duties. I prefer the principle of the **ascending and descending** scale to such an amount of fixed duty.” (Haly, 1843:160)*

(XX) *“The weekly averages show that the **fall from** the highest point to the lowest, and the **ascent** again from the lowest, was as gradual as it was possible to be under any system of corn laws.” (Hansard, 1839:763).*

მოცემულ მონაკვეთში (XXI) საქმე გვაქვს ორიენტაციულ მეტაფორებთან, ამიტომ განსაკუთრებული აქცენტი სივრცობრივ ორიენტაციაზე კეთდება. სულიერი საგნის თვისება - გორაკის წვერზე აცოცება და უკან ჩამოსვლა, მეტაფორულად გადატანილია ისევ უსულო საგანზე, მიწის კულტივირებაზე. გორაკის წვერზე აცოცებაში რობერტ პილი მეტაფორულად სოფლის მეურნეობის დარგის აღმავლობას გულისხმობს და მას სწორედ პურის კანონს მიაწერს, (კარგი არის მაღლა). შესაბამისად პურის კანონის გაუქმებას სოფლის მეურნეობის დარგის დაღმავლობა, ინგლისური მიწების კულტივირების შემცირება მოყვება, (ცუდი არის დაბლა) რაც მთელს ერს მომავალში სანანებელი გაუხდება:

(XXI) *“We should view with regret **cultivation receding from the hill-top, which it has climbed** under the influence of protection.” (Barrow, 1839:1293)*

მართალია XXII ეპიზოდში ბრიტანეთის პრემიერი გარკვეულწილად გამოკვეთს პურის კანონის მანკიერ მხარეს, კერძოდ, მისი ფასების მკვეთრ მერყეობას, რაც უდავოდ მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების მოშლას იწვევს, თუმცა XXIII ეპიზოდში ამის საპასუხოდ თავადვე მიუთითებს პურის კანონის უპირატესობაზეც - ბრიტანელ ფერმერს, უცხოური კონკურენციის პირობებში, მის

მიერ ადგილობრივად წარმოებული ხორბლის ბაზარზე იაფად, სარგებლის მიღების გარეშე „გადაგდება“ მოუწევდა:

(XXII) *“Another objection which is made to the corn laws is, the **great fluctuation** which they cause in the price of corn, and the great uncertainty which they introduce into the **traffic in corn**, and the consequent derangement they cause in the commercial intercourse between this country and foreign powers.”*  
(Hansard, 1840:523)

(XXIII) *“The holder of the corn would naturally disposed to think , that other might be importing , and that the consequence might be a diminution in the price which would prevent him from **throwing his wheat into the market** with advantage.”* (Haly,1843:166)

რობერტ პილის ორატორულ დისკურსში ასევე დიდი სიხშირით ვხვდებით ბუნების მეტაფორებს, სადაც ბუნებრივი გარემოს გამომხატველი სიტყვები: “tempest”, “storm”, “clouding” – „ქარიშხალი“, „გრიგალი“, “მოღრუბლვა“, რობერტ პილს მოვლენების განგებ დამძიმებასა თუ მეტად თვალსაჩინოდ და მკაფიოდ წარმოჩენაში ეხმარება.

მოცემულ ეპიზოდში (XXIV) რობერტ პილი სამიზნე აუდიტორიის პურის კანონში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობაში დარწმუნებას ცდილობს რათა ამ გზით სოფლის მეურნეობის დარგში დაბანდებულ კაპიტალს საფრთხე აარიდოს, რამეთუ სწორედ ამ კაპიტალზეა დამოკიდებული მიწათმოქმედთა კეთილდღეობის სამომავლო გეგმები.

პილი მეტაფორულად იყენებს სიტყვას „მოღრუბლვა“- „**clouding**“ რათა მუქ ფერებში დახატოს მიწათმოქმედთა სამომავლო პერსპექტივები თუ ისინი ამ ცვლილებების განხორციელებას მხარს არ დაუჭერენ :

*(XXIV) „avoiding disturbance of capital embarked in agriculture, and the **clouding** of the **prospects** of worldly prosperity and social happiness of those who derive their subsistence from land.“ (Haly,1850:167)*

ხოლო XXV ეპიზოდში პილი იმავე პათოსით ცდილობს აუდიტორიის დარწმუნებას, რომ ისინი წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევენ, როცა ვნებათა პირველი ქარიშხალი - „**storm of passion**“ ჩაივლის და როცა კეთილგონიერება და საღი აზრი გააქარწყლებს უსაფუძვლო წარმოდგენებს:

*(XXV) “Our hope and confidence in success will be, that when the first **storm of passion** shall have passed away , and when clear judgement and reason shall mitigate unjust apprehensions.“ (Haly,1850:167)*

XXVI ეპიზოდში პილი მეტაფორულად იყენებს სიტყვას ქარიშხალი “**tempest**” რაც ეხმარება მას მთელი სიმძაფრით ასახოს მდელვარების რეალური სურათი, საუბარია სადაზვერვო სამსახურის მიერ პურის კანონის წინააღმდეგ მუშათა კლასის ასამხედრებლად გატარებულ მთელ რიგ წარუმატებელ ღონისძიებებზე :

*(XXVI) “The attempt has failed because they found themselves utterly powerless to guide the **tempest** they themselves had raised.“ (Haly,1843:178)*

სინათლის მეტაფორები - როგორც უკვე აღინიშნა,სერ რობერტ პილი თავის საპარლამენტო გამოსვლებში პურის კანონის გაუქმების მომხრეთა გადასარწმუნებლად არაერთგზის მიმართავს ცნობილი ავტორიტეტების, კერძოდ ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ეკონომისტების: ადამ სმიტის, დავიდ რიკარდოს, ტომას მალთესისა და სხვა კლასიკური ეკონომისტების მოსაზრებების ციტირების ხერხს, რაც მის მსჯელობას მეტ დამაჯერებლობას ჰმატებს.



თუმცა როცა საუბარია პურის კანონის მანკიერ მხარეებზე, კერძოდ გადასახადების უთანასწორო და უსამართლო გადანაწილებაზე რამაც სოფლის მეურნეობის დარგის „დასნეულება“ გამოიწვია, საკუთარი წილი პასუხისმგებლობის არიდების მიზნით პილი სწორედ გავლენიანი პოლიტიკური ეკონომისტების მცდარი პროგნოზებისკენ იშვერს თითოს და ხაზს უსვამს მათ ბრალეულობას და ამის ფონზე მთელს იმედებს დედოფლის მთავრობის წევრებზე ამყარებს, რომლებმაც შვება უნდა მოჰგვარონ „დასნეულებულ“ სოფლის მეურნეობის დარგს და თავიანთი გამჭრიახობით და საზრიანობით, „ნათელი“ უნდა მოჰფინონ „წყვდიადს“:

*(XXVII) “But ,I must, at the same time, confess, with all respect for that science and its **brightest luminaries**, that they have failed to throw **light** on the obscure and intricate question of the nature and amount of those special burdens upon agriculture.” (Longmans,1839:1292)*

*(XXVIII) “Perplexed by these conflicting authorities –we turn for relief to her Majesty’s Government, in the hope that, from their eminence from which they are placed, they will be able to , by their superior sagacity, to **illuminate the darkness** and unravel the intricacies on our way. “ (Longmans,1839:1292)*

აღნიშნულ მონაკვეთში (XXVIII) პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის “We” გამოყენებით პილი ცდილობს აუდიტორია დაარწმუნოს, რომ ის თავადაც იმავე ბედს იზიარებს, იგივენაირად იტანჯება, იმავე „წყვდიადშია“ და „სინათლეს“ ანუ იმედს ახლა მხოლოდ მისი თანაგუნდელებისადმი ნდობის გამოცხადებაში ხედავს.

თავის საპარლამენტო გამოსვლებში ბრიტანეთის პრემიერი არაერთგზის მიმართავს ტვირთის მეტაფორებს სადაც მიწათმფლობელი წარმოჩენილია,

როგორც „გმირი“, რომელსაც საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისთვის მძიმე ტვირთის ტარება უწევს და რომელიც არაერთი პასუხისმგებლობისა და ვალდებულების საკუთარ თავზე აღებით გამოიხატება.

მრეწველებისგან განსხვავებით მძიმეა იმ ტვირთის ხვედრითი წილი, რომლის ტარებაც მიწათმფლობელს უწევს, საუბარია მათ მიერ მთელი რიგი გადასახადების: ღარიბთა სასარგებლოდ ადგილობრივი მოსაკრებლის, მიწის გადასახადის, ალაოს გადასახადის წლიური საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე :

*(XXIX) “Before you determine to take off the restriction on the import of foreign corn, you ought first look at the **burdens** to which the landholder is subject and at the difference in degree in which those **burdens**, whether they be local or public **burdens** press upon the landed proprietor.” (Haly, 1843:169)*

*(XXX) “The **land in this country is heavily burdened**, you can not conceal that . Look at **the amount of poor’s rate as levied on land** , as compared with that levied on the productive means of manufacturing industry. **Who pay the highway rates? Who pay the church rates? Who pay the poor’s rate. Who pay the tithes?** I say not, perhaps , altogether , but chiefly , the landed occupiers of this country.” (Ollivier , 1841:11)*

ამასთან რობერტ პილი მიწათმფლობელის, როგორც „გმირის“ ხვედრის მეტად დრამატიზებისთვის მიმართავს რიტორიკულ ხერხს ეპიფორას და ზედიზედ იმეორებს სიტყვას „burdens” რაც მეტ სიმძაფრესა და რიტმულობას სძენს მის სიტყვებს.

ხოლო შემდეგ ეპიზოდში (XXXI) ბრიტანეთის პრემიერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თავისუფალი ვაჭრობა და პურის უცხოურ ბაზრებზე იაფად ყიდვის იდეა შესაძლოა ბევრისთვის მიმზიდველად , მაცდურად ჟღერდეს, თუმცა ბრიტანელ

ხალხს უნდა ახსოვდეს რომ ბრიტანეთში მიწა სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მეტად იბეგრება და პურის კანონის გაუქმების შემთხვევაში მიწათმფლობელი მეტად ვეღარ შეძლებს ამ ტვირთის ტარებას:

(XXXI) *“Gentlemen , it is certainly a very tempting thing in theory to buy your corn at the cheapest market. But , gentlemen, before you adopt that theory in practice, you must, as a matter of common justice , **compare the burdens on the land in other countries with the burdens on the land in this country. The land in this country is heavily burdened; you cannot conceal that.**”*  
(Haly,1850:160)

(XXXII) *“If there be a free trade in corn , is it not evident that the landholder will be no longer able to **bear those burdens that press peculiarly on the land?**”* ( Haly, 1850:170)

აღნიშნული ეპიზოდების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ონტოლოგიური თუ ორიენტაციული მეტაფორების ხშირი გამოყენების ხარჯზე პოლიტიკური დისკურსის ნაწილები აუდიტორიისთვის მარტივად აღსაქმელი და დასამახსოვრებელია. სწორედ ამ მიზეზით შეიძლება აიხსნას რობერტ პილის საპარლამენტო გამოსვლებში კონცეპტუალური მეტაფორების ჭარბი გამოყენება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს რობერტ პილის ორატორულ დისკურსში ონტოლოგიური მეტაფორის ერთ-ერთი სახეობის, **პერსონიფიკაციის**, ჭარბი გამოყენებაც, რომელიც პოლიტიკურ დისკურსში ყველაზე გავრცელებული მეტაფორის ფორმაა და ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებების უსულო საგნებზე თუ ნივთებზე გადატანას გულისხმობს :

*“Understanding nonhuman entities, or things in terms of human beings.”* (Kovecses, 2002:251)

*“The physical object is further specified as being a person.” (Lakoff & Jonson, 2003:33).*

პილი დიდი სიხშირით მიმართავს პერსონიფიკაციის ერთ-ერთ ფორმას „*the nation is a person*“, სადაც ქვეყანა წარმოდგენილია როგორც ადამიანი. XXXIII – XXXIV ეპიზოდებიდან ირკვევა, რომ რობერტ პილი ირლანდიას, როგორც ადამიანს, როგორც „დობილ“ ქვეყანას ისე განიხილავს, რომელსაც ინგლისმა „კარი კი არ უნდა მიუხუროს“, არამედ პირიქით დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს:

*(XXXIII) “Ireland has, in this respect, a claim to our protection beyond any foreign country. We ought not to shut our doors on her , but offer her that protection which she has given us when we most required it ” (Haly,1843:187).*

ამასთან პრემიერი ცდილობს აუდიტორიის დარწმუნებას რომ თავისუფალი ვაჭრობის იდეა წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ ინტერესებთან, კერძოდ ის საუბრობს ირლანდიისა და ინგლისის ურთიერთობაზე, სადაც ირლანდიის როგორც „და“ ქვეყნის - „*sister country*“, წარმატება ინგლისზეა დამოკიდებული, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის იდეის მხარდაჭერა გულისხმობს, რომ პოლონეთში ირლანდიასთან შედარებით დაბალი ხორბლის ფასის არსებობის შემთხვევაში, ინგლისს არჩევანის გაკეთება სწორედ პოლონეთზე მოუწევს და არა მის დობილ ქვეყანაზე ირლანდიაზე:

*(XXXIV) “Should we depress that interest in the sister country on which her prosperity exclusively depends” (Hansard, 1834:442)*

*(XXXV) “the principles of free trade require you to buy your corn in Poland, if corn is cheaper in Poland than in Ireland.” (Hansard, 1834:442)*

ზემოაღნიშნულ მონაკვეთებში ნათლად ჩანს, რომ პილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეროვნულ გრძნობებსა და ფასეულობებზე და ამ თემებზე მანიპულირებით ახერხებს აუდიტორიაში სასურველი ემოციების აღძვრას და მათ დამოკიდებულებასა თუ შეხედულებებზე ირიბად, შეფარვით ზემოქმედების მოხდენას, რითაც მათ მისთვის სასურველი დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებს.

ამასთან XXXIV მონაკვეთში პილი რიტორიკული შეკითხვის ერთ-ერთ ფორმას, ზოგად კითხვას (general/ yes or no question) მიმართავს, თუმცა აშკარაა რომ რიტორიკული შეკითხვის დასმა არა დასმულ კითხვაზე რეალური პასუხის მიღების, არამედ სამიზნე აუდიტორიის ყურადღების მობილიზებას ისახავს მიზნად.

ხოლო პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ინკლუზიური ნაცვალსახელის “we”-ს გამოყენება ერთგვარად პასუხისმგებლობის გაზიარებას გულისხმობს ორატორსა და აუდიტორიას შორის, რითაც პილი ცდილობს აუდიტორიას დაანახვოს, რომ ისინი თანაბრად არიან პასუხისმგებელნი იმ შედეგებზე რაც თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერას მოჰყვება, ხოლო სიტყვას “depress” დათრგუნვა, დადარდიანებას პილი მიზანმიმართულად სამიზნე აუდიტორიაში მისთვის სასურველი ემოციების, კერძოდ სიბრაღისა და თანაგრძნობის აღსაძრავად მიმართავს.

ქვემოთ მოცემულ პასაჟებში (XXXVI-XXXVIII) კი ინგლისს ტვირთად აწევს გადასახადების გადახდა, თავისი მოსახლეობის ხორბლით უზრუნველყოფა, ანუ სულიერი საგნის თვისება, გადასახადების გადახდა, ხორბლის მოყვანა გადატანილია უსულო საგანზე აღნიშნულ შემთხვევაში ქვეყანაზე:

*(XXXVI) “I hold in my hand an account of the amount of Poor-rates paid by this country.” (Mason, 1843:157)*

(XXXVII) *“Now I am not prepared to admit that **this country is unable** , in ordinary years, to **supply its own population.**”(Fay, 1932:166)*

(XXXVIII) *“I I nevertheless do not abandon the hope that **this country, on the average of years , may produce a sufficiency for its own necessities.**”(Hooper, 1843: 286)*

### 3.3. პარალელური კონსტრუქციები და გამეორება პილის გამოსვლებში

პოლიტიკოსები არგუმენტაციულ დისკურსში, მსგავსი ან იდენტური შინაარსის, სტრუქტურისა თუ ჟღერადობის მქონე ბგერების, სიტყვების, ფრაზებისა თუ წინადადებების თანმიმდევრული გამეორების ხერხს ხშირად მიზანმიმართულად მიმართავენ, რამეთუ პარალელური კონსტრუქციებისა და გამეორების სხვადასხვა ფორმის ხშირ გამოყენებას, როგორც ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ დონეზე, ერთგვარი ემფატური დატვირთვის გარდა, კოჰეზიური ფუნქციაც აქვს და სტილისტურ დატვირთვასაც ატარებს; მსგავსი ან თუნდაც იდენტური კონსტრუქციების მრავალგზის, თანმიმდევრულად გამოყენების ხარჯზე, მსმენელისთვის მიწოდებული ინფორმაციის ოდენობა შედარებით ნაკლებია, რაც საბოლოოდ მოსაუბრის სიტყვის ადვილად აღქმა-გაგებისა თუ ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა:

*“Repetition facilitates comprehension by providing semantically less dense discourse. If some of the words are repetitious, comparatively less new information is communicated than if all words uttered carried new information. “ ( Tannen, 2007:59)*

ამასთან სიმეტრიული ფორმულების თანმიმდევრული გამეორებისას აუდიტორიის ყურადღებას მხოლოდ დისკურსის იდენტური ნაწილები როდი იქცევს. რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ამ დროს აუდიტორიის ყურადღებას თანაბრად იპყრობს ყველა მსგავსება თუ განსხვავება ანუ მსმენელის ყურადღება თანაბრად არის მიმართული დისკურსის, როგორც იდენტურ, სიმეტრიულ, ასევე განსხვავებულ, არამსგავს ნაწილებზე (Cf.Tannen, 2007:60)

ერთხელ შემუშავებული მზა ფორმულების მრავალგზის თანმიმდევრული გამეორება, ორატორს საშუალებას აძლევს ნაკლები ძალისხმევით მოახერხოს თავისი სამიზნე აუდიტორიის ყურადღების მობილიზება და მისი არგუმენტაციული დისკურსის უტყუარობაში მათი დარწმუნება.

თუ თვალს გადავავლებთ რობერტ პილის არგუმენტაციულ დისკურსს, ადვილად შევამჩნევთ, რომ ის კარგად ფლობს დამაჯერებელი სიტყვის ტექნიკას, რამეთუ მისი არგუმენტაციული დისკურსის ნაწილები მეტწილად სწორედ პარალელური კონსტრუქციებითა და გამეორების სხვადასხვა ფორმით არის აგებულ; კერძოდ, პილი მიმართავს გამეორების სხვადასხვა ფორმას, როგორც სიტყვის, ფრაზის ასევე წინადადების დონეზე, რაც ემსახურება იდეის გამოხატვას მსგავსი თანმიმდევრული სტრუქტურებით, სადაც თითოეული მათგანი თანაბარი მნიშვნელობისაა, ხოლო განსაკუთრებული აქცენტი მოდის სიმეტრიასა და რიტმულობაზე, რაც სიტყვის ადვილად აღქმისა და დამახსოვრების საშუალებას იძლევა და აუდიტორიის დასარწმუნებლად არის მიმართული.

პირველ და მეორე ეპიზოდში რობერტ პილი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს იმ მძიმე ტვირთზე, რაც მიწათმფლობელებს უცხოური კონკურენციისგან დაცვის სანაცვლოდ აკისრიათ, ამიტომ პილი მიიჩნევს, რომ ამ გადასახადების სიმძიმის გათვალისწინებით, სავსებით სამართლიანია იმპორტირებულ ხორბალზე დაწესებული შეზღუდვები:

(I) *“The land in this country is heavily burdened, you can not conceal that . Look at the amount of poor’s rate as levied on land , as compared with that levied on the productive means of manufacturing industry. Who pay the highway rates? Who pay the church rates? Who pay the poor’s rate. Who pay the tithes? I say not, perhaps , altogether , but chiefly , the landed occupiers of this country.” (Ollivier, 1841:11)*

ამ მოსაზრების უტყუარობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად პილი არა მტკიცებით, არამედ კითხვით ფორმას მიმართავს, კერძოდ იყენებს რიტორიკული შეკითხვის ერთ-ერთ ფორმას ანტიფოფორას (Anthyphora) , რაც რიტორიკული შეკითხვების დასმასა და მათზე დაუყოვნებლივ თავადვე პასუხის გაცემას გულისხმობს.

გარდა რიტორიკული შეკითხვებისა, ამავე ეპიზოდში (I) ვხვდებით პარალელურ კონსტრუქციებს როგორც ფრაზის, ასევე წინადადების დონეზე, კერძოდ პილი მიმართავს გამეორების ერთ-ერთ ფორმას, სიმფლოსს (Symploce), რაც გამეორების სხვადასხვა ფორმის, კერძოდ ანაფორასა (Anaphora) და ეპიფორას (Epiphora) ერთგვარი კომბინაციაა და გულისხმობს მსგავსი ან იდენტური სიტყვის ან ფრაზის გამეორებას რამდენიმე თანმიმდევრული წინადადების დასაწყისსა და დასასრულში, რასაც პილის სიტყვაში უდავოდ მეტი რიტმულობა და სიმეტრია შემოაქვს.

მეორე ეპიზოდში კი რობერტ პილი მიმართავს გამეორების ერთ-ერთ ფორმას ანაფორას, რაც გამოიხატება ერთი და იმავე ფრაზის : “look at” -ის გამეორებით ოთხი თანმიმდევრული წინადადების დასაწყისში :

(II) *“Look at the capital invested in the land and agriculture in this country-look at the interests involved in it -look at the arrangement that has been come*



*to for the commutation of tithes –look at your importation of corn diminishing for the last ten years–consider the burdens on the land peculiar to this country.” (Ollivier, 1841:13)*

მესამე და მეოთხე მონაკვეთში რობერტ პილი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ უცხოური კონკურენციისგან დაცვის პრივილეგიით მიწათმფლობელებთან ერთად მრეწველებიც თანაბრად სარგებლობენ, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა, ხორბლის უცხოურ ბაზრებზე იაფად შესყიდვა და ბრიტანელი ფერმერისთვის უცხოური კონკურენციისგან დაცვის პრივილეგიის მოხსნა, თანაბრად შეეხება მრეწველობის დარგსაც და თუ ფერმერი ვერ ისარგებლებს ამ პრივილეგიით, მაშინ მრეწველებიც იმავე ბედს გაიზიარებენ.

აუდიტორიის ყურადღებას იპყრობს რობერტ პილის მიერ მოცემულ მონაკვეთებში (III, IV) პარალელურ კონსტრუქციებისა და გამეორების სხვადასხვა ფორმის სიუხვე, ამჯერად უკვე როგორც სიტყვის, ფრაზის, ასევე წინადადების დონეზე. მესამე მონაკვეთში რობერტ პილი კიდევ ერთხელ მიმართავს გამეორების ერთ-ერთ ფორმას სიმფლოსს, და ორი თანმიმდევრული წინადადების დასაწყისსა და დასასრულში იმეორებს იდენტურ ფრაზებს : *“let me & my own“*, ამასთან შთამბეჭდავია პილის მიერ ამავე ეპიზოდში (III) რიტორიკული ხერხების, ჩამონათვალისა (*Enumeration*) და ანაფორას კომბინირებული გამოყენებაც, სადაც პილი ზედიზედ 6-ჯერ იმეორებს პირველი პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს *“my”* : *“my shoes, my buttons, my hat , my gloves, my silk handkerchief, my watch,“* ხოლო ამავე ეპიზოდის (III) ბოლოს პილი კვლავ მიმართავს გამეორების კიდევ ერთ ფორმას (*Repotia*) – რაც მცირეოდენი სხვაობების მქონე ფრაზების, თანმიმდევრული გამეორებით გამოიხატება : *“it be right - it is right“* ; *“the article I sell is to exempt - the article I buy be exempt ”* :

(III) *“But, says the farmer, “Extend the same principle to everything else as well as to corn. Don’t make me the sole victim of this excellent doctrine. Let me grow my own tobacco-let me manufacture and consume my own malt. Look at every article I wear , from the sole of my shoe to the crown of my hat – every thing is taxed, and taxed for the purpose of protection to manufactures – my shoes, my buttons, my hat, my gloves, my silk handkerchief, my watch, every article of manufactured linen. Whatever I require for domestic use it is taxed. Gold and silver plate, paper, china , clocks, thread, pot , wax, wire every letter of the alphabet presents some article of domestic manufacture protected by taxation from foreign competition. If it be right to buy corn in the cheapest market, it is right to buy every thing else, and if the article I sell is to exempt from protection, let the article I buy be exempt also.” (Hansard, 1839:773)*

მეოთხე ეპიზოდში პარალელური კონსტრუქციების, გამეორების სხვადასხვა ფორმის კერძოდ, პოლისინდეტონისა და ანაფორის მიზანმიმართულად გამოყენება, რაც მოცემულ მონაკვეთში (IV) -“of” კავშირის ზედიზედ 8 ჯერ, “the“-განსაზღვრული არტიკლის ზედიზედ 5-ჯერ გამეორებით არის გამოხატული, პილს ეხმარება ნაკლები ძალისხმევით მოახერხოს თავისი სამიზნე აუდიტორიის ყურადღების მობილიზება და იმის დემონსტრირება რომ ფერმერი ვერც ერთ სამრეწველო პროდუქტს, მასზე ბაჟის გადახდის გარეშე ვერ მოიხმარს, რაც ნათლად ადასტურებს, რომ ინგლისელი მიწათმფლობელები, მეწარმეებთან შედარებით, არანაირი განსაკუთრებული პრივილეგიებით არ სარგებლობენ:

(IV) *“That the restrictions on the import of foreign corn are part of a whole system of restrictions devised and continued for the purpose of encouraging both domestic produce and domestic manufacture; that the grower of corn is no more a monopolist, no more a gainer by protection, that is the watchmaker,*

*the banker, the shoemaker, the glover, the manufacturer of paper, of silk, of brass-work, of woolen, of cotton, of porcelaine, of carriages,- of everything.“*  
(Hansard, 1834:448)

პილს სურს საზოგადოებას კიდევ ერთხელ ნათლად დაანახვოს ის რეალობა, სადაც როგორც მიწათმფლობელი, ასევე მეწარმე ვერც ერთ უცხოურ ნაწარმს ვერ მოიხმარს მასზე ბაჟის გადახდის გარეშე და რომ დაწესებული ბაჟი თუ შეზღუდვები, როგორც მრეწველების, ასევე მიწათმფლობელების შემთხვევაში, ადგილობრივი პროდუქციის უცხოური კონკურენციისგან დაცვის მიზანს ემსახურება და ამიტომ უსამართლობაა მიწათმფლობელების მონოპოლისტებად შერაცხვა:

(V) *“The manufacturer claims a right to eat **foreign** corn without paying a duty- **can** the farmer wear a **foreign** dress without paying one? **Can he** look out of his window – **can he** build **his** house – **can he** dress **himself** – **can he** eat **his** meals – **can he** enjoy any amusement in doors or out – without encountering a tax, levied, in addition to the original cost, on every article of **foreign** manufacture? Let us begin with the first act of the day. He dresses himself. If **he** wishes to wear foreign boots , **he must pay** at the rate of 2l. 14s. per dozen pair; for **his foreign** hat, **he must pay** 10s. 6d. ; for **his** shirt, forty percent ; if **he** indulges in **foreign** woolens, **he must pay** twenty percent; but if **he** should fancy a **foreign** silk hat, how much do you think he will **have to pay** ? No less than a duty of 1l. 5s. for the single hat; and if **his** wife should covet a silk gown of **foreign** manufacture, **she must pay** a duty of 2l. 10s. So much for the farmer’s dress. Now take **his** meals. Upon **foreign** porcelain, **he must pay** twenty per cent. If **he** uses an article of **foreign** silver plate, **he must pay** 6s. 4d. per oz.; if of gold flate 3l. 16s. 2d. per oz. **His** very walking stick is taxed. “ (Hansard, 1834:446)*

როგორც V ეპიზოდში ირკვევა, იმის სადემონსტრაციოდ რომ ფერმერი ვერც ერთ უცხოურ ნაწარმს მასზე შესაბამისი ბაჟის გადახდის გარეშე ვერ მოიხმარს, პილი არაერთგზის მიმართავს პარალელურ კონსტრუქციებსა და გამეორების სხვადასხვა ფორმას: ანაფორას, ეპიფორას, სიმფლოსს.

იგი ზედიზედ 9-ჯერ იმეორებს სიტყვას "foreign", 14 ჯერ მესამე პირის ნაცვალსახელს "he" და 7-ჯერ - მესამე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს - "his"; რამეთუ კონკრეტული სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების მიზანმიმართული და თანმიმდევრული გამეორება აუდიტორიაზე ერთგვარი ემოციური ზეგავლენის მოხდენის ეფექტური საშუალებაა, ამასთან პოლიტიკური სიტყვის ეს ნაწილები სამიზნე აუდიტორიისთვის გაცილებით ადვილად დასამახსოვრებელია, ერთგვარად კრავს სიტყვას და რიტმულობასა და ჟღერადობას სძენს მას.

აღსანიშნავია, რომ ამავე ეპიზოდში (V) რიტორიკულ შეკითხვების უხვად გამოყენება, ერთი მხრივ, ადასტურებს და აძლიერებს პილის ნათქვამს, ხოლო მეორე მხრივ, ერთგვარ ეჭვსა და ირონიას აღძრავს აუდიტორიაში. აშკარაა რომ რიტორიკული შეკითხვებით რობერტ პილი ნათლად გამოხატავს საკუთარ ემოციურ დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხის მიმართ.

შემდეგ ეპიზოდში (VI) პილი უარყოფს მისი ოპონენტის ჯოზეფ ჰოუმის შენიშვნას უცხოური ხელჯობების ბაჟისგან გათავისუფლების შესახებ და მეტი დამაჯერებლობისთვის ავტორიტეტად რეალიას, კერძოდ ანგარიშის კრებულს მოიხმობს :

(VI) *"I beg your pardon; they are no such thing; so far from it, there is more ingenuity shown in imposing discriminating duties upon foreign walking sticks, than on all the other articles put together. I am speaking with the book before me. If I walk with a bamboo-cane, I pay at the rate of 5s. the 1,000; if with a ratten, not ground, 5s. the 1,000; if with a whangee, or a jamboo, or a dragon's blood, still 5s. the 1,000; but if I aspire higher, - if I take pleasure in a*

*walking-cane or stick that is either mounted or painted , or otherwise ornamented –that is, if there is the slightest competition with domestic labour- then I must pay twenty per cent duty on the value of my ornamented stick .*

*Mr. Hume: these duties are absurdities.” (Hansard, 1834:447)*

როგორც VI ეპიზოდთან ჩანს რობერტ პილი ზედიზედ 7-ჯერ იყენებს პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელს “I“, იმის სადემონსტრაციოდ, რომ აღნიშნული რეგულაციები ეხება არა მხოლოდ უბრალო მეწარმესა თუ მიწათმფლობელს, არამედ მას, როგორც ძალაუფლების მქონე გავლენიან პოლიტიკოსს, რაც აუდიტორიაზე დიდი ემოციური ზემოქმედების მოხდენის კარგი მაგალითია; აღნიშნულით, პილი ხაზს უსვამს თანასწორობის იდეას; ის ასევე მიანიშნებს, რომ ის პირადად თანაზიარია იმ ტვირთისა, რომელსაც მიწათმფლობელი თუ მეწარმე ეზიდება, ამგვარად, სოციალური დისტანცია მასსა და აუდიტორიას შორის მცირდება და ის აუდიტორიის კეთილგანწყობის მოპოვებას ახერხებს. ამავე ეპიზოდში მრავლად გვხვდება ანაფორული გამეორების მაგალითები:

*“if with a ratten, not ground, 5s. the 1,000; if with a whangee, or a jamboo, or a dragon’s blood, still 5s. the 1,000; but if I aspire higher , - if I take pleasure in a walking-cane or stick that is either mounted or painted.”*

ხოლო (VII) მონაკვეთში პილი კვლავ მიმართავს პარალელურ კონსტრუქციებსა და გამეორებას, ზედიზედ 9-ჯერ იმეორებს სიტყვას “foreign”, რითაც ხაზს უსვამს რომ უცხოურ ხორბალზე დაწესებული შეზღუდვები მთელი სისტემის ნაწილია და ადგილობრივი წარმოების წახალისებას ემსახურება, შესაბამისად ხორბლის მწარმოებელი იმავე ბედს იზიარებს რასაც: მესაათე, ბანკირი, მეწაღე თუ ნებისმიერი სხვა.

მოცემულ მონაკვეთში (VII) პილი მიმართავს ირონიასაც; ის მეტაფორულად მიანიშნებს, რომ გადასახადები, ბეგარა მიწათმფლობელს საფლავშიც კი სტუმრობს. ვერბალური ირონიის გამოყენება სამიზნე აუდიტორიაზე ემოციური ეფექტის მოხდენის საშუალებაა და თანადროულად ინფორმაციულ ხასიათსაც ატარებს:

(VII) *“If he rings a **foreign** bell, the charge is thirty per cent ; if he wears a **foreign** watch , twenty-five; if he uses a **foreign** carriage , thirty; if he shoots with a **foreign** gun, he must pay twenty per cent ; and **foreign** gunpowder he cannot buy. If he pays on a **foreign** fiddle or a **foreign** flute, or any **foreign** instrument , the duty will be twenty per cent ; but if he plays with **foreign** cards, he incurs the moderate charge of about 7s. per pack duty, for what, probably costs 1s. Nay, **taxation** does not end with his life –it visits him even in the grave; for it he should desire to lie under **foreign** marble , he must pay 2s. 6d. per square foot for his tombstone.” (Hansard, 1834:448)*

უნდა აღინიშნოს, რომ მორფოლოგიური და სინტაქსური პარალელური კონსტრუქციების მიზანმიმართული და თანმიმდევრული გამეორების ხარჯზე, მსმენელისთვის ადვილად გასაგები ხდება თუ რა არის ორატორის რეალური მესიჯი, თუ რის გადაცემასაც ცდილობს ის სამიზნე აუდიტორიისთვის.

მერვე ეპიზოდში რობერტ პილი ხორბლის საშუალო ფასის განსაზღვრისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბრობს, და საბოლოოდ 56 შილინგზე ჩერდება, თუმცა მიაჩნია, რომ ამ ფასითაც კი, იმ ვალდებულებების სიმძიმის გათვალისწინებით, რაც მიწათმოქმედებს აკისრიათ, ისინი დიდ სარგებელს ვერ ნახავენ.

თავისი მოსაზრების უტყუარობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად, პილი სტილისტიკური ხერხის, გავრცობისა (*Amplification*) და გამეორების ერთ-ერთ ფორმის, ანაფორას, კომბინირებულ გამოყენებას მიმართავს, ის მოცემული ეპიზოდების (VIII, IX) ყოველი მომდევნო წინადადების თავში

იმეორებს ფრაზას : *"considering the"*, რაც, ერთი მხრივ, დამატებითი ინფორმაციის შემოტანის მიზანს ემსახურება და ერთგვარად აძლიერებს და მეტ დამაჯერებლობას სძენს მის ნათქვამს, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულ ორნამენტულ დატვირთვასაც ატარებს და მეტი მელოდიურობა და რითმა შემოაქვს პილის არგუმენტაციულ დისკურსში :

(VIII) *" So far as I can form an opinion of what may be considered a fair remunerating price , I , for one, should not wish to see prices reach more than some such amount as 56s. I cannot say . on the other hand, that I should see any great advantage –considering the position of the agriculturists, considering the existing relations between landlord and tenant, considering the burdens on land, considering the habits of the country, - I cannot say I should see any great advantage in diminishing the price of wheat below that average."*  
(Hooper, 1843:294)

(IX) *"and, considering the lapse of time—considering the frequent discussions—considering the anxiety of the people of this country that these debates should be brought to a close"* ( Hansard, 1846:689)

რობერტ პილი ფიქსირებული ბაჟის შემოღების წინააღმდეგია და ცვალებადი ბაჟის უპირატესობაში აუდიტორიის დარწმუნებას ცდილობს (X), რისთვისაც ის, ერთი მხრივ, თავისი თანამდებობრივი ძალაუფლების ხაზგასმითა და ეროვნულ ინტერესებისა თუ ფასეულობებზე მანიპულირებით ცდილობს საზოგადოების პრეფერენციებზე ზეგავლენის მოხდენას. ხოლო პარალელური სინტაქსური კონსტრუქციისა და გამეორების ერთ-ერთი ფორმის *"Repetia"*-ას გამოყენება ერთგვარად კრავს პილის სიტყვას და მეტი მელოდიურობა შემოაქვს მასში:

(X) *“You promise the substitution of fixed duty for the present fluctuating one. My firm belief is that a fixed duty will give no effectual protection to the agriculture of Ireland, or many parts of this country. I do not believe that you can paralyze the agricultural prosperity by a fixed duty, but my firm belief is, that the course which you have taken, the appeals which you have made, the mode in which you have conducted this question, and the excitements to agitation which have been incurred through that mode of its introduction, will make it, when the time of difficulty shall come, impossible for you to resist the application of the same appeal, and to maintain that duty which you now state to be fixed and immutable.” (Haly, 1850:160)*

XI ეპიზოდთან ირკვევა, რომ პილი საუბრობს იმ სიკეთეებზე, რაც პურის კანონის გაუქმებისა და თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერამ ხალხსა და ქვეყანას მოუტანა, ამისთვის ის კვლავ მიმართავს პარალელურ კონსტრუქციებს და გამეორების სხვადასხვა ხერხს, როგორც ფრაზის, ასევე წინადადების დონეზე, კერძოდ პილი იყენებს ანაფორასა და სიმფლოსს (Symploce), რაც გამოიხატება შემდეგი ფრაზებისა თუ წინადადებების: *“I look to the”; “where there was- I now see“* მიზანმიმართული გამეორებით ყოველი მომდევნო წინადადების დასაწყისსა თუ დასასრულში:

(XI) *“I look to the present peace of this country; I look to the absence of all disturbance—to the non-existence of any commitment for a seditious offense; I look to the calm that prevails in the public mind; I look to the absence of all disaffection; I look to the increased and growing public confidence on account of the course you have taken in relieving trade from restrictions, and industry from unjust burdens; and where there was dissatisfaction I now see contentment; where there was turbulence I see there is peace; where there was disloyalty I see there is*



*loyalty; I see a disposition to confide in you, and not to agitate questions that are at the foundations of your institutions.” (Bryan, 1906:19)*

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეპიზოდი (XII) სადაც პილი აღნიშნავს, რომ ის მძიმე განსაცდელი და კრიზისული პერიოდი, რომელიც ხალხმა გამოიარა არ იყო ნაწინასწარმეტველები არც ერთი პოლიტიკოსის თუ სახელმწიფო მოხელის მიერ. იგი წარუმატებლობას, კრიზისს მხოლოდ ღვთის განგებას, უფლის ნებას მიაწერს, და ამავდროულად პირფერობით ცდილობს საზოგადოების ნდობის მოპოვებას და ამბობს, რომ მათი ხსნა, შველა მხოლოდ მათივე ძალისხმევით მოხდა.

აღნიშნული მონაკვეთიდან კარგად იკვეთება, თუ როგორ წარმატებით გამოიყენა პილმა მცირე რელიგიური ექსკურსი თავისი მიზნის მისაღწევად, რადგან მის ამ სიტყვებს აუდიტორია მხურვალე ოვაციებით შეხვდა:

*(XII) “But, Sir, it was no act of a sagacious minister. Great and coming crisis was not foreseen by any statesman. It was not a lucky accident. My belief is, that it pleased Almighty God to listen to your prayers to turn scarcity and dearth into cheapness and plenty,(Cheers) and so to direct and prosper your consultations on the brink of a great precipice, and on the coming of a tremendous calamity , that you established peace and happiness on the foundations of truth and justice. You have reaped the reward of that policy. You have passed unscathed through the sternest trials to which the institutions of any nation were ever subjected. You stood erect amid the convulsions of Europe and now you are to have a proposal made to you of some paltry fixed duty.” (Taylor, 1849:39)*

ზემოაღნიშნული ეპიზოდები კიდევ ერთხელ დასტურია იმისა, რომ პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები პილის მთავარ არგუმენტაციულ ტექნიკას წარმოადგენს. პილი ამჯერადაც მიმართავს სტილისტიკურ ხერხს ანაფორას, რომელიც კვლავ მელოდიკურობასა და რიტმს მატებს მის სიტყვებს :

*“you established peace and happiness on the foundations of truth and justice. You have reaped the reward of that policy. You have passed unscathed through the sternest trials to which the institutions of any nation were ever subjected. You stood erect amid the convulsions of Europe and now you are to have a proposal made to you of some paltry fixed duty.”*

მეორე პირის ნაცვალსახელის “you“ ზედიზედ ხუთჯერ გამეორებით, ის ცდილობს ხაზი გაუსვას საზოგადოების უდიდეს როლს კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლაში, მათ დამსახურებას, მათ ძალისხმევას, და ამით ცდილობს მათი სიმპათიის მოპოვებას და ამას ახერხებს კიდევ.

### **3.4. რობერტ პილის მიერ რიტორიკული შეკითხვის გამოყენების თავისებურებანი**

შეიძლება ითქვას, რომ რიტორიკული შეკითხვა ჩვენი ყოველდღიური მეტყველების განუყოფელი ნაწილია; მას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის პოლიტიკაშიც, აქტიურად მიმართავენ. ჩვეულებრივ კითხვებს მათზე პასუხების მიღების მიზნით ვსვამთ, თუმცა რიტორიკული შეკითხვების დასმის მიზანი, მათზე რეალურად პასუხის მიღება როდია.

რიტორიკულ შეკითხვებს ერთგვარი მრავალფეროვნება შემოაქვთ პოლიტიკურ დისკურსში, რამეთუ ისინი ახდენენ სამიზნე აუდიტორიის ყურადღების მოზილიზებას და მათ ორატორისთვის სასურველი დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებენ.

სწორედ ამიტომ პოლიტიკურ დისკურსში პოლიტიკოსები რიტორიკულ შეკითხვებს, ხშირად მიზანმიმართულად, არა კითხვებზე რეალურად პასუხების მისაღებად, არამედ გარკვეული საკითხების აქცენტირებისთვის მიმართავენ:

გარდა ამისა პოლიტიკოსები, თავის მხრივ, ცდილობენ მათთვის სასურველი პასუხები მიიღონ მათსავე დასმულ შეკითხვებზე, რაც შეიძლება საერთოდ აუდიტორიის პირად ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს, თუმცა აუდიტორიას რჩება განცდა, რომ ისინი დამოუკიდებლად, ყოველგვარი ზემოქმედებისა თუ ძალდატანების გარეშე მივიდნენ ორატორისთვის სასურველ დასკვნებამდე.

ნიშანდობლივია, რომ კითხვითი ფორმით მიწოდებული ინფორმაციას გაცილებით ძლიერი ემოციური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია აუდიტორიაზე, ვიდრე ეს მტკიცებითი ფორმით არის შესაძლებელი. სწორედ ამიტომ რობერტ პილის პოლიტიკურ დისკურსში მრავლად გვხვდება კითხვითი ფორმის წინადადებები, ნაცვლად მტკიცებითი ფორმისა, ის საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს და ამყარებს კითხვითი ფორმის წინადადებებითა და რიტორიკული კითხვის სხვადასხვა ფორმებით, რაც პილის მხრიდან :

ა) დადებით თვითპრეზენტაციას;

ბ) კონკრეტული მოსაზრების აქცენტირებას;

გ) ოპონენტების არგუმენტების შესუსტებასა თუ განეიტრალებას;

დ) ფარული პოლიტიკური მოტივების შენიღბვასა და სამიზნე აუდიტორიაში ნდობის მოპოვებას ისახავს მიზნად;

პირველ ეპიზოდში რობერტ პილი იმპორტირებულ ხორბალზე შეზღუდვების მოხსნისა და ფიქსირებული ბაჟის შემოღების წინააღმდეგ გამოდის და აუდიტორიას მატყლის მაგალითზე დაყრდნობით აჯერებს, რომ უცხოური კონკურენციისა და ფიქსირებული ბაჟის პირობებში, ფასები კი არ დასტაბილურდება, არამედ პირიქით, მეტად მერყევი და უკონტროლო გახდება:

(I) “ *From the 10<sup>th</sup> December, 1824 foreign wool has been importable without restriction, at a fixed duty of one penny per pound. **Has the removal of protection increase the steadiness of the price? Just the reverse – I quote the***

*following list of prices form a letter from Mr. Ellman , one of the highest authorities on the subject of wool. The price of wool, which was steady under the restrictive system, has been subject to very great fluctuation since its abandonment. If the argument from wool be at all applicable to corn –if the same result may be expected in the case of corn that has actually followed in the case of wool –what will be the consequence from a low fixed duty of foreign corn? Corn will be dearer in the home market, and the prices more unsteady. Is this the promised benefit to manufacturers on the one hand, and agriculturists on the other? A fixed duty on foreign corn will give you dearer bread and more unsteady prices.” ( Hansard, 1839: 771)*

აუდიტორიის დასარწმუნებლად პილი მოცემულ მონაკვეთში (I) არაერთგზის მიმართავს რიტორიკული შეკითხვის ერთ-ერთ ფორმას ანტიფოფორას (Anthyphora), რაც შეკითხვების დასმასა და მათზე თავადვე დაუყონებლივ პასუხის გაცემას გულისხმობს, შესაბამისად, აშკარაა რომ პილის მიერ პირველ მონაკვეთში შეკითხვების დასმის მიზანს რეალურად მათზე პასუხების მიღება არ წარმოადგენს, არამედ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, კონკრეტული საკითხების აქცენტირება და აუდიტორიის საკუთარი არგუმენტების ჭეშმარიტებაში დარწმუნება, რასაც ნათლად მოწმობს პილის მიერ მეტი სარწმუნოებისთვის, პარალელური სინტაქსური კონსტრუქციისა და ცნობილი ავტორიტეტის ციტირების სტრატეგიების მოხმობაც.

შემდგომ სამ ეპიზოდში (II; III; IV) რობერტ პილის მიერ რიტორიკული შეკითხვების არაერთგზის გამოყენება, ინგლისელი მრეწველებისა და მიწათმფლობელების თანასწორობის ხაზგასმას ისახავს მიზნად.

როგორც პილი აღნიშნავს, ინგლისელი მეწარმე ისეთივე 'მონოპოლისტია' როგორც ინგლისელი მიწათმფლობელი, რამეთუ ორივე მათგანი ამ ქვეყანაში თანაბარი პრივილეგიებით სარგებლობს :

(II) *“Do those who represent the landholder as a monopolist mean to contend that there is no other monopoly but that of supply of corn?-that the landholder claims an exclusive protection? – that the landholder is subject to no tax imposed for the purpose of securing monopoly or giving protection to the manufacturer? There is no difference in the characters of the two monopolies. I will ask the honorable member for Bolton , whose works I have read with great pleasure , whether there is any argument which can be urged against the protection of the landholder which is not equally applicable to the protection afforded to the manufacturer? I don't think the manufacturers clearly understand that the abolition of the restrictions on foreign corn must be instantly followed by the removal of every impediment to the import of foreign manufactures . And are there no such impediments ? I have before me pages of duties of foreign manufactures , beginning with letter A, and ending with letter Z.“ ( Barrow, 1834:852)*

მეორე ეპიზოდთან ჩანს, რომ რობერტ პილი კვლავ რამდენჯერმე იყენებს რიტორიკულ შეკითხვას , თუმცა ამჯერად პილი კითხვის ერთ-ერთ ფორმას ზოგად კითხვას (general/yes or no question) მიმართავს.

როგორც მოცემული ეპიზოდთან (II) ირკვევა, აღნიშნულ შეკითხვებს შესაძლოა უშუალოდ დადებითი ან უარყოფითი პასუხი არ გაეცეს, თუმცა თითოეული ამ ტიპის კითხვის ფორმულირებისას აშკარაა თუ რა მოლოდინები აქვს პილს მისი სამიზნე აუდიტორიისგან, რამეთუ რიტორიკული შეკითხვების დასმით ის

ერთგვარად ახდენს ზეგავლენას მის აუდიტორიაზე და ირიბად მიანიშნებს მათ დასმულ შეკითხვებზე მისთვის სასურველი პასუხები გასცენ :

(III) *“I should like to know what single article of manufacture this landholder –this great monopolist –can consume, without paying a tax? What step can he take? Which way can he look? What is the single action of his life that is not taxed for the protection of the manufacturer?” ( Barrow, 1834:852)*

შემდგომ ეპიზოდში (III) პილი რიტორიკული შეკითხვის ერთ-ერთ ფორმას ეპიპლექსისს (Epiptexis) მიმართავს, შესაბამისად აშკარაა რომ იგი კითხვებს იმ ოპონენტების გასაკიცხად თუ გასაკრიტიკებლად სვამს, რომლებიც მიწათმფლობელებს ‘მონოპოლისტებად’ სრულიად უსამართლოდ მოიხსენიებენ.

პილი მთელ მესამე ეპიზოდს რიტორიკული შეკითხვებით, კერძოდ, კითხვითი წინადადების ერთ-ერთი სახეობით - სპეციალური შეკითხვით (Wh questions) აგებს, რაც ცალსახად მისი სამიზნე აუდიტორიის შეხედულებებზე, აზრებზე, ემოციებზე გავლენის მოხდენისა და მათი მხარდაჭერისა თუ თანადგომის მოპოვებას ისახავს მიზნად :

(IV) *“Can it be said , after such a statement , that the local burdens are fairly appropriated between the landed and manufacturing interests ?- and have not the proprietors of land a right to claim , on this head alone, that degree of protection for their property which is equivalent to the excess of contribution to which the land is subject? If there be a free trade in corn , is it not evident that the landholder will be no longer able to bear those burdens that press peculiarly on the land?” ( Haly, 1850:170)*

მეოთხე ეპიზოდში მრავლადაა რიტორიკული შეკითხვის მაგალითები რაც მეტ დამაჯერებლობასა და სარწმუნოობას სძენს პილის სიტყვებს, და განამტკიცებს და უტყუარს ხდის მის მსჯელობას; აღნიშნულის მეშვეობით პილი გამოხატავს პირად ემოციურ დამოკიდებულებას განსახილველი საკითხის მიმართ: იმ მძიმე ტვირთის გათვალისწინებით, რაც ინგლისელ მიწათმფლობელებს გადასახადების სახით აკისრიათ, ისინი სრულიად სამართლიანად იმსახურებენ უცხოური კონკურენციისგან დაცვის პრივილეგიით სარგებლობას.

ამისთვის პილი რიტორიკული შეკითხვის ერთ-ერთ ფორმას ეროტესს (Erotesis) მიმართავს, საიდანაც ნათლად იკვეთება ის მოლოდინები რაც პილს მისი აუდიტორიისგან აქვს, აშკარაა რომ ის ერთგვარად შეფარვით უბიძგებს მსმენელებს მისთვის სასურველი მკაფიოდ დადებითი თუ უარყოფითი პასუხები გასცენ მის დასმულ შეკითხვებზე. ეროტესის გამოყენებით პილი ოსტატურად ახერხებს თავისი სამიზნე აუდიტორია, მისი არგუმენტაციული დისკურსის ერთგვარი თანამონაწილე გახადოს, შესაბამისად პილის აუდიტორია, სრულიად გაუცნობიერებლად, სურთ მათ ეს თუ არა, მიდის პილისთვის სასურველ დასკვნებამდე და მისი თანამოაზრე ხდება.

5-ე ეპიზოდში პილი პურის კანონის შენარჩუნების აუცილებლობაზე საუბრობს და კვლავ მიმართავს რიტორიკული შეკითხვის ერთ-ერთი ფორმას ანტიფოფორას (Anthypophora).

პილი სვამს რიტორიკულ შეკითხვებს და ერთგვარი დიალოგის ფორმით წარმართავს დისკუსიას თავის აუდიტორიასთან, რითაც მათში ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის აღძვრას ახერხებს და თავისი არგუმენტაციული დისკურსის თანამონაწილედ ხდის.

გარდა ამისა, პილი აუდიტორიის ყურადღების მობილიზებისა და დადებითი თვითპრეზენტაციისთვის მიმართავს პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებსა და პირველი პირის ნაცვალსახელს “I”, რითაც ცდილობს რომ საზოგადოების

თვალში გამოჩნდეს როგორც თავდაჯერებული და ძალაუფლების მქონე ლიდერი, რომლის სიტყვაც ნდობასა და პატივისცემას იმსახურებს:

(V) *“I am asked , Sir, to enter into an enquiry at the bar as to the operation of Corn-Laws. Why do I resist it ? Upon the narrow ground of there being no direct precedent? Upon the ground merely that the inquiry would consume the time of the House? No , I do not resist if upon any of these grounds. I resist it from the strong convictions I my own mind that the present system of Corn – Laws ought to be maintained –and because you have hitherto brought forward no plausible arguments to change my views .“ (Haly, 1850:161)*

ქვემოთ მოცემულ სამ ეპიზოდში ( VI, VII, VIII), რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რობერტ პილი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის მანძილზე აქტიურად უჭერდა მხარს პურის კანონს და მისი მანკიერი მხარეების შენიღბვასა თუ გამართლებას ცდილობდა, ამჯერად თავად საუბრობს მისი გაუქმების აუცილებლობაზე და მეტიც პურის კანონის გაუქმების ინიციატივითაც კი გამოდის, რამეთუ ეს უკანასკნელი არც ერთი კლასისთვის, როგორც მრეწველებისთვის, ასევე მიწათმფლობელებისა და ფერმერებისთვის არ აღმოჩნდა ხელსაყრელი:

(VI) *“I ask what has protection done for them ? Is it the fact that there are at this moment 588,000 persons employed in the promotion of agriculture in Ireland, with their families dependent upon them; and that they are farmers without capital and without skill ? If it can be asserted generally of the farmers of Ireland , as a class , that they are men without capital and skill, can we contend that the protection has been for their interest ? To make the assertion that they have realized no capital , is a very strong proof that protection has not been for their benefit.“ (Hansard, 1846:243)*



(VII) „Then, with respect to the agricultural labourer. Can we say that protection has operated for his advantage? Ireland is peculiarly agricultural; can it be said that the agricultural labourer has flourished in Ireland? Is it not the case, that in the part of the country where the agricultural labourer most abounds, he has been suffering scarcity and pressure of hunger? What is the answer made to our statement of the sufferings of the people of Ireland? ‘This is nothing extraordinary- this is nothing unusual- this is nothing out of the common course of nature; every year this is the same; there are districts **where**, every year, the potato crops fail, **where** it is impossible to make the two ends meet; the potatoes fail in June or early in July, and from that time till the new crop is dug up, the labourer is obliged to subsist upon charity, or whatever means will suffice for the purpose of maintaining life’. If that be, as you say, the normal state of the Irish agricultural labourer - if that be his ordinary condition, and therefore we are not justified in an extraordinary remedy, can we contend that protection to agriculture has been greatly for the benefit of the agricultural classes in Ireland?”(Hansard, 1846:243)

(VIII) “Is it possible permanently to maintain the a law which can not be shown to be advantageous to the men of science , capital and skill ?”(Hansard, 1846:243)

როგორც ზემოთ მოყვანილი ეპიზოდებიდან ირკვევა ( VI, VII, VIII) რობერტ პილი საკუთარი არგუმენტაციული დისკურსის უტყუარობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად არაერთ დარწმუნების ხერხს მიმართავს.

პილი ეროვნული ინტერესების აქცენტირებითა და მანიპულაციური ხერხებით ცდილობს აუდიტორიის ემოციებზე, გრძნობებსა და პრეფერენციებზე ზეგავლენის მოხდენას. მისი არგუმენტაციული დისკურსი, რომელიც როგორც მოცემული

ეპიზოდებიდან ირკვევა პრაქტიკულად მთლიანად რიტორიკული შეკითხვების სხვადასხვა ფორმით არის აგებული, მას საშუალებას აძლევს დაიცვას საკუთარი პოზიცია და მეტი სიმტკიცე და დამაჯერებლობა შესძინოს თავის სიტყვებს.

პილი ერთგვარი დიალოგის ფორმით ახერხებს კომუნიკაციის დამყარებას თავის აუდიტორიასთან, სადაც ის სვამს მთელ რიგ კითხვებს და შემდგომ ან თავად პასუხობს მათ, ან იმპლიციტურად, ირიბად მიანიშნებს თავის აუდიტორიას კონკრეტულ პასუხებზე, ამისთვის ის მიმართავს რიტორიკულ სტრატეგიას, რიტორიკული შეკითხვის ერთ-ერთ ფორმას ანტიფოფორას და კითხვითი წინადადების ტიპებს -ზოგადს და სპეციალურს, რაც სამიზნე აუდიტორიაში: სასურველი რეაქციის, კერძოდ კი მათი ყურადღებისა და ინტერესის აღძვრას, პილის არგუმენტაციული დისკურსის უტყუარობაში დარწმუნებასა და აუდიტორიაზე ეფექტური ემოციური ზემოქმედების მოხდენას ისახავს მიზნად.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რობერტ პილი რიტორიკულ შეკითხვას, როგორც ერთ-ერთ რიტორიკულ სტრატეგიას, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის დიდი ინტენსივობით მიმართავს.

### 3.5. III თავის დასკვნა

1. ბრიტანეთის პრემიერს რობერტ პილს ორატორული ნიჭის წყალობით შესწევს უნარი ეფექტური გამოსვლებით დაატყვევოს სამიზნე აუდიტორია და ზეგავლენა მოახდინოს მათ პოლიტიკურ მრწამსზე, პოლიტიკურ შეხედულებებსა თუ პრეფერენციებზე. ამკარაა, რომ რობერტ პილის სტრატეგიული სვლები პირდაპირ დაკავშირებულია მის პოლიტიკურ მიზნებთან.

2. სხვადასხვა ლინგვოსტილისტიკური საშუალებებით (როგორცაა მეტაფორა, გამეორება, პარალელური კონსტრუქციები, რიტორიკული შეკითხვა, ინკლუზიური და ექსკლუზიური პირის ნაცვალსახელები თუ სხვადასხვა გრამატიკული სტრუქტურა) ოსტატური მანიპულირება რობერტ პილს ეხმარება საკუთარი ფარული პოლიტიკური მოტივებისა თუ მიზნების რეალიზებაში.
3. პილის კანონთან დაკავშირებული პილის გამოსვლების (1827-1843) კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის თვალსაზრისით ანალიზი, ცხადყოფს, რომ ყველაზე ხშირად ბრიტანეთის პრემიერი ონტოლოგიურ მეტაფორებს და მათ ერთ-ერთ ფორმას პერსონიფიკაციას მიმართავს. გაანალიზებულ მასალაში ხშირია: *ჯანმრთელობის, სპორტის, აზარტული თამაშების, წყლის, ბუნების, ტვირთის, სინათლის თემატური მეტაფორები*, რაც უპირველესად რობერტ პილის მიერ:
- ა) *აუდიტორიასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების;*
  - ბ) *მათი კეთილგანწყობის მოპოვების;*
  - გ) *მათში სასურველი ემოციების აღძვრის;*
  - დ) *გარკვეული საკითხების აქცენტირების;*
  - ე) *რთულად აღსაქმელი საკითხების მარტივად აღქმა-გაგების;*
  - ვ) *სამიზნე აუდიტორიის დარწმუნების მიზანს ემსახურება;*
  - ზ) *რომ არაფერი ვთქვათ მეტაფორების ორნამენტულ, დეკორატიულ დანიშნულებაზე, რაც უდავოდ რობერტ პილის სიტყვებს მეტ ესთეტიურობას სძენს.*
4. პილის ორატორული დისკურსი გამოირჩევა *პარალელური კონსტრუქციებისა და გამეორების* სხვადასხვა ფორმის სიმრავლით. პარალელური კონსტრუქციებისა და გამეორებისთვის დამახასიათებელი სიმეტრია და რიტმულობა პოლიტიკური

დისკურსის ადვილად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა, ამიტომ პილის სიტყვები ბევრად მარტივად გასაგები და ადვილად აღსაქმელი ხდება სამიზნე აუდიტორიისთვის.

5. *გამეორება* (სიტყვის, ფრაზის, ასევე წინადადების) , რომელიც მიიღწევა მორფოლოგიური და სინტაქსური პარალელური კონსტრუქციების ხარჯზე, პრემიერს ეხმარება მონუსხოს სამიზნე აუდიტორია და თავისი სიტყვების უტყუარობაში დაარწმუნოს.
6. პილის ორატორულ დისკურსში *გამეორების* სხვადასხვა ფორმას შორის ყველაზე ხშირია *ანაფორული გამეორების* მაგალითები, გარდა ამისა ის ასევე ჭარბად მიმართავს გამეორების სხვა ფორმებსაც როგორცაა: *პოლისინდეტონი (Polysyndeton); სიმფლოსი (Symploce), ეპიფორა (Epiphora); (Repotia)* და სხვა, რაც, ერთი მხრივ, დისკურსში დამატებითი ინფორმაციის შემოტანის მიზანს ემსახურება, ერთგვარად კრავს, აძლიერებს და მეტ დამაჯერებლობას სძენს ორატორის სიტყვებს, ხოლო, მეორე მხრივ, შთამბეჭდავია ის მელოდიკურობა და ორნამენტული დატვირთვაც, რაც პარალელური კონსტრუქციებისა და გამეორების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას ახლავს თან.
7. პილის პოლიტიკურ დისკურსში მრავლად გვხვდება კითხვითი ფორმის წინადადებები, ნაცვლად მტკიცებითი ფორმისა, ის საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს და ამყარებს კითხვითი ფორმის წინადადებებითა ანუ *რიტორიკული კითხვის* სხვადასხვა ფორმით, რომელთა შორის ყველაზე ხშირია *ანტიფოფორას (Anthypophora), ზოგადი და სპეციალური კითხვების, ეპიპლექსისისისისა ( Epiplexis); და ეროტესის (Erotesis)* მაგალითები, რაც პილის მხრიდან მეტწილად საზოგადოების ყურადღებისა და ინტერესის მობილიზების, კონკრეტული საკითხების აქცენტირების, აუდიტორიის საკუთარი

არგუმენტების უტყუარობაში დარწმუნებისა და მათზე ეფექტური ემოციური ზემოქმედების მოხდენის მიზანს ემსახურება.

8. პილი რიტორიკული შეკითხვების დასმით ერთგვარად ახდენს ზეგავლენას მის სამიზნე აუდიტორიაზე და იმპლიციტურად, ირიბად მიანიშნებს მათ, რომ დასმულ შეკითხვებზე მისთვის სასურველი პასუხები გასცენ, ამიტომ მისი აუდიტორია, სრულიად გაუცნობიერებლად, მიდის პილისთვის სასურველ დასკვნებამდე და მეტიც მისი თანამოაზრე ხდება.
9. რელიგიური ეკსკურსისა და ვერბალური ირონიის ტექნიკის გამოყენება რობერტ პილს სამიზნე აუდიტორიაზე სასურველი ემოციური ეფექტის მოხდენასა და მათი სიმპათიის მოპოვებაში ეხმარება.

## საერთო დასკვნა

1. ისტორიკოსები რობერტ პილს მიიჩნევენ ყველაზე სახელგანთქმულ პრემიერ-მინისტრად 19-ე საუკუნის ბრიტანეთის ისტორიაში. ბრიტანეთში თანამედროვე პოლიტიკა იწყება პილით, სწორედ მან აღადგინა თანამედროვე კონსერვატიული პარტია ძველი ტორთა პარტიის ნანგრევებიდან, ამიტომ მას შუა-ვიქტორიანული პერიოდის არქიტექტორად მოიხსენიებენ. პილი ადრეული ასაკიდანვე იყო ჩართული დიდი იმპერიის საქმეებში და წლების განმავლობაში მიღებულმა და დაგროვილმა გამოცდილებამ, მკაცრმა დისციპლინირებულობამ, განაპირობა მისი სწორუპოვარ ორატორად, ადმინისტრატორად და მოდებატედ ჩამოყალიბება. მისმა ორატორულმა ნიჭმა ერთგვარად დაუდო საფუძველი, მისი როგორც წარმატებული პოლიტიკოსის კარიერას. სწორედ მის ორატორულ ნიჭს უკავშირდება ადრეულ ასაკში მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება.
2. პურის კანონი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ 1815 წელს იქნა მიღებული. ეს იყო მკაცრი საგადასახადო სისტემა, რომლის უმთავრეს ფუნქციას ფერმერებისა და მიწათმფლობელების უფლებების დაცვა წარმოადგენდა. იმპორტირებული ხორბლის ძლიერ დაბეგვრითა და ხორბლის იმპორტის ალბათობის მინიმუმამდე დაყვანით პურის კანონი იცავდა და უზრუნველყოფდა მაღალ ფასს ადგილობრივად წარმოებულ მარცვლეულზე, თუმცა პურის კანონი მომგებიანი მხოლოდ მდიდარი, ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ინგლისელი მემამულეებისთვის აღმოჩნდა,

რომლებიც თავიანთ მიწებს მაღალ ფასებში აქირავებდნენ და ფერმერებს 30-40 %-ით ბეგრავდნენ. ეს მაშინ როცა ბრიტანეთის ბაზარზე, ადგილობრივად წარმოებული ხორბლის ფასი თითქმის გაორმაგდა და ისედაც გაღატაკებულ ბრიტანელ ხალხს გაორმაგებული ფასების გადახდა უწევდა ადგილობრივად წარმოებულ ხორბალზე.

3. მიუხედავად იმისა რომ რ. პილი თითქმის მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე აქტიურად უჭერდა მხარს პურის კანონის შენარჩუნებას, საბოლოოდ ის ამ კანონის გაუქმების გადაწყვეტილებამდე მივიდა და მეტიც თავად მოუწია მისი გაუქმება, რადგან დარწმუნდა რომ პურის კანონის გაუქმება და თავისუფალი ვაჭრობის შემოღება თანაბრად მოუტანდა სარგებელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებს და მუშათა კლასის დასაქმებას შეუწყობდა ხელს, ამიტომ პილის უდიდეს მიღწევად სწორედ პურის კანონის გაუქმება და თავისუფალი ვაჭრობის აღდგენა ითვლება.
4. რობერტ პილის პოლიტიკური დისკურსის ნიმუშებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სამიზნე აუდიტორიის გადმოსაბირებლად, მათ აზრებზე, შეხედულებებსა და პრეფერენციებზე ზემოქმედების მოსახდენად ის ხშირად მიმართავს სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის ხელოვნებას, რადგანაც ხშირად რაც გაუმართლებელია მორალურად, გამართლებულია პოლიტიკურად.
5. პურის კანონთან დაკავშირებით პილის საპარლამენტო გამოსვლებში გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები ხშირ შემთხვევაში არაობიექტურ, მიკერძოებულ ხასიათს ატარებს; პილის დისკურსში ხშირია ცრუ არგუმენტაციის, როგორც მოტყუების ერთგვარი ტაქტიკის, ნიმუშები რაც: *სტრუქტურის*,

*რელევანტურობის, შესაბამისობის, საკმარისობის, კრიტიკული არგუმენტის მოგერიების კრიტერიუმების (ხან ერთი, ხან კი რამდენიმე კრიტერიუმის თანადროულად) დარღვევით მიიღწევა.*

6. პილი არაერთგზის მიმართავს სტილისტიკურ ხერხებს: *პარალელურ კონსტრუქციებს, ანაფორულ გამეორებას, რიტორიკულ შეკითხვებს, რადგან პარალელური კონსტრუქციებისა და გამეორებისთვის დამახასიათებელი სიმეტრია და რიტმულობა მისი პოლიტიკური დისკურსის ნაწილებს მეტად ემფატურს ხდის და მისი ადვილად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა, ხოლო რიტორიკული შეკითხვები კონკრეტული მოსაზრების აქცენტირებისა თუ ხაზგასმის საშუალებას წარმოადგენს, რითაც პილი ახერხებს აუდიტორიის ყურადღების მობილიზებასა და კონკრეტულ საკითხებში მათი ჩართულობის გაზრდას.*
7. ვნებით გვარს, როგორც *პასუხისმგებელი პირის დეპერსონიზაციის* ერთ-ერთ ხერხს, ბრიტანეთის პრემიერი თავისი წილი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით მიზანმიმართულად მიმართავს, რამეთუ ამგვარად ბუნდოვანია თუ ვინ არის რეალურად მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელი.
8. სამიზნე აუდიტორიის განგებ შეცდომაში შეყვანის მიზნით პილი ოსტატურად იყენებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის რღვევისა თუ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიზანმიმართული უგულებელყოფის ხერხებს.
9. ორატორის მიერ სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებაში ემოციურ ფონს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ამიტომ ბრიტანეთის პრემიერი მისთვის სასურველი ემოციური განწყობის კერძოდ,



ყველაზე ხშირად, სიბრაღისა და თანაგრძნობის გამოწვევის მიზნით, აუდიტორიის გრძნობებზე მანიპულირების ხერხს აქტიურად მიმართავს.

10. პილის პურის კანონთან დაკავშირებით საპარლამენტო გამოსვლებში გაკეთებული განცხადებები დროთა განმავლობაში რადიკალურად იცვლება და აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, ის გარკვეული დროის ინტერვალით ცვლის და კვლავ უბრუნდება მის უწინდელ მოსაზრებებს, რაც მისი სიტყვების უტყუარობაში ეჭვის შეტანის რეალურ საფუძველს იძლევა. პილის მოსაზრებების ხშირ შემთხვევაში არათანმიმდევრული, ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი და ორაზროვანი განცხადებების სიუხვე, ცალსახად აუდიტორიის დაბნევას იწვევს, რამეთუ რეალურად რთულდება იმის გაგება თუ რას ფიქრობს იგი სინამდვილეში.
11. პურის კანონის მანკიერი მხარეების შესანიღბავად, საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად და მათ უტყუარობასა და მართებულობაში სამიზნე აუდიტორიის დასარწმუნებლად, ბრიტანეთის პრემიერი ჭარბად მიმართავს ცნობილი ავტორიტეტების დამოწმებისა თუ მათი მოსაზრებისა და შეფასებების ციტირების მოხმობის სტრატეგიას. პრემიერის მიერ მოხმობილ ავტორიტეტთა შორის ხშირად ვხვდებით: გავლენიან პოლიტიკურ ეკონომისტებს, მრეწველებს, ფილოსოფოსებს, ფილოლოგებს, მინისტრებს, ბიზნესმენებს, პარლამეტის წევრებს და სხვ.
12. რ. პილი ავტორიტეტად მოიხმობს არა მხოლოდ ადამიანთა გარკვეულ ავტორიტეტულ ჯგუფებს, ან კონკრეტულ ავტორიტეტულ პიროვნებებს, არამედ უსულო საგნებსაც კი.

„ავტორიტეტად“ შეიძლება მოხმობილ იქნას ესა თუ ის დოკუმენტი, გაზეთი, ტრაქტატი, ნაშრომი, ხარჯთაღრიცხვა, კალკულაცია, დოქტრინა, პამფლეტი, ბროშურა და სხვ.

13. ამასთან ბრიტანეთის პრემიერი ცნობილი ავტორიტეტის მოხმობის სტრატეგიას ხშირად თავისი წილი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანწილად შესამსუბუქებლად თუ სხვებთან გასაზიარებლად, ან თუნდაც არსებული რთული ვითარების სრულიად სხვისთვის კერძოდ, გავლენიანი ავტორიტეტებისთვის გადაბრალების მიზნით მიმართავს; თუმცა აღსანიშნავია პილის მიერ პოლიტიკური ეკონომისტების კოლექტიურად მოხსენიების ტაქტიკის გამოყენებაც, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის კონკრეტული ინფორმაციის უტყუარობაზე რეალურად პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას.
14. როცა საკითხი საკუთარი სახის, რეპუტაციის შენარჩუნებას, ან ნეგატიურ შედეგებზე პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას ეხება, ბრიტანეთის პრემიერი არ ერიდება ცნობილი ავტორიტეტების უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას, ნეგატიურ შედეგებზე მათი ბრალეულობის გამოკვეთას და ამ გზით მათ დისკრედიტაციას.
15. პილი სამიზნე აუდიტორიაში სასურველი ემოციური ფონის შესაქმნელად, თავის პათოსურ გამოსვლებში არაერთგზის მიმართავს მოვლენების განგებ დამძიმებით საზოგადოების დაშინების, მუქარის ხერხს, რათა ამგვარი ემოციური მანიპულაციებით აუდიტორიას პურის კანონის გაუქმებისა თუ თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა გადაათქმევინოს.
16. პირადი ფარული პოლიტიკური მოტოვების შესანიღბავად, კერძოდ, სამიზნე აუდიტორიის თვალში მისგან განსხვავებული

შეხედულებების მქონე გავლენიანი ავტორიტეტების გასანეიტრალებლად თუ აუდიტორიის თვალში მათი კომპეტენტურობის ეჭვქვეშ დასაყენებლად, რობერტ პილი ფუნდამენტურად განსხვავებული შეხედულებების მქონე ავტორიტეტების ურთიერთდაპირისპირების ხერხს მიმართავს, სადაც ორი შეპირისპირებული მხარიდან ის ერთ-ერთს ცალსახად ემხრობა, რაც საკუთრივ ამ უკანასკნელისადმი ნდობის ღიად გამოცხადებითა და პირადი სიმპათიების გამოხატვით ვლინდება.

17. ერთი და იგივე გავლენიანი ავტორიტეტების ზოგიერთ შემთხვევაში პოზიტიური, ხოლო ზოგ შემთხვევაში ნეგატიური რეპრეზენტაცია რობერტ პილისთვის ერთგვარი სტრატეგიული მანევრირების ნაწილია, სადაც იგი საკუთრივ პირადი პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად მზად არის გავლენიანი ავტორიტეტების რეპუტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.
18. რობერტ პილი საკუთარი მოსაზრების უტყუარობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად, არაერთგზის მიმართავს მანიპულაციური დისკურსის სტრატეგიის, სადაც კონკრეტული ავტორიტეტების მოხმობისას ის მხოლოდ მათი სახელების ხსენებით როდი შემოიფარგლება და განსაკუთრებით აქცენტს მათ თანამდებობრივ უფლებამოსილებასა და ძალაუფლებაზე აკეთებს.
19. ოპონენტის გასანეიტრალებლად არასათანადო კონტრარგუმენტების არსებობის შემთხვევაში, ბრიტანეთის პრემიერი ფაქტის უბრალო უარყოფისა და სამიზნე აუდიტორიის ყურადღების სხვა საკითხზე გადატანის ხერხებს ეფექტურად მიმართავს.
20. პილის პურის კანონთან დაკავშირებით საპარლამენტო გამოსვლებში პირის ნაცვალსახელებიდან, პირველი პირის ნაცვალსახელი "I" ჭარბობს. პირველი პირის მხოლოდითი ნაცვალსახელის "I", როგორც

მანიპულაციური ტაქტიკის ერთ-ერთი ფორმის, უხვად გამოყენება: საკუთარი თანამდებობრივი უფლებამოსილების ხაზგასმის, პოზიტიური თვითპრეზენტაციის, კონკრეტულ შედეგებზე პასუხისმგებლობის აღების, სხვადასხვა მოვლენებისადმი პირადი განწყობა-დამოკიდებულების გამოკვეთის, თუ პირადი ჩართულობის დემონსტრირების სამუალებას წარმოადგენს და სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებას ისახავს მიზნად.

21. კონკრეტული საკითხებისადმი საკუთარი ემოციური დამოკიდებულების სადემონსტრაციოდ და აუდიტორიის ეფექტურად დასარწმუნებლად პილი თავის ორატორულ დისკურსში პირის ნაცვალსახელებთან ერთად *დამოკიდებულების გამომხატველ მარკერებსა (attitude markers)* და *ინტენსიფიკატორებს (boosters)* აქტიურად მიმართავს.

22. სწორედ იმ ბუნდოვანებისა და ორაზროვნების გამო რაც მეორე პირის ნაცვალსახელის “you” გამოყენებას ახლავს თან, პილი მეორე პირის ნაცვალსახელებს (you, your) ხშირად წინასწარგანზრახვით სხვადასხვა მიზნებისთვის მიმართავს, კერძოდ :

ა) საკუთარი წილი პასუხისმგებლობისთვის თავის ასარიდებლად ან მნიშვნელოვნად შესამსუბუქებლად;

ბ) პასუხისმგებლობის სხვასთან კერძოდ, სამიზნე აუდიტორიასთან, პოლიტიკურ გუნდთან თუ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან გასაზიარებლად;

გ) ოპონენტების ბრალეულობის გამოსაკვეთად ;

დ) ოპონენტების გასანეიტრალებლად ;

ე) მუქარის, დაშინების გზებით აუდიტორიის ემოციებსა თუ განცდებზე მანიპულირებისთვის;

*ვაუდიტორიის გადაწყვეტილებებსა და შეხედულებებზე ზემოქმედების მოსახდენად;*

*ზ) აუდიტორიის დასარწმუნებლად და დასაყოლიებლად.*

23. პილის ორატორულ დისკურსში პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი “we” ძირითადად ეროვნული ინტერესების აქცენტირებასა და მასსა და აუდიტორიას შორის თანასწორობისა პასუხისმგებლობის გაზიარებას გულისხმობს, სადაც ის აუდიტორიას მისი შეხედულებების ერთგვარ თანამონაწილედ, თანამოაზრედ წარმოაჩენს, რაც ცალსახად აახლოებს ამ ორს ერთმანეთთან, ამასთან აუდიტორიას რჩება განცდა რომ ის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების თანამონაწილეა.
24. ბრიტანეთის პრემიერს რობერტ პილს ორატორული ნიჭის წყალობით შესწევს უნარი ეფექტური გამოსვლებით დაატყვევოს სამიზნე აუდიტორია და ზეგავლენა მოახდინოს მათ პოლიტიკურ მრწამსზე, პოლიტიკურ შეხედულებებსა თუ პრეფერენციებზე. აშკარაა, რომ რობერტ პილის სტრატეგიული სვლები პირდაპირ დაკავშირებულია მის პოლიტიკურ მიზნებთან.
25. სხვადასხვა ლინგვისტიკური საშუალებებით (როგორცაა *მეტაფორა, გამეორება, პარალელური კონსტრუქციები, რიტორიკული შეკითხვა, ინკლუზიური და ექსკლუზიური პირის ნაცვალსახელები* თუ სხვადასხვა გრამატიკული სტრუქტურა) ოსტატური მანიპულირება რობერტ პილს ეხმარება საკუთარი ფარული პოლიტიკური მოტივებისა თუ მიზნების რეალიზებაში.
26. პურის კანონთან დაკავშირებული პილის გამოსვლების (1827-1843) *კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის* თვალსაზრისით ანალიზი, ცხადყოფს, რომ ყველაზე ხშირად ბრიტანეთის პრემიერი *ონტოლოგიურ მეტაფორებს* და მათ ერთ-ერთ ფორმას

პერსონიფიკაციას მიმართავს. გაანალიზებულ მასალაში ხშირია: *ჯანმრთელობის, სპორტის, აზარტული თამაშების, წყლის, ბუნების, ტვირთის, სინათლის თემატური მეტაფორები*, რაც უპირველესად რობერტ პილის მიერ:

- ა) *აუდიტორიასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების;*
- ბ) *მათი კეთილგანწყობის მოპოვების;*
- გ) *მათში სასურველი ემოციების აღძვრის;*
- დ) *გარკვეული საკითხების აქცენტირების;*
- ე) *რთულად აღსაქმელი საკითხების მარტივად აღქმა-გაგების;*
- ვ) *სამიზნე აუდიტორიის დარწმუნების მიზანს ემსახურება;*
- ზ) *რომ არაფერი ვთქვათ მეტაფორების ორნამენტულ, დეკორატიულ დანიშნულებაზე, რაც უდავოდ რობერტ პილის სიტყვებს მეტ ესთეტიურობას სძენს.*

27. პილის ორატორული დისკურსი გამოირჩევა *პარალელური კონსტრუქციებისა და გამეორების* სხვადასხვა ფორმის სიმრავლით. პარალელური კონსტრუქციებისა და გამეორებისთვის დამახასიათებელი სიმეტრია და რიტმულობა პოლიტიკური დისკურსის ადვილად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა, ამიტომ პილის სიტყვები ბევრად მარტივად გასაგები და ადვილად აღსაქმელი ხდება სამიზნე აუდიტორიისთვის.

28. *გამეორება* (სიტყვის, ფრაზის, ასევე წინადადების), რომელიც მიიღწევა მორფოლოგიური და სინტაქსური პარალელური კონსტრუქციების ხარჯზე, პრემიერს ეხმარება მონუსხოს სამიზნე აუდიტორია და თავისი სიტყვების უტყუარობაში დაარწმუნოს.

29. პილის ორატორულ დისკურსში *გამეორების* სხვადასხვა ფორმას შორის ყველაზე ხშირია *ანაფორული გამეორების* მაგალითები,

გარდა ამისა ის ასევე ჭარბად მიმართავს გამეორების სხვა ფორმებსაც როგორცაა: *პოლისინდეტონი (Polysyndeton)*; *სიმფლოსი (Symploce)*, *ეპიფორა (Epiphora)*; (*Repotia*) და სხვა, რაც, ერთი მხრივ, დისკურსში დამატებითი ინფორმაციის შემოტანის მიზანს ემსახურება, ერთგვარად კრავს, აძლიერებს და მეტ დამაჯერებლობას სძენს ორატორის სიტყვებს, ხოლო, მეორე მხრივ, შთამბეჭდავია ის მელოდიურობა და ორნამენტული დატვირთვაც, რაც პარალელური კონსტრუქციებისა და გამეორების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას ახლავს თან.

30. პილის პოლიტიკურ დისკურსში მრავლად გვხვდება კითხვითი ფორმის წინადადებები, ნაცვლად მტკიცებითი ფორმისა, ის საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს და ამყარებს კითხვითი ფორმის წინადადებებითა ანუ *რიტორიკული კითხვის* სხვადასხვა ფორმით, რომელთა შორის ყველაზე ხშირია *ანტიფოფორას (Anthypophora)*, *ზოგადი და სპეციალური კითხვების, ეპიპლექსისისისა ( Epiplexis)*; და *ეროტესის (Erotesis)* მაგალითები, რაც პილის მხრიდან მეტწილად საზოგადოების ყურადღებისა და ინტერესის მობილიზების, კონკრეტული საკითხების აქცენტირების, აუდიტორიის საკუთარი არგუმენტების უტყუარობაში დარწმუნებისა და მათზე ეფექტური ემოციური ზემოქმედების მოხდენის მიზანს ემსახურება.

31. პილი *რიტორიკული შეკითხვების* დასმით ერთგვარად ახდენს ზეგავლენას მის სამიზნე აუდიტორიაზე და იმპლიციტურად, ირიბად მიანიშნებს მათ, რომ დასმულ შეკითხვებზე მისთვის სასურველი პასუხები გასცენ, ამიტომ მისი აუდიტორია, სრულიად გაუცნობიერებლად, მიდის პილისთვის სასურველ დასკვნებამდე და მეტიც მისი თანამოაზრე ხდება.

32. რელიგიური ეკსკურსისა და ვერბალური ირონიის ტექნიკის გამოყენება რობერტ პილს სამიზნე აუდიტორიაზე სასურველი ემოციური ეფექტის მოხდენასა და მათი სიმპათიის მოპოვებაში ეხმარება.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. Adelman, P. Peel and The Conservative Party 1830-1850. USA, Routledge Taylor and Francis Group, 2014.
2. Aristotle, Roberts W. R., Ross W. D. Rhetoric. Cosimo Classics, New York, 2010.
3. Bagshaw, R. The Parliamentary Debates. London, 1846.
4. Bain, J. Speech of Sir Robert Peel on the State of the Nation. Bart, London, Haymarket, 1849.
5. Baldwin, Cradock, and Joy. The Westminster Review. New York, Leonard Scott & Co, 112 Fulton Street, Vol.39-40, 1843.
6. Balogun, T. A. Interrogative Questions as Device for the Representation of Power in Selected Texts of Akachi Adimora- Ezeigbo. The Journal of Pan African Studies. Vol.4, 2011.
7. Baron, M. Manipulativeness. Proceedings and Addresses of the American Philosophical Association. Vol. 77, No 2 pp37-54, 2003.
8. Barrow, H. J. The Mirror of Parliament. London, Abingdon Street 3 , vol.1, 1834.
9. Barrow, H.J. The Mirror of Parliament. Winchester and Varham, 61 Strand. Vol.1, 1828.
10. Barrow, J. H. The Mirror of the Parliament. Longmans.Vol. 2. 1839.
11. Beard, A. Language and Politics. London: Routledge, 2001.
12. Beare, K. Rhetorical Questions for English Learners. 2019.
13. Bell, J. British Landowners, Farmers, and Laborers against the Claims of the Cotton Capitalists to a Free Trade in Corn. London: Hatchard and Son, Piccadilly, 1839.
14. Blommaert, J. and Bulcaen, C. Critical Discourse Analysis. Annual Review of Anthropology. Vol. 29, 2000.
15. Bloy, M. A Web of English History. The Peel Web, 2016.

16. Bowring, J. The London and Westminster Review. 13 Pallmall East. Vol.40, 1843.
17. Bramley, N. R. Pronouns of Politics : the use of pronouns in the construction of “self “ and “other” in political interviews, 2001.
18. Bryan, W. J. The World’s Famous Oratorions. New York: Funk and Wagnalls Company. Vol: IV, 1906.
19. Buller, D. & Burgoon, J. K. Interpersonal Deception Theory. Vol. 6, Issue 3, pp.203-242, 1996.
20. Burke, M. The Routledge Handbook of Stylistics. Routledge London and New York, 2014.
21. Copi, I. M. Burgess-Jackson K. Informal Logic. Prentice Hall, the University of Michigan, 3<sup>rd</sup> edition, 1996.
22. Damer, T. E. Attacking Faulty Reasoning. Oxford, 2009.
23. Edelman, M. The Symbolic Uses of Politics. University of Illinois press, Urbana and Chicago, 1967.
24. Fairclough, N. Discourse and Social Change. London: Polity Press, 1992.
25. Fairclough, N. Critical Discourse Analysis, Critical Study of Language. Routledge press, 2013.
26. Fay, C. R. The Corn Laws and Social England. Cambridge University Press, 1932.
27. Frans, H. Eemeren, Grootendorst R. Blair J. A. Charles A. Willard Foris Publications, 2011.
28. Freeman, M. H. Cognitive Poetics. In M. Burke (Ed.) The Routledge handbook of Stylistics. Routledge, 2014.
29. Galperin, I. R. Stylistics. Moscow : Higher School, 1977.
30. Gash, N. Sir Robert Peel, 2<sup>nd</sup> Baronet. Encyclopedia Britannica, 2007.
31. Graham, J. Stanley. Sir Robert Peel on Sugar Duties. London : William Edward Painter, 342 , Strand, 1841.

32. Grice, H. P. *Studies in the Way of Words*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1989.
33. Grice, H. P. *Logic and Conversation*. *Speech Acts*, Cole et al. New York: New York Academic Press, pp. 41-58, 1975.
34. Groombridge, R. *The Banker's Magazine, and Journal of the Money Market*. London, 5 Paternoster Row. Vol. 1, 1844.
35. Halliday, M. A. K; Hasan R. *Cohesion in English*. Longman, 1976.
36. Haly, W.T. *The Opinions of Sir Robert Peel: Expressed in Parliament and in Public*. Whittaker & Company, 1843.
37. Haly, W.T. *The Opinions of Sir Robert Peel: Expressed in Parliament and in Public*. Virtue and Company, 1850.
38. Haly, W. T. *Opinions of Sir Robert Peel, Expressed in Parliament and Public*. London: Whittaker & CO., Ave-Maria Lane, 1843.
39. Hamilton, C. *Stylistics and Cognitive Stylistics?* 2006.
40. Han, C. H. *Deriving the interpretation of rhetorical questions*. In *Proceedings of West Coast Conference in Formal Linguistics*, 1998.
41. Hansard, T.C. *The Parliamentary Debates*. London, 1827.
42. Hansard, T.C. *Parliamentary debates*. London: Paternoster Row. Vol XXLL. pp 433-449, 1834.
43. Hansard, T. C. *Hansard's Parliamentary Debates*. London. Vol.: XLVI, 1839.
44. Hansard, T. C. *Great Britain Parliament. The Parliamentary Debates*. H.M Stationery office. Vol. 53, 1840.
45. Hansard, T. C. *Hansard's Parliamentary Debates*. London, 1840.
46. Hansard, T.C *Hansard's parliamentary debates*. London. Vol 58, 1841.
47. Hansard, T. C. *Hansard's parliamentary debates*. London, 1842.
48. Hansard, T. C. *Hansard's parliamentary debates*. London, 1846.

49. Hansard, T. C. *The Battle for Native Industry. The Debate Upon the Corn Laws, the Corn Importation and Customs'Duties Bills, and the Other Financial Measures of the Government.* 17 Old Bond Street. Vol. 2, 1846.
50. Hanne, P. *An analysis of metaphor used in political speeches responding to the financial crises of 1929 and 2008.* Faculteit Letteren & Wijsbegeerte, 2014.
51. Harris, R. A. *A Handbook of Rhetorical Devices.* 2010.
52. Harris, R. *The Conservatives, A History.* Transworld Publishers. A Random House Group Company, 2013.
53. Hooper, H. *The Westminster Review.* London: Samuel Clarke, 13 Palmmall East. Vol. 40 , 1843.
54. Horvath, J. *Critical Discourse Analysis of Obama's Political Discourse.* Institute of British and American Studies. Slovakia, 2014.
55. Hyland, K. *Metadiscourse. Exploring Interaction in Writing.* Continuum. London, 2005.
56. Jeffries, L.,& McIntyre, D. *Stylistics.* Cambridge University Press, 2010.
57. Kovecses, Z. *A Practical Introduction.* Oxford University Press, 2002.
58. Kovecses, Z. *Universality and Variation in the Use of Metaphor.* Stockholm: Stockholm Univeristy, 2008.
59. Kovecses, Z. *Conceptual Metaphor Theory.* Routledge, 2017.
60. Kuypers, J. A. *Rhetorical Criticism: Perspectives in Action.* UK, Lexington Books, 2009.
61. Lakoff, G. *The Contemporary Theory of Metaphor.* Cambridge: Cambridge University Press, 1992.
62. Lakoff, G. & Jonson, M. *Metaphors We Live By.* London and Chicago: The university of Chicago press, 2003.

63. Lerner, G. H. On the Place of Linguistic Resources in the Organisation of Talk-In-Interaction: Second Person Reference in Multi Party Conversation. University of California, 1996.
64. Lesz, B. To shape the world for the better. University of Tromsø, Norway, 2011.
65. Mason, J. M. The Westminster Review. Leonard Scott & Co, 112 Fulton Street, Vol. 39-41, 1843.
66. Matthews, P. H. The Concise Oxford Dictionary of Linguistics. Oxford University Press, 2007.
67. McCornack, S. Information Manipulation Theory. Communication Monographs, 1992.
68. McCornack, S., Timothy R., Levine, Kathleen A. Solowczuk, Helen I, Torres, and Dedra M. Campbell. When the Alteration of Information is Viewed as Deception : An empirical test of Information Manipulation Theory. Communication Monographs Vol, 59 1992.
69. McCornack, S., Morrison K., Esther J., Paik, Wisner M. Xun Zhu. Information Manipulation Theory, A Propositional theory of Deceptive Discourse Production. Michigan State University. East Lansing. MI, USA, 2014.
70. McIntosh, N. Sir Robert Peel, Historic Figures, 2014.
71. McInnes, C. "Bobby" Peel's principles of policing still words to live by. 2009.
72. Mio, J., Riggio, R., Levin, S., & Reese, R. Presidential leadership and charisma: The effects of metaphor. The Leadership Quarterly, 2005.
73. Nguyen, U. D. An Investigation into Stylistic Devices in Political Speeches by US Presidents. The University of Danang, 2010.
74. Ollivier, J. Tamworth Election. Speech of Sir Robert Peel . 59 Pall Mall , 1841.
75. Praggeljaz Group MIP: A Method for Identifying Metaphorically Used Words in Discourse. Metaphor and Symbol, 22(1), 1-39. Lawrence Erlbaum Associates, Inc., 2007.

76. Ramsden, D. J. *People and the Corn Laws*. 1841.
77. Ribeiro, H. J. *Rhetoric and Argumentation in the Beginning of the XX century*. Coimbra University Press, 2009.
78. Routledge, G. *The speeches of the late right honor Sir Robert Peel , Bart. Delivered in house of commons*. London, George and Co.,Farringdon Streetm Vol: IV, 1853.
79. Sacks, H. *Lectures on Conversation*. Oxford, Blackwell. Vol. 1 and 2, 1992.
80. Seligman, E. *The Income Tax*, New York: The Macmillan Company, 1914.
81. *Sir Robert Peel Facts*, 2010.
82. Steen, G. *Towards a procedure for metaphor identification*. London, Thousand Oaks, CA and New Delhi, 2002.
83. Steen, G. *Finding Metaphor in Discourse: Pragglejazz and Beyond*. Cultural Studies Journal of Universitat Jaume, 2007.
84. Steen, G. *When is Metaphor Deliberate?* Second Metaphor Festival, Stockholm, 2008.
85. Steen, G. *Metaphor and Language and Literature: a Cognitive Perspective*. In : *Language and Literature*, 2000.
86. Steen , G. *From Linguistics to Conceptual Metaphor in Five Steps*. In R. W. J. Gibbs, & G. J. Steen (Eds.), *Metaphor in Cognitive Linguistics*. 1999.
87. Stockwell, P. *Cognitive Poetics*. London and New York: Routledge, 2002.
88. Talbot, M., Atkinson K., Atkinson D. *Language and Power in the Modern World*. Edinburgh. University press, 2003.
89. Tannen, D. *Talking Voices* . Cambridge & New York: Cambridge University press, 2007.
90. Tay, D. *George Lakoff's theory of conceptual metaphor*. London: Bloomsbury, 2014.
91. Taylor, Haly, H. *The Opinions of Sir Robert Peel: Expressed in Parliament and in Public*. Arthur Hall, Virtue and Company,1850.

92. Taylor, J. The Art Of False Reasoning Exemplified; In Some Extracts From The Report Of Sir Robert Peel's Speech In " The Times" Paper Of July 7<sup>th</sup>, 1849. London, 1850.
93. Taylor, H. The Opinions of Sir Robert Peel: Expressed in Parliament and in Public. Arthur Hall, Virtue and Company, 1850.
94. Thomas, L, Wareing S. Language Society and Power. Routledge, London, 1999.
95. Thomas, L., Wareing, S., Singh, I., Peccei, J. S., Thornborrow, J., & Jones, J. Language, Society and Power. London: Routledge, 2004.
96. Van Dijk, T. A. Ideology: A Multidisciplinary Approach. London: Sage, 1998.
97. Van Dijk, T. A., Schiffrin D., Tannen D., Hemilton E. The Handbook of Discourse Analysis. Massachusetts USA: Blackwell Publishers, 2001.
98. Van Dijk, T. A. Discourse and Manipulation, Journal of Discourse and Society, Vol.17, No 3, pp 359-383, 2006.
99. Van Dijk, T. A., Discourse, power and access, 2013.
100. Van Dijk, T. A.,: Critical Discourse Analysis, 2015.
101. Van Dijk, T. A., Kintsch, W., Strategies of Discourse Comprehension. New York: Academic Press, 1983
102. Verdonk, P. Stylistics. Oxford : Oxford University Press, 2010.
103. Walton, D, Godden, D.M. Informal Logic and the Dialectical Approach to Argument, Newport News, VA: Vale Press, 2007.
104. Wodak, R., Meyer, M. Critical Discourse Analysis; History, Agenda, Theory, and Methodology, 2008.

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

Faculty of Humanities

English Philology

**Lana Jgarkava**

**Sir Robert Peel's Oratorical Discourse from the Standpoint of  
Cognitive Stylistics**

**Thesis**

Submitted for Gaining the Degree of Doctor of Philology ( PhD

Scientific Supervisor : **Nino Daraselia**

Doctor of Philological Sciences,

Associate Professor

**Tbilisi**

**2021**